

დათო მაღრაძე  
გიორგი ბერულავა  
გიო ზედვახელი  
ქეთი გაბინაშვილი  
ნინო ჯორინთელი

რეცენზია ჯრაბულზე  
„არბიან - „ცისქარში“, წიგნი II

ჟამილო ხოსე სელა  
დილან ბომასი

დათო მაღრაძე

ცისქარი  
1852  
N6 2024





№6//2024

ლიცენზირებული – საზოგადოებრივი  
ქუჩის

მთავარი რედაქტორი  
ამირან გომარეთელი

პასუხისმგებელი რედაქტორი  
თამარ გელიტაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
მარინე სიყმაშვილი

დიზაინი  
ირაკლი უშვერიძე

ქუჩის გამომცემის  
საქართველოს  
კულტურისა და სპორტის  
სამინისტროს სელექციით



საქართველოს კულტურისა  
და სპორტის სამინისტრო  
MINISTRY OF CULTURE  
AND SPORT OF GEORGIA

ciskari1852@gmail.com  
<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>


# სარჩევი

|                          |           |                           |           |
|--------------------------|-----------|---------------------------|-----------|
| <b>პოეზია</b>            |           | <b>ადა ნემსაძე</b>        | <b>48</b> |
| <b>დათო მალრაძე</b>      | <b>3</b>  | <b>მაია ჯალიაშვილი</b>    |           |
| <b>გიორგი ბერულავა</b>   | <b>8</b>  | მარადიული იდეები ახალ     |           |
| <b>გიო ზედვაკელი</b>     | <b>14</b> | კონტექსტებში              |           |
|                          |           | (რეცენზია კრებულზე -      |           |
|                          |           | კრიტიკა „ცისკარში“,       |           |
|                          |           | წიგნი II)                 |           |
| <b>პროზა</b>             |           | <b>ახალი თარგმანები</b>   |           |
| <b>ქეთი გაბინაშვილი</b>  | <b>18</b> |                           |           |
| მოთხრობები               |           | <b>კამილო ხოსე სელა</b>   | <b>61</b> |
| <b>ნიკო კორინთელი</b>    | <b>26</b> | ბატონი დავითი             |           |
| საქანელა                 |           | ესპანურიდან თარგმნა       |           |
| <b>ნუნუ ქადაგიძე</b>     | <b>34</b> | <b>თეა ხომასურიძე</b>     |           |
| თეთრა და ყორანა          |           |                           |           |
| <b>ხრიტიან-ესეისტიკა</b> |           | <b>დილან ტომასი</b>       | <b>65</b> |
|                          |           | მოთხრობები                |           |
| <b>წინო ვახანია</b>      | <b>43</b> | ინგლისურიდან თარგმნა      |           |
| წიგნი ყველასთვის         |           | <b>ანა ამირხანაშვილმა</b> |           |
| (ნატო ფირცხალავას        |           |                           |           |
| რომანი                   |           |                           |           |
| „შუშის ანგელოზები“)      |           |                           |           |

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;  
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;  
ჟურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვ-  
ლისთანავე განთავსდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბ-  
ლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“ – <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

## დათო მაღრაძე



### წერილი UNESCO-ს

მინდა, UNESCO-ს მივმართო წერილით  
და, თუმცა ფიქრები ნალველით ივსება,  
არა მაქვს ბოლომდე ჯერ გადანურული  
იმედი, რომ იქნებ გადარჩეს ღირსება.  
არ უნდა ძიება არქივის მასალებს,  
იმდენად ცხადად ჩანს წაშლილი  
თვისება, – ის, რომ ამბიცია გაუქრა  
დასავლეთს  
და რომ გადარჩენა სჭირდება ღირსებას.  
ნანგრევის აღდგენის სურვილი  
ამანთებს, კონკურსის პირობებს  
აცხადებს მედია  
და არ ეწყინება რაიტს და ბრამანტეს  
პროექტის ავტორი თუ შემოქმედია.

მსურს გაუქმებული დავრეკო სამრეკლო,  
უენო ზარით რომ განგაში შემოვკრა  
და ვცდილობ, როგორმე სიტყვაში ავრეკლო, –  
პოეტი თუ რატომ  
არ სწყალობს დემოკრატს:  
– იქ, სადაც ბევრია ყოველთვის მართალი,  
ერთისას არ ცნობენ სიტყვას და ქარტიას,  
ბუგატით ივლის თუ რომაულ სანდალით,  
რიცხოვრივ პრიმატის სწამს დემოკრატს.  
გოლგოთის პიესა მუდმივად პიესობს,  
– სალამი, ღვთაებრივ  
ირაოს, სალამი!

... არჩევნებს ყოველთვის ნააგებს იესო!  
... არჩევნებს მოიგებს იერუსალიმი!

თუ სამშობიარო „ბეთლემი“ შორია,  
მწყემსებს რომ სავალი გზები არ ეშოროთ,  
ნოტებით ინახავს ერთ სიტყვას:  
– Gloria...

ბახის პრელუდია, სი-ბემოლ მაჟორი.  
უცნობის საცნობი და სულის სალესი  
გოლდბერგის არია, –  
სამყაროს მოდელი...  
უძილო გრაფისთვის ეხება  
კლავესინს ყმანვილის თითები იმ  
სალამომდელი.

თუ მართლა მიზეზი უძილო გრაფია,  
მუსიკის ენამ რომ ბალიში გალოკოს...  
impression-ს უბიძგა თუ ფოტოგრაფიამ,  
ნამზომის ისარი მოიტანს ბაროკოს.

Art-ის რელიგია რომ ითხოვს ასკეზას,  
კალამით ნაცვეთი მეტყველებს მაგიდა...  
სარკე ვან ეიკის, გავლით ველასკესის,  
მანემ ფოლიბერჟერ –  
ბარში რომ დაკიდა.  
როგორი ექოა... მანძილს რომ შეშვენის, –  
ისმის კარავაჯოს შუქ-ჩრდილი დიადი...  
როდესაც კოპოლამ ნათელი ფეშენით  
გამიჯნა ნათლიის ოთახის წყვიადი.  
და რადგან ვცდილობ, რომ ექოს ხმას გავუში –  
ნაურდე, მინდა რომ ვიპოვო  
მოტივი,  
რომ ვენეციაში ეს ლექსი ჩავუშვა  
განგაშის საზომი გათლილი ბოძით.

წინსვლისთვის უკანალს სწირავენ, მერე  
თუ გრანტი მიეცემათ ტრენდული  
დინების... პილატეს წინაპარს, –  
ათენელ მელეთუსს  
რომ ჰქონდეს უფლება სოკრატეს გინების.  
რომ ჰქონდეს უფლება, არ მოგცეს  
უფლება, ცხოვრება ღირსებით ბოლომდე  
გალიო. ეპოქა, რომელიც ტლაპოში  
ეფლობა იალქნის აღმართვას უკრძალავს  
გალიონს. და ჭეშმარიტება, თუ მივხვდი  
მე სწორად, რომ უნდათ, ისე კი  
არ არის, არამედ,  
დიადი იდეა ეკუთვნის რესტორანს  
და არა ხალხისგან არჩეულ პარლამენტს.  
რომ ასცდეს პოეტი სასრულის განაჩენს,

ცდილობს, რომ როგორმე იმ სიტყვას  
 მიაგნოს, „განზრახვას + - ფრთები...“ რომ  
 გადარჩეს, სიცოცხლემ აჯობოს  
 სიკვდილის დიაგნოზს.  
 „განზრახვას + - ფრთები...“ თუ ქარტეხილს  
 გადარჩა, იქნება გადარჩეს ღირსება  
 და ღვინით სველდება თუ პურის ნატეხი  
 და სისხლით  
 და სიტყვით  
 ბარძიმი ივსება,  
 რომ ცრემლმა ეს გვამი სხეულად აქციოს...  
 უბრალო სიტყვები ლექსად რომ აქციოს...  
 რომ იქნებ ქვეყანა სამშობლოდ აქციოს...  
 ... აქ, ქორო შემოდის და ამბობს:  
 – აქსიოს!

### აფიშა

ამ ლექსმა მთხოვა და მოვნახე  
 ფურცელი, უნახავს მას ჩემი „ვეტო“ და  
 „რევანში“, ნატკენი ფილტვებით მივეცი  
 მუცელი იალქანს და ლექსი გაფუშვი  
 ლელვაში.  
 და თურმე უნახავს „ყაზბეგის 14“,  
 არ დარჩა, როგორც ჩანს  
 „ჯაკომოს“ ანაბრად,  
 სცოდნია ლაშასთვის მიძღვნილი  
 სონეტი და ახლა ქარტეხილს მიჰყვება  
 თანაბრად. და ლექსმა გამანდო,  
 რომ დამწერს ეძებდა  
 და თურმე უბანში დაჰპირდა ვინ აღარ...  
 ატყუეს, ვერ მისცეს სიცოცხლის  
 რეცეპტი და დარჩა იალქნის გარეშე  
 კინალამ.

იმ სიტყვამ მომაგნო, ვისთვისაც მეტია  
 განზრახვა მიზანზე და ქროლვა ქარდაქარ,  
 მრავალი სიტყვა კი უბანში ხეტიალს  
 განაგრძობს კარდაქარ,  
 კარდაქარ... კარდაქარ...  
 და ვფიქრობ, რომ ალბათ შემატყო, იმედი  
 რომ გრავიტაციის კანონში ცისა მაქვს,  
 მომაგნო სენსორის უხილავ სიმებით,  
 ... ცოტანი აგნებენ აღნიშნულ მისამართს.  
 სიტყვები მოდების ჩვენების ხალიჩას  
 ეძებენ, ტრენდული გზებით რომ იარონ,  
 მე მოგკვდე, თუ ღირდეს ხალიჩა  
 ჩალიჩად, თვით Dolce Gabbana-მ  
 რომც გაგაშვიროს.



თუ მძაფრი სურნელი დაკარგა სუნამომ  
და გულზე ვიტრინამ დაიკრა:

– Sale-ი!

ავტორი პროდუსერს დაუთმობს Cinema-ს

და ქრება Cinema ავტორისეული.

ანმყოფან კიდეც რომ მივმართო

ფოლიანტს, – დავითის მკვლელობას ეცდება

საული... დავითი, რომელიც ამარცხებს

გოლიათს, სამეფო ჯარებით ჩანს

შემოსეული.

მივმართავ ანმყოფს და... ეკრანზე იელვებს

სერობის შარჟი და

ჯვარცმანზე Sale-ი!

და ვწუხვარ შორდება რომ ოლიმპიელებს

არა თუ ათენი,

არამედ სეულიც.

Art-გამოფენიდან გადაწყდა მალევე,

რომ მაუწყებლობდეს სიხშირის უფლებით

სიცრუის კვადრატი:

– ეთხოვოს მალევიჩს,

რომ ჩართოს თვითეულ ოჯახში, უკლებლივ.

მას შემდეგ ეკრანზე არ წყდება ყაყანი, –

ახალი ეპოქის ჟღერს პოლიფონია...

ზის აპოკალიფსის მხედარი – ნამყვანი

და უსამართლობის სიმართლეს წონიან...

ღმერთით იმუქრება სამრევლოს მონესე,

ვიღაც ფარმაციის ჯვართანაც იჩოქებს

და ვფიქრობ, თბილისში რომ მართავს

პროცესებს სასპენსის მაგისტრი –

მაესტრო ჰიჩოკი.

დო თუ დო-დიეზით მაღლდება ნახევრად, –

ნახევრად ჯვარცმული პოეტის არ იყოს...

დაიჭერს თადარიგს,

დაირქმევს სახელად

პოეტს და ვერ ჰგუობს სკამს

სათადარიგოს. და secondhand-ების

ურიცხვი ამაღა ჩალიჩობს მადლიან

სტრიქონის ათესვას, – უშნო პატარძალი

სადღაც რომ დამალავს საკუთარ

ქორნილში მშვენიერ ნათესავს. მონესე

ცდილობს, რომ იესომ კი არა,

თავად რომ უშველოს იესოს, პირიქით

და ინკვიზიციის აღვიძებს იარას,

ქრისტეს რომ ეძებენ

ეშმაკის ბილიკით.

... დროში თუ შეტოპავ, ტრენდისგან ისვრები,  
ასეა, რაც გინდა, გამოწნი-განწი,  
რადგანაც უბრალო საათის ისრები  
იმავე დროს აჩვენებს, რა დროსაც Cartie.  
დრო მედროვეების იყო და იქნება!  
დრო მათი რწმენაა...  
დრო მათი მითია...  
და ამდროს ყოველი დროული მიგნება  
დროს აღარ ეკუთვნის და ზედროითია.  
დროს თუკი გაასწრებ... დრო ხმას თუ არ  
იღებს და უკან მოგყვება, როგორც ძველ  
მეგობარს,  
ეს ნიშნავს, შენი ხმით  
რომ დაათარიღებს  
და შენი ნაბიჯით ჩაივლის ეპოქას.


P.S.

... და იქნებ დავჯდე და ვინატრო  
კაფეში, ქორწილის სიძედ რომ ვაქციო  
ნაძენდი აფრა და ზედ ზღვებზე  
გავშალო აფიშად და როგორც სათავე...  
და როგორც ანდერძი...

მ ე ს ა

მარკეტის ღვინოს ბარძიმი იტევს,  
ბაგეტის ნაჭრით სრულდება წესი,  
როგორც კამათში გაცვეთილ  
სიტყვებს  
უკვდავებაში წაიღებს ლექსი.

ყალბი ნიუსის ინტერნეტგაზეთს  
მართალი სიტყვის გააქრობს წვეთი,  
ჟურნალისტების დახვრეტილ  
ფრაზებს როცა პოეტი აღადგენს  
მკვდრეთით.







## გიორგი ბერულავა

ბოტანიკური ბაღის დღიური

ბოტანიკური ბაღის დღიური –  
ხან მაგნოლია, ხან სექვოია  
და მაინც რცხილა კავკასიური  
სხვა ნაღველია, სხვა მელოდია.

აქ სიო მიქრის ენდემიური  
ან შრილა ტალღის მაგვარი  
ისე მიყურებს როგორც ტყიური  
გადაბელილი ძველი ჭადარი.

როცა მდელოზე წვანან ჩრდილები,  
როცა ცვარს და ნამს მიბინდებიან,  
ყელზე შეიხსნა ვარდმა კვირტები  
და ხეივნებიც იკვირებებიან.

თან მახლავს მათი ლამის სიზმრები  
და სევდა ნეშთის, ადრე ნაგების  
ან აკაციის ყვავილს მივწვდები,  
ან სურნელებას იასამნების.

წარსულის ხსოვნაც გარდაიქმნება –  
მიწის შვილები, მიწად რჩებიან,  
ბაღის მკვიდრებიც როცა იქნება,  
ახალი ნერგით შეიცვლებიან.

მინანქარია და სიმფონია  
მოლალურების ლხენა ნასტვენი.

მე მეჩვენება, ეს ცის ფონია  
ასე საქვეყნოდ გამონაფენი

და მის მითებში ყოველდღიურში  
კვლავ მითაჟამის წუხს ისტორია,  
იმას წავანყდი სვლაში, წრიულში,  
რაც ვიავადე, რაც მიცხოვრია.

საზღვრავს ქალაქი – ზარნიშის მსგავსი  
სალოცავად და ციხედ ნაგები,  
ქვიტკირით ქვეყნის ბედ-შენათავსი  
და მუდამ მისი თანანადები.

ბოტანიკური ბაღის დღიური –  
ხან მაგნოლია, ხან სექვოია  
და მაინც რცხილა კავკასიური  
სხვა ნაღველია, სხვა მელოდია.



სხვის სამოთხე სავანეში  
ზუგდიდის და ზღვის გარეშე  
ტყვე ვიყავი და მსახური,  
განა ვნებით მოთარაშე.

მოვისწრაფე სხვა ალერსი,  
დავენაფე მაყვედრებელს,  
ნეტავს სხვაგან არ გავეშვი –  
ჩემთვის ღამის გამთენებელს.

ვერცხლის ტბისკენ გზად დავეცი,  
ლუბელივით დავიღვარე.  
არ მეღირსა სხვა ნუგეში,  
ნისლში ყოფნა შევიყვარე.

შევადარე ბედთან წესი –  
ცისქვეშეთი მოვიარე,  
ეკის მთაზე უღრან ტყეში  
ბედი დამრჩა მგლოვიარე.

ღვინო ჩამდის სასულეში –  
ქვევრის ღვინით დავიგეშე,  
ვერ ვიმღერე სიბერეში  
ზუგდიდის და ზღვის გარეშე.

#### ზუგდიდი

ზუგდიდის ფერებს ვერავინ ცვლიდა,  
წვიმა ვერ შლიდა ბაღებად გაშლილს  
და მათ სიყვარულს ვინ დამიშლიდა,  
ჯავრით გათანგულს, სევდისგან დაღლილს.

ღვინოს ხსოვნად და ცრემლად ვინც ღვრიდა,  
ქალაქზე იმათ ჰქონდათ ამაგი,  
ის თავის გმირებს თვითონვე ქმნიდა,  
ფერადი, როგორც მზითვის ფარდაგი.

ორი მოხუცი მთელ ზუგდიდს ზრდიდა,  
იმათ სულ სცდიდა წუთისოფელი  
და კარგ კაცობას ზნედ გაიხდიდა,  
ქალაქი მათგან განუყოფელი.

ზუგდიდი სახლებს სასახლედ ხდიდა,  
სიცხადეს სცვლიდა წარსულის მტვერი,  
თავის ზურმუხტის მკერდს გამიშლიდა  
და ალერსს მგვრიდა ჟამთა ნამქერი.

მაცხოვრისკარის ზარების რეკვა,  
მის ქუჩებშია კვლავ განფენილი,  
უფლისგან ერგო ვით მირონცხება,  
ღვთისმშობლის კვართი სულს ჩანვდენილი.

მის ცას და მიწას სისავსეს ურთავს  
მთვარე, ენგურის შხეფით ნაფერი.  
ზუგდიდურ მოტივს მხოლოდ ის უთქვამს,  
რაც კი სიყვარულს აქვს მისამღერი.

მისი სილალით დავდივარ ქვეყნად,  
მისი შუქია ჩემი ლაპმარი,  
ჩუმად იმას ვთვლი სხვებს დანარჩენად  
და აღარა მყავს სხვა წინაპარი.

#### ქრისტეშობისთვე

ქრისტეშობისთვის ყველა დღე  
თავს ვეძებ გადარჩენაში,  
ნალველი მგზავრობს რწმენაში,  
გზა მიმდის ფოთოლცვენამდე.

უნდა ვშფოთავდე, ვღელავდე.  
ხელი ვერასდროს შეგახე,  
ნეტავ სამზერად მენახე  
ქრისტეშობისთვის ყველა დღე.

ამ სოფლის ბედისწერამდე  
ჩოხა მეცმევა ქართული,  
ჯვარზე ვიქნები გაკრული  
ქრისტეშობისთვის ყველა დღე.

მოგეძღვენი და მომმადლე,  
რაც გამაცილებს მზიანეთს,  
ერთად გადმოვა თრიალეთს  
ქრისტეშობისთვის ყველა დღე.



ისევ წვიმს გადაუღებლად,  
წვიმს თითქოს წარღვნის წყალია,  
ღამეც ბნელია უღევად,  
ღვთის სახლიც მიუვალა.

წვიმს, წვიმას ქარი მოუძღვის,  
უკან სეტყვა სდევს ძლიერი,  
ყანებსაც მისწვდა ქაფი ზღვის,  
მინის მყლაპავი, მშიერი.

ცაში იქნევენ ელვის ხმლებს,  
ღრუბელს შეაკვდა ღრუბელი,  
მეხი ჰკრა ალვებს ტანმალღებს,  
და დგას ნედლი ხის სურნელი.

ტორსა სცემს მინას მერანი,  
მინა ფერდობებს სწყდებოდა,  
მუხებზე ისხდნენ ძერანი,  
არწივი ლეშით ძდებოდა.

წმინა გიორგი ვერცხლისა  
მგზავრთა მაშველი ხდებოდა,  
მე ალი მსდევდა ცეცხლისა  
და ეს დღეც მელუპებოდა.

ცა ელდა მარბეველივით  
გვირგვინად ედგა ზეციერს  
და უსაშველო შველივით  
უბედოდ ჰყოფდა ბედნიერს.

წყალმა ნაილო ძველი გზა,  
ძველი ხიდი და დროება,  
გამხმარა ჩემში ნედლი ბზა  
და სულსაც ემჭიდროება

ისევ წვიმს გადაუღებლად,  
წვიმს თითქოს წარღვნის წყალია,  
ბნელი ღამეა უღევად,  
ღვთის სახლიც მიუვალა.



კრავი, ოქრო რომ მოსავდა,  
იმ კრავის შვილი ვიყავი,  
მომაკითხავდა, მოსთქვამდა –  
ფრთიანი, შეუწირავი.

ბნელი რომ ველარ დაშორდა  
იმ მთვარის შვილი ვიყავი,  
თუთარჩელათი მათრობდა  
ძველთაგან განუკითხავი.

ქრისტე ღმერთი რომ ახსოვდა,  
იმ ხალხის შვილი ვიყავი,  
უმაღურობაც მანრობდა  
და რწმენაც ნაუბილწავი.

მზე ბარჩხალა რომ მათობდა,  
იმ სოფლის შვილი ვიყავი,  
ძვალშესალაგი დამქონდა  
მინისგან გაურიყავი.

სულ ეს ვარ, სხვანი რაც მქონდა  
ეხლა პატრონობს ჭილყავი,  
ზვარაკობისთვის დამთმობდა  
ის ვისი შვილიც ვიყავი.

ენგური იმას როშავდა  
რა ხნის, რა ჯურის ვიყავი,  
წმინდა გიორგი მლოცავდა,  
ვერცხლით ვარ შენაფიცავი.

ვინც დაილია, ვინც ცხონდა  
მათგან მიბერავს ნიავი,  
იქაურობა მომწონდა,  
იქით წამსვლელი ვიყავი.

#### არ მახსოვხარ

არ მახსოვხარ, არ მინახავს შენი მთები,  
შენი ტყე და იალალის ველთა მდელი,  
ნუთუ ასე უნახავად მოგიკვდები,  
ჩემო დარდო, ჩემო ძველო საქართველო.

ცას წვდებიან არტანუჯის ციხის მხრები,  
მათ ცქერაში ღამე უნდა გავათენო,  
ენგურიდან თეთრი მთვარე ამაღლებით  
მოვა, რათა მარგალიტით გაგამშვენო.

შეინახე განძად ქვები, ნამარხები,  
მინდა ჩემი იმედებით გაგაჯერო,  
სიყვარულით რომ გაგიხდე მირონმცხები  
და ჩონგურზე მარიობას დავამლერო.

დიაოხო, ისევ ოხრავ გამუდმებით,  
უძველესთან უმთავრესო განაყრელო,  
სასურველო, არ დამირჩე დამდურებით,  
ჩემს ზეობას დაელოდე სანატრელო.

ღვთის ჭალაში ტყაშმაფებთან გავიზრდები,  
სამოთხეო და სამშობლოვ დაუცველო,  
ეგრისიდან შეჭურვილი დავიძვრები,  
ვივარგებ და არ დავრჩები უსაშველო.

მე აქამდე ამაყი ვარ ლაზი ძმებით,  
სტუმრად მოვალ ზღვის პატრონო – მასპინძელო,  
რომ იალქნის ძალა ვიგრძნო მომეტებით,  
რომ ხორუმი ძმათა შორის გავაგრძელო.

არ მახოსებარ, არ მინახავს შენი მთები,  
შენი ტყე და იალალის ველთა მდელო,  
ნუთუ ასე უნახავად მოგიკვდები,  
ჩემო დარდო, ჩემო ძველო საქართველო.

#### ქვეყანა მიყვარს

ქვეყანა მიყვარს, სანუკვარი მექმნა სამყარო,  
ვშიშობ, უფალო, ვიცი მასთან უნდა გამყარო.

მე ვიუარე ყველაფერი, რაც არ მერგება,  
ბევრი სხვაც მახსოვს, მზე მრავალჯერ შემომეგება.


ვერ მივინვდინე, თუმცა ხშირად გულთან სალბუნი,  
გვამი ამგვარი არც ვერცხლია და არც ალთუნი.

თავი რომ აღარ მენანება, ისედაც ვიცი,  
ხშირ და ცრუ ვნებებს ეწირება ლოცვა და ფიცი.

ქვეყანა მიყვარს, დარცხვენილსაც ამდის აღმური,  
ჩიორა მჯობნის მგალობელი, ხმით საამური.

ღვინო მუდამ მაქვს, ღვთის სახმობად გადანანახი,  
იმ ღვინის გარდა, არ დარჩება ჩემგან ნასახი.

არის უკვდავთან ზიარება სრულმქმნელი ყოვლის,  
ქვეყანა მიყვარს, სიყვარულით წარმტაცი ლტოლვის.







გიო ზედვაკელი

მე შენ მიყვარხარ  
 ნუ გამექცევი, ჩემო ზაფხულო,  
 შემომინეცი,  
 შემომეხვიე!  
 დამეხილი ვარ  
 და ძლივს ვფაფხურობ,  
 სავსე მაქვს პირი მიწით, ბალახით.  
 სუყველა ლექსი დავწვი, დავხიე,  
 ვცხოვრობ დარდით და კატაბალახით.  
 ყველა კუთხეში მიწას ამოვთხრი  
 და დაოთხილი ვივლი ნიადაგ.  
 დაგირგავ ათას ყვავილს-სამოთხის,  
 ოღონდ ნუ მეტყვი: „დაგაგვინდა“!  
 ნუ გამექცევი, თავზე მექცევა  
 ცა,  
 ფეხქვეშ მყარი მიწა მეცლება,  
 ყველა ხევ-ხევთან ალი მიხტება,  
 ურმის ჭალაზე დამეკიდება.  
 მომადებს ნავთით გალუმპულ ბამბუკს  
 და ცეცხლი სულზე მომეკიდება.  
 როდის მორჩები, ღმერთო, ამ ქარბუქს,  
 ჭკუა რომ აღარ მომეკითხება?  
 ეს სიმღერაა თუ ტირის ბრელი? –  
 „Ne me quitte pas, ne me quitte pas“  
 ღამის სიზმარიც არ მოსწონთ ჩიტებს,  
 დიდი ხანია, უკვე ვირთხებმა,  
 რაც დაიკავეს და როგორც თხილი,

ჩემი სხეული ისე იხრება.

.....

ნუ გაიკვირვებ ამ ცრიატს მარტის,  
მთელი ცრემლების წყება მიჰყვა ქარს.  
მე შენ ყოველთვის ღმერთივით მწამდი,  
მე შენ მიყვარდი,  
მე შენ მიყვარხარ!

### გადასახლება

ძველებურად ვარ.  
კვლავ ჩემს ქოხში ვარ,  
მოხშირდა ცივი და უსასოო  
დღეები.  
ვფანტავ ფიქრის ოხშივარს,  
ვის შევაჩეჩო,  
ვის ვუსახსოვრო  
ეს მკვდარი გული?  
ვინმემ დამარხოს,  
დამარხოს სადმე, სოფლის ღარიბულ  
სასაფლაოზე, სადაც მუდმივი  
ქარებია და ფეხქვეშ – ტალახი.  
აქამდეც,  
ბევრჯერ,  
როგორც ბუმბული,  
გაუფრენივარ, გადაუგდევარ  
ცხოვრებას.  
მინდა ვიყო უგულო,  
სენტიმენტებით აღარ ვუნდივარ –  
არც ბავშვს, არც უფროსს,  
არც ღმერთს, არც არვის...  
ჰო, სამწუხაროდ, ასე დალაგდა.  
სასაცილოა ჩემი საუფლო,  
ჩემი ღიმილი, ჩემი ცანცარი.  
მე ველარ შევძლებ, ვფიქრობ, არადა,  
მაქვს სიჯიუტე, თითქოს, რიკიშის,  
რომ ველარასდროს ველარ ჩავიდენ  
დაუფიქრებლად რამე სიგიჟეს.  
რადგან დავმთავრდი, როგორც ტკივილი –  
როგორც პოეტი, უტკივილებო.  
მე შევუშვირე სახე ბუმერანგს,  
და რიყეს შერჩნენ ჩემი კბილები.  
ერთი, ეგ არის, ცოტა ფული მაქვს,  
ვიყიდი ბილეთს, სადმე გასაფრენს.  
თუ ვერ დავსახლდი ჩემს სამშობლოში,  
ჩემი სამშობლო გადამასახლებს.

## სიზმარი სიზმარში

დიდი ხანია, მძინავს, სიზმარში სიზმარს ვხედავ,  
 არავინაა ირგვლივ გამლები ხმის და ჩქამის.  
 მხოლოდ შენ მოხვალ ჩემთან, თმაშევერცხლილო დედა,  
 და მოგიყვები ჩემზე – უკვე მომხდარს და ჩავლილს,  
 მაგრამ ვერ ვიზამ ისე, რომ შენც დარდისგან დადნე.  
 შევალამაზებ ამბებს, როგორც ნაძვისხის ტოტებს.  
 კი ვტყუი, მაგრამ თავთან ხომ მართალი ვარ ცამდე?  
 მინდა, სასთუმლად შენი თბილი კალთა რომ მექონდეს.  
 ბარდნის. მარტო ვარ, მცირა. რა შურიანი გავხდი:  
 ფანჯრიდან მოჩანს ტაძრის ეზო – არც ისე ვრცელი,  
 გადავსებული უკვე უფლის მოშიში ხალხით.  
 თითქოს ერთ ასკეტს მეძებს ათასი მომლოცველი.  
 მე რომ არც ღმერთის მჯერა, მე რომ არც მოძღვრებს ვუსმენ,  
 ვერ მორევია ჯერაც ყინვა ჩემს შიშველ ქუსლებს.  
 როგორ ვინამო ვინმე, ჩემი თავის რომ არ მწამს,  
 მე ვერ გავხდები გუბე, მე ვერ მოვიშლი წანწალს:  
 მე გადავლახავ ანდებს, მე გადავლახავ მონბლანს.  
 ეშმაკი ჯოხით დამდეგს და სადაცაა მომკლავს.  
 ვიბორიალებ ქარში და ქარებისგან ვნებულს,  
 კანს დამიფარავს ციდან მოსული სიტყვის თოვლი.  
 აი, ამ ლექსით ვინყებ რიგით მეორე კრებულს,  
 და ჩემი სულის ოთახს ისევ არეულს ვტოვებ.

## აიოხვა-ჰასუხი

სადღაც, ამ ბნელ ღამეში და ამ ყიამეთ-ქარაშოტში  
 ვზივარ მარტო სავარძელში და საქარე მინის მიღმა  
 ჩანს ბავშვობა: ზაფხულები... ქვიშაში რომ ვთამაშობდით  
 და მეზობლის გოგოს კითხვა: „კიდეც როდის ჩამოდიხარ?“  
 ტყემლის ყვავილს მოუქარგავს თეთრად ჩვენი ჭურის თავი,  
 ნარცისებიც ამოსულან... ვეკითხები – „ახლა ვინ ვარ?“ –  
 საკუთარ თავს... ვილაცისთვის – გასალენი პურის კალო,  
 ვილაცისთვის – უსულგულოდ, უგერგილოდ ნახნავი ვარ!  
 ვილაცისთვის – საფიცარი, ვილაცისთვის – სასაცილო,  
 სუსტი კაცი, გაჟღენთილი ირონიის სუნამოთი.  
 ვილაცისთვის – მწველი მზე ვარ, ღამით ზღვაში ჩანადირი,  
 მზე, რომელიც იხრჩობა და დილით მაინც სულ ამოდის  
 გალუმპული! ...ო, სიზმრებო, გამეცალეთ, დამაძინეთ!  
 თუ ყვავიან ჩემს სოფელში ნეტავ ახლა ალუბლები?  
 მონატრებას რა ანელებს, რა დრო კურნავს, რა მანძილი?  
 ფეხშიშველა მიუყვება მრევლი გოგნის კარუგდებელს.  
 მაისია... გიორგობა... დაისია ხემატ მწერი...  
 ასაკში ვარ, ცხელი გული ამ კორდების გამო მიცემს.  
 ვილაც მარსზე სახლს იშენებს, მე კი ყვითელ ხელნაწერებს  
 ვაგროვებ და ვიხვეწები, ვინმემ წიგნად გამომიცეს.  
 რა ვქნა? სისხლით პოეტი ვარ და ყველა იმ კაცის მიკვირს,  
 ვინც არ იცის, რაა მუზის სულზე შემოლიტინება.

ვინც კი დღემდე ირონიით მახსენებს და მაქილიკებს,  
ვინც ზემოდან იყურება და ხარივით ირქინება,  
დამითმია მათთვის გზები... კოშკები და სასახლენიც...  
სასაცილო არის ჩემთვის ეს ამაო წიაღსვლები.  
ჭამონ, რაც სურთ, რაც გადარჩათ დასაღრღნელი, დასახრელი,  
მე მსხლის ძირში ვიჯდები და ხმელა ლექსით ვიარსებებ.  
ხნულს გავავლებ, უყებს მოვხნავ, სულს ვუხსენებ ბაბუაჩემს,  
ისე წავალ, არ ვიკითხავ, ჩემი მოსვლა რატომ ღირდა.  
დავზრდი შვილებს, როგორც ყველა, განა რამე გამომარჩევს,  
მერე წავალ პირნათელი სააქაო კატორღიდან.

#### მთვრალი ჯაცის ღოცვა

გამოდი და აგლისე ფეხქვეშ დიღმის ტალახი,  
განა მოგისაკლისებს ვინმე, მაინც გამო... გა...  
განა გულს აუჩქროლებ ვინმეს შენი დანახვით,  
მაგრამ გაიხმაურე, სასხლეტს ხელი გამოჰკარ,  
რომ ყრანტალა ყვავებმა შიშით კანი აიწვან,  
ჰა-ჰა... ჰა-ჰა... ჰი-ჰი-ჰი... სულ ესაა ცხოვრება...  
ყველა დავიკარგებით დროის ცივი ქარისგან,  
რადგან ასი წლის მერე აღარ ვემახსოვრებით  
არც ამ უბნის შენობებს, არც მარკეტის კამერებს.  
ხელში თბება არყისგან გავსებული მათარა.  
ყველას ერთად დაგლოცავთ – იმერებს და ამერებს,  
ყველას – ამ საახალწლოდ, ყველას – დიდს და პატარას...  
დაიჯერეთ თავების, გულში ღმერთი ახარეთ  
და ნუ გასცემთ სიყვარულს ცოტ-ცოტას და ლიმიტით,  
შეაჯერეთ მთა-ველი უსაშველო ხარხარით.  
დრო რომ მქონდეს, სუყველას სახლში გამოგივლიდით...  
მაგრამ ლექსს ვწერ, ზოგისთვის – მოძველებულს, ბანალურს,  
ძველი სტილით, თუმცა ეს ხელს არ მიშლის იმაში,  
რომ გულწრფელი სიცილით გავაყრუო სამყარო,  
დიდ დიღომში ვცხოვრობდე, ისე როგორც მილანში.  
მიყვარს ცხელი კეციდან აფრენილი თხელკანა,  
ხაჭაპური, ბუხარი და სიმღერა ორ ხმაში.  
ღმერთო, შენ დამილოცე ჩემი ტკბილი ქვეყანა:  
როგორც ლოქო ქინძმარში, ჩადებული ბოღმაში.



## ქეთი გაბინაშვილი



### ანგელოზი

პირველად მაშინ მიიქცია ჩემი ყურადღება, კიბიდან რომ გადმოვადგეს. ასფალტზე დაეცა. მარჯვენა ხელი მოიყოლა და კი იარა თითქმის მთელი თვე თაბაშირით. გაჭირვებით წამოდგა, მარცხენა ხელით აითრია ნატკენი მკლავი. დაჰყურებდა გადაქლეტილ კანს, წვეთ-წვეთად მომავალ სისხლს. შუბლი შეკრული ჰქონდა, მოღრუბლული. ერთი ცრემლი არ გადმოვარდნია, არც ერთი ცრემლი. არავინ უძებნია თვალებით, არავისთვის უთხოვია დახმარება. ექვსი-შვიდი წლის ძლივს იქნებოდა. გაღელვებული იყო. ისეთი გამხდარი, ისეთი გაყვითლებული. ანეწილი თმა, ბავშვუ-

რი ხელით ჩანწული, გვერდზე მიღრეცილი. ორი-სამი ზომით დიდი, მუხლებზე გამობერილი სპორტული შარვალი. გვარიანად შელახული სვიტრი.

საკვირველი რა იყო, ვინ არ დაცემულა, რომელ ბავშვს არ გადაუსხვეპია მუხლები, მაგრამ რალაცნაირად ვერ ვივინყებდი. ვერ ვივინყებდი მის გამომშრალ თვალებს, მის უცრემლო თვალებს. ალბათ, ამიტომ თუ იყო, რომ მერე სულ შორიახლოს დავტრიალებდი, სულ თვალს ვადევნებდი. ცოტას ლაპარაკობდა, მხოლოდ აუცილებელს – პასუხებს ყველაზე საჭირო

კითხვებზე. მოსმენაც სხვაგვარი იცოდა, კარგად ვერ ვხდებოდი, ისმენდა თუ არა. თავისთვის იყო, განაპირას. თითქოს ცდილობდა, არავის შეემჩნია, ფეხებში არავის მოსდებოდა. და იმ რიგში, იმ მშვიერი ბარტყების გრძელ რიგში, ნერწყვს ხმაურით რომ ყლაპავდნენ, გაუმაძღარი თვალებით რომ ზომავდნენ სხვების ლუკმას, ერთმანეთს რომ მუჟღუგუნებით სწევდნენ გვერდზე, რათა სულ რამდენიმე წუთით ადრე მიეღოთ თავიანთი ულუფა, იმ ატირებული და განანამები, ფეხშიშველა, პირმოთუთხნული, ფრთებდამტვრეული ანგელოზების რიგშიც, იდგა სულ ბოლოს, ხელში თავისი ემაღაც-



ლილი ჯამი ეჭირა, თითქოს ეს ჯამი ძალიან ემძიმებოდა მის თოვლისფერ და გამჭვირვალობამდე თხელ თითებს. იდგა და ფანჯარას უყურებდა. თვალდაუხმასამებლად. იმ ფანჯრის მინები კი მხოლოდ ახალი წლისთვის ინმინდებოდა, სტუმრების მოსვლის მოლოდინში. წვიმის კვალი ფარდასავით ეფარა და სინათლეს არ უშვებდა ოთახში. და ესეც რომ არა, დასანახი არაფერი იყო. იმ ფანჯრებს მიღმა მაღალი ბეტონის ღობე იყო. სამყაროს აქეთ ჩვენ ვიყავით, იქით – დანარჩენები. და მაინც იმ უსახურ ფანჯარას შეჰყურებდა და არ აშორებდა მზერას, ყოველ დღე, ყოველი სადილის მოლოდინში.

არაფერი ჰქონდა. სრულიად არაფერი სასურველი, მხოლოდ საჭირო, სასიცოცხლო მნიშვნელობის საჭიროება. სამი-ოთხი საცვალი. სხვების გამოწვავალი რამდენიმე სვიტრი. ორი შარვალი და ერთი ცაბა, ისიც იმ იშვიათი, ცისარტყელა დღეებისთვის. იმ დღეებში მოდიოდნენ, სურათებს იღებდნენ, ტკბილეულს არიგებდნენ, საჩუქრები ჩამოჰქონდათ. დიდი დღეები იყო ის დღეები. თითქოს სხეულში გაზაფხული დადგაო, ფორიაქი იწყებოდა, რაღაც მშვენიერის მოლოდინით ფეთქავდა გული. მაღი-მაღ გავეყურებდით ჭიშკარს. მაღი-მაღ ვისწორებდით თმას, ადგილებს ვუცვლიდით ნივთებს, ვწმენდდით მტვერს. წინ და უკან უმიზნოდ დავდიოდით. მერე კი, მერე მოდიოდნენ და ამ პირქუში სახლის ბინადარი აეკვრებოდნენ ერთმანეთს შეციებული ბელურებივით, ჩალუნავდნენ თავებს, ავინყდებოდით სიტყვები. სტუმრები კი ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ და დამხედურებს არ ესმოდათ მათი სიტყვების, აღარაფრის გაგონება შეეძლოთ, რადგან იცოდნენ, რომ იმ ჩანთებში სასწაული იმალებოდა. სულ ერთი იყო, რა იქნებოდა – ტკბილეული თუ თოჯინის სახლები, კრუპეული თუ თბილი ტანსაცმელი, მაინც დღესასწაული იყო – გრძელი, ნისლიანი დღის შემდეგ გამოსარკული ცა.

და მამინაც, როცა ყველას სიხარული

გვაერთიანებდა, ის იდგა ჩვენ შორის და ვგრძნობდი ჩვენ მიღმა იყო. არასდროს გაიწოდებდა ხელს ნივთებისკენ, არასდროს დაემჩნეოდა სიხარული, არასდროს ჩაიხუტებდა სათამაშოს გულში. იფიქრებდი ემინოდა. არ შესჩვეოდა, არ შეჰყვარებოდა. რაღაცნაირად სულ ერთი იყო მისთვის ყველაფერი. უხმოდ, უცრემლოდ მიჰყვებოდა გრძელ და ტყუპისცალეებივით ერთნაირ წლებს.

მხოლოდ ერთხელ იტირა. ხმამაღლა, მოთქმით. მაშინ უკვე წასული იყო ჩვენგან, გათხოვილი, ორი შვილის დედა. პატარა საკონდიტრო ჰქონდა. მოვიდა, ჭიშკარი გააღო, მაგრამ ზღურბლზე ვერ იქნა და ვერ გადმოაბიჯა. მერე იქვე, ეზოს მიღმა დატოვა ჩანთები. თავად კარს მიაყრდნო ბეჭები და იდგა ასე, თვალდახუჭული. ბავშვები უკვე დასეოდნენ საჩუქრებს. ჟრი-ამულობდნენ. იცინოდნენ. ისევ ისეთი იყო, თოვლისფერი. გამჭვირვალობამდე თეთრი და გამხდარი. სუსტი მხრები ჰქონდა, ჩაცვნილი ღანვები. ისევ ისე უკან გადაწეული თმა, უსწორმასწოროდ ჩანწული. იდგა, ჭიშკარს ეყუდებოდა ზურგით, ისევ ისეთი განცალკევებული, ისევ ისეთი უცხო. მერე დახუჭულმა ქუთუთოებმა ველარ შეიმავრა ცრემლი და დაგუბებული მდინარესავით გადმოხეთქა. ტიროდა ხმამაღლა, ტიროდა მოთქმით. ახლა ის ტიროდა და ჩვენ ვიდექით ქვაკაცებად ქცეულები, მიწას მიყინულები, თვალეზაფართოებული და ცრემლგამშრალნი. ის იდგა, ახლა ზრდასრული ქალი იყო, ორი შვილის დედა, საკუთარი საკონდიტრო ჰქონდა, თითქმის ათწლეული იყო ჩვენგან წასულიყო, მაგრამ ის ტიროდა და მე მეგონა, რომ ეს-ეს იყო გადმოვადოთ კიბიდან: ექვსი-შვიდი წლის ძლივს იქნებოდა. მარჯვენა მკლავი ცუდად დაჰყოლოდა. კანი გადაჰყვლეფოდა. ინვა ასფალტზე და ტიროდა. ტიროდა დიდი, ბავშვური ცრემლით. მე კი არც მაშინ, წლების წინ და არც ახლა არ ვიცოდი, რა ძალას შეეძლო ანგელოზების ჩამოგდება ამ დაწყველილი კიბიდან.

### ჰეპატო!

სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა ორმოცდაორი წლის ქალი. მეტრა და სამოცდახუთი სანტიმეტრი, ზომიერად ფერხორციანი (ზუსტ წონას ვერ ვუთითებთ, რადგან ყოველთვის საგანგებოდ მაღავდა), ხორბლისფერი კანი, თაფლისფერი თვალები, მხრებამდე უსწორმასწოროდ გადაჭრილი ყავისფერი თმა, ბოლოები გაყოფილი, გამომშრალი, უსიცოცხლო. მუდამ მაგრად მომუნული პატარა პირი, წვრილი, უფერული ტუჩები. ქართული, ოდნავ კეხიანი ცხვირი. აცვია შავი შარვალი, ამავე ფერის მაისური და სპორტული ფეხსაცმელი. ყოველთვის ჩქარი ნაბიჯით დადის, მუდამ ეჩქარება. დადის თავდალუნული, საუბრის დროს მზერას გარიდებს.

სახლიდან გავიდა რვა საათსა და თხუთმეტ წუთზე, ბავშვები დატოვა სკოლაში და მას შემდეგ კვალი ქრება. ძალიან გთხოვთ, თუ სადმე შეამჩნევთ, შეგვატყობინეთ. ვვარაუდობთ, რომ მეხსიერების პრობლემა აქვს:

შეიძლება დაავინყდა სახლის მისამართი. დაავინყდა, რომ დილის ექვს საათზე უნდა ადგეს, საუზმე გაუმზადოს ბავშვებს, გააღვიძოს, ჩააცვას, აჭამოს, ჩანთა შეუმოწმოს და სკოლაში წაიყვანოს. დაავინყდა, რომ სკოლის შემდეგ უნდა წავიდეს სამსახურში, სამსახურიდან ბაზარში, მიაკითხოს სკოლაში ბავშვებს და გზად მეუღლეს უყიდოს სიგარეტი, დედამთილს – ნამლები, მამამთილს – გაზეთი. დაავინყდა, რომ სახლში მოსვლის შემდეგ უნდა გაამზადოს ვახშამი, ამეცადინოს ბავშვები, დაბანოს, დარეცოხს, დააუთავოს, დაგავოს იატაკი, მოწმინდოს ორჯერ – ჯერ სველი, შემდეგ მშრალი ტილოთი, გახეხოს აბაზანა, გაამზადოს სადილი მეორე დღისთვის, სამგვარი: ბავშვებისთვის უხახვოდ, ქმრისა და დედამთილისთვის ცხარე, მამამთილისთვის – დიაბეტური. დაავინყდა, რომ ყველაფერს რომ მორჩება, კიდევ ერთხელ უნდა იანგარიშოს ხელფასი, იქნება ამჯერად მაინც გაწვდინოს ხარჯებს, იმყოფინოს: გაზისა და დენის გადასახადზე, ნამლებსა და

საკვებზე, მასწავლებლებსა და ექიმებზე. დაავინყდა, რომ მერე ასე გაუხდელად უნდა ჩასთვლიდოს და უსიზმროდ დაიძინოს, რათა დილით მზის ამოსვლას აასწროს და ისევ: გაამზადოს საუზმე, აჭამოს ბავშვებს, წაიყვანოს სკოლაში, სკოლიდან სამსახურში, სამსახურიდან ბაზარში...

ყველაფერი დაავინყდა და შეიძლება, გზიდან გადაუხვია სამი თვის შესაღები თმის მოსაწესრიგებლად. შეიძლება, უფიქროდ ჩაჯდა მატარებელში და წავიდა ზღვაზე, ასე ძალიან რომ ენატრება წლებია. შეიძლება, სადმე თავისუფალი სკამი ნახა და ჩამოჯდა იმ წიგნის დასასრულებლად, აღარც რომ ახსოვს, როდის დაიწყო კითხვა. იქნებ დაავინყდა, თავისი ხელფასი რომ თავისი არაა და უნდა იმყოფინოს დენისა და გაზის გადასახადში, ექიმისა და ნამლებისთვის და თეატრში შევიდა, როგორ უყვარდა უწინ თეატრი; იქნებ თავი დაადო და მშობლების საფლავს მიაშურა, დიდი ხანია გული მიუწევს, უნდა ხელი გადაუსვას გაციებულ და მიწად ქცეულ გულზე, ბალახისგან გაათავისუფლოს მათი ძვლები, სანთელი აუწთოს და უთხრას, ყველაფერი უთხრას, წლებია გული მიუწევს, მაგრამ მიცვალებულის დღეებზე სოფელში მიდიან, ქმრის ბებია-პაპის საფლავზე... შეიძლება, უბრალოდ წავიდა, დაადგა გზას და მიდის ასე, მიდის და მიდის, არ ფიქრობს, არც კი იცით, რა კარგია გაუდგე გზას ისე, რომ არავინ მოგელოდეს და არსად გეჩქრებოდეს, გაუდგე გზას არსაით, მიანდო საკუთარი სხეული გზას და თავად წაგიყვანოს, ახალი ადგილების აღმოსაჩენად. ვინ იცის, იქნებ მოხუც მეყვავილესთან შეჩერდა, მინდვრის ყვავილები გადაახვევინა გაზეთში, მერე წავიდა ქალაქის განაპირას, პატარა კაფეს ვერანდაზე დაჯდა და ყავას სვამს, ვინ მოსთვლის უკვე რამდენი წელია, ცხელი ყავის გემო დაავინყდა და ახლა ზის და სვამს და გაჰყურებს ქალაქს, ისე თითქოს საფიქრალი არაფერი ჰქონდეს. შეიძლება... „სახლიდან გავიდა და აღარ...“ სამწუხაროდ, მე დავიკარგე, მაგრამ ერთხელაც არ დამვინყებია სახლში დაბრუნება.



## ბაღეფონი

ვაკონინე, ვაკონინე ეს ჩემი პენსია და, როგორც იქნა, ტელეფონი ვიყიდე. აგერ მეზობლის ბაღს გავატანე ფული რაიონში და მომიტანა. მთელი დღე ვსწავლობდი: როგორ დამეტენა, როგორ დამერეკა, როგორ მეპასუხა. მეხსიერებას, სიმართლე გითხრა და, არ ვუჩივი, მაგრამ მაინც რაღაცნაირად გული მეთანაღრებოდა, არ დამავიწყდეს და არ გავაფუჭო-მეთქი. ამ დასაწვავ რვეულშიც ჩავინიშე, რა და როგორ. დავფათფათებ თავსა. ისე ვარ პატარა ბავშვით ატაცებული. ასეთი ახალი ნივთები არც ახალგაზრდობაში მქონდა მოჭარბებული და სიბერეში ხომ, მით უფრო, თვალთ არ მინახავს. ისე ვარ, ეზოშიც სულ ყურდაგრძელებული დავიარები, აი, ახლა არ რეკავდეს და რაღა ვქნა, რომ ვერ მივუსწრო-მეთქი.

საქმეში ხარ? რეკავს არა ისა, ვის აქვს შენი დარდი და შენზე ფიქრი. კაციშვილი არ მირეკავს. გავიდა ერთი დღე, ორი და სამი. ახლა ვიფიქრე, რა ქალი ვარ-მეთქი, სულ რომ მე ვითხოვ და ველოდები, მე ამ ბეხრეკს, საქმე გამომლევი, იმათ კიდე იმოდელი საქმე აქვთ, ეს სამსახურები და ათასი რამე, ვერ მოიცალებს ბავშვებმა და მე რაღად არ დავრეკავ-მეთქი. ვქექე და ვქექე ფურცლები, აგერ ყველაფერიც მშვენივრად მიწერია. აი, ნახე, ჩანერილი მაქვს ნომრები, ჯერ იყო ნინოს დავურეკე, ვკრეფ ნომერს და თან ბაღვით მედიმება, ნახე როგორ გავაკვირებ და გავახარებ, გაუხარდებათ ქა, მა რა იქნება, ახლა რო გაიგებენ, დარეკვა ვისწავლე. აილო ნინომ და ჩურჩულით მეუბნება, ლექციაზე ვარ, მერე დაგი-რეკავო. აი, ამას კი ენეცვალოს ბაბო, ძალიან ჭკვიანი მყავს. მთელი დღე ტელეფონს არ მოვცილდი, ქა, ტუალეტი, რა არის, იქაც სულ შიშის კანკალით მივდიოდი, ვაი და მაშინ არ დარეკოს-მეთქი. მაგრამ მთელი დღე ისე გავიდა, ჩქამი არ გაუღია ამ სატიალეს. დაავი-ანდებოდა-მეთქი, ვინ იცის ლექციები რა გვიან დაუმთავრდა, მშვიდი იქნე-

ბოდა, ბაბომ ენაცვალოს. არა, ამხელა გოგოა და თავის მოვლა ვერ ისწავლა, რაც მე მაგას ვეჩიჩინები და აპა-პა-პა-პა, არაფერი არ ესმის. არა, შვილო, ჩაიდე ლუკმა სახლიდან გასვლამდე, მთელი დღე მშვიდი როგორ უნდა იყოს ორგანიზმი ან ტვინმა რა უნდა იმუშაოს? ჩემი კაცი იტყოდა ხოლმე, დილის ლუკმა ცოლის მზითვზე უკეთესიაო.

მეორე დღესაც ველოდე და არ გამოჩნდა, ალბათ, თუ გადაავიწყდა-მეთქი. მერე კიდე დაურეკე და ახლა არ მცალიაო, მეგობრები პიკნიკზე ვართო თუ რაღაც მითხრა. პიკნიკი რაღა ოხერია-მეთქი, მანანას ვკითხე. ეგა, ქალო, ახლა მოდაშია, ბუნებაში გავლენ, მდელოზე რომ დასხდებიან და იქ ჭამენო, მაგასა ჰქვია პიკნიკიო. ანუ-მეთქი, მე და ჩემი კაცი უკანაქალებში სიმინდის თოხნით რომ დავიღლებოდით და ხის ძირას გავშლიდით ჩვენი ბაღის კიტრსა და პამიდორსა, ყველსა და პურსა, ხელადა ღვინოსა და წყაროს წყალსა, ვისხედით ეს ნაშრომლები გრილ მიწაზე და ვჭამდით, ესე იგი ვპიკნიკობდით-მეთქი?! – გამეცინა. პიკნიკი, აჰა, კიდე ერთი ახალი სიტყვა ვისწავლე. ბუნება და მინდორზე ჭამა თუ უნდათ ამ შეჩვენებულებს, ისეთი მოლი მაქვს, ისეთი აბიბინებული, შენ ამოდი და მე გინდა მდელოზე გაგიშლი და გინდა კიდე თონის პირზე. მაგრამ, ეჰ!

რაღა ბევრი გავაგრძელო, რამდენიმე კვირა იყო და შევალე ამათ ლოდინს. ხან ერთს ვურეკავდი, ხან – მეორეს, ხან – მესამეს. როგორც ჩანს, ქალაქს მართლაც ბევრი საქმეა, რომ ორი წუთი საუბრისთვის ვერ მოიცალებს. აბა რა, ესენი დასაქმებულები არიან, ათასი საზრუნავია. რა ვიცი, ჰო, ქალაქს ალბათ მართლა სხვანაირი ცხოვრებაა, თორემ ჩვენ რა, მიწასაც ვბარავდით და ვთოხნიდით, ვთიბავდით და ბულულებს ვდგამდით, საქონელსაც ვუვლიდით, სახლსაც ვაშენებდით, ამ წვრილშვილსაც ვზრდიდით და საქმელსაც ვამზადებდით, მაგრამ იმდენი დრო მაინც გვრჩებოდა, ერთმანეთი მოგვეკითხა, ერთი ტკბილი სიტყვა გვეთქვა, სამძიმარზეც

მისვლიყავით და ბედნიერებაც მიგველოცა. ძალიან ძველი დროის თუ ვარ, ალბათ, მართლა რაღაც ძალიან შეიცვალა. მიხაროდა, შვილებს რომ ქალაქს ვაბინავებდი. აბა, ჩემსავით წელი რად უნდა იწყეციტონ მიწის ჩიჩქნით-მეთქი. რა სულელი ვიყავი! მერე და მერე მივხვდი, ხელისგულით რომ ეხები მიწის გოროხებს, რომ აფხვიერებ და ანოტივებ, იქნებ გეჩვენება, ნახეთ როგორი სიცოცხლე მივცეო, სინამდვილეში კიდევე, ის გაძლევს სასიცოცხლო ენერგიას, ის გავსებს ძალით.

ერთი ხანობა კი შევყურებდი ამ ტელეფონს და მერე გავთიშე. გადაინვამეთქი, შეჩვენებული, ვუთხარი მეზობლებს. სინანულით კი დამიქნიეს თავი, მაგრამ, ალბათ, არ დამიჯერეს. ან კი როგორ დაიჯერებდნენ, მათი ტელეფონებიც რომ დადუმებულა და თავადაც რომ მასე იტყუებენ თავსა. მათაც ხომ კარგად იციან, რომ უქმია ტელეფონიც და სიცოცხლეც, თუ სარგებელი არ მოაქვს. მე კიდევე რა, რომელი ელჩი მე ვიყო, ახლა სახელმწიფო საქმეებზე მქონდეს დასარეკი, მე ჩემი ნაგრამის ხმის გაგება მწყურია და ლოდინი კიდევე, ლოდინი ისეთი გრძელი და მტკივნეულია. ლოდინი ისეთი დამქანცველია, მიაქვს წლები, მიაქვს შენი ღამეები და თავს უსარგებლოდ გრძნობ, არასაჭიროდ, მიტოვებულად და მოტყუებულად. ხან ვფიქრობ ხოლმე, თუ არავისი იმედი გექნება, არც არავის დაელოდები და არც იმედი გაგიცრუვდება-მეთქი, მაგრამ აღარ კი მესმის, რა უარესია: არავისი გჯეროდეს და არავის ელოდო თუ გაუსაძლის ტკივილს გრძნობდე არმოსვლისას.

## ღელაჩემი – ჰეპელა

დედაჩემი პეპელა იყო. დილის ცვარივით ნაზი და მობრჭვიალე, მაგრამ მისი ციმციმი არ ჰგავდა ზაფხულის ცაზე აკაფებულ ვარსკვლავებს, სანთლის ალი იყო, ბნელში გამომკრთალი, ჩასაქრობად განწირული. დედას ფრთები ჰქონდა. უხილავი ფრთები და, მეგონა,

არასოდეს მომშორდებოდა, მუდამ ჩემ ირგვლივ იტრიალებდა. დედაჩემი პეპელა იყო. პეპლები სამ დღეს ცოცხლობენო, სამი დღე ჰქონდა დედასაც.

•

შემოდგომის პირია. გრილა, მაგრამ ჯერ ღუმლის ანთებამდე შორია. დილის სუსხი მკრავს კბილს, მაგრამ ვიხვევ მხრებზე საბანს და ვცდილობ ფანჯარასთან მოპარულ სინათლეს დავემალო. დედა ღიღინებს, რაღაც ძალიან ძველსა და სევდიან მელოდიას. ღიღინებს და დადის ოთახში ფეხაკრეფით. მე ვწევარ თვალეზახუჭული და არ ვინძრევი, რადგან არ მინდა სიმღერა შეწყვიტოს. მიახლოვდება. თვალეზზე ჩამოყრილ თმას უკან მინევს და შუბლზე მკოცნის. მე და დედას ერთნაირი თმა გვაქვს. წვრილი, წვრილი კულულები, აბრეშუმით რბილი. სწრაფად მბანს ხელ-პირს და მაცმევს. მაგიდასთან ცხელი ჩაია. პურზე ჯერ კარაქის თხელ ფენას უსვამს, მერე მურაბის წვენს. ცოტა ელვენთება, თითის ბალიშით წმენდს და თითს ილოკავს. მე ჩაის ვსვამ. დედა საშობაო ღონისძიებისთვის ლექსს მასწავლის. ჯერ თავად ამბობს, შემდეგ – მე. სურვილებს რა სიტყვა მოჰყვება, ისევ მავინყდება. მაჩერებს და თავიდან ჰყვება, ჯერ – თავად, შემდეგ – მე. შობამდე გრძელი შემოდგომაა. რთველია, კარალიოკებია დასაჩირი, დათრთვილული დილები და პირველი თოვლია, ბევრი დილა დარჩა შობამდე, მაგრამ პეპლებს დრო არ აქვთ, პეპლები არასდროს ჩაუვლიან სასურველ ყვავილს გვერდით, იმ იმედით, რომ უკანა გზაზე დააკვდებიან კოცნად. პეპლებმა იციან, რომ ცხოვრება მოსასწრებია. დედაჩემი პეპელაა და მასაც არ უყვარს არაფრის გადადება.

ბალამდე ახლა ვიცი სულ რამდენიმე მოკლე ნაბიჯი იყო, მაშინ კი მეგონა უსაშველოდ შორს მივდიოდით. უასფალტოა გზა, აბალახებული ორღობე. დედა მაგრამ მკიდებს ხელს. ნიაფი უბერავს. მისი მწიფე ქლიავისფერი აბრეშუმის კაბა ფრიალებს და წვივები უჩანს. დედას თმასაც თავის ნებაზე

აფრიალებს ქარი. მე შეკრული მაქვს, კარგად გადანული შუბლზე და ვარდისფერი ბაფთით დამაგრებული. როცა თმა გაშლილი მაქვს, მგონია, რომ დედასავით ლამაზი ვარ, მაგრამ დედა ამბობს, რომ შუბლზე თმა ამომივა, ამიტომ მე ყოველთვის მაგრად გადავარცხნილი თმა მაქვს და ჩემს შუბლსაც არაფერი ემურება.

დედა დინჯი ნაბიჯით დადის, ოდნავ ღიმილი აფენია სახეზე, მზერაში კი უცნაური ბინდის ლაქები აქვს, თითქოს მთის კალთაზე ღრუბლის ჩრდილები ჩამომდგარიყოს. მგონია, რომ რაღაც ისეთს ხედავს, რასაც მე ვერ ვამჩნევ. ჩემთვის ეს უბრალოდ მანოაანთ ორლობეა. გვერდებზე აბალახებული, აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილია გუშინდელი წვიმის ნაკვალევი. აგერ გიგას ლოპესთან ისევ დაჰყევს ძალლი და დრუნჩს გამოჰყოფს გარეთ გაავებული ღრენით. იმ მიტოვებული სახლის უკან კიდევ მაყვალას მაღაზიაა. პატარა ჟანგიანი ვაგონი, მტვერდადებული, გაძარცვული, თაროზე აქა-იქ სანყლად შემორჩენილი ბრინჯითა და მაკარონით. და იქ, დახლზე, ძველი ხის საანგარიშოსთან, ჩემი საყვარელი მამალოები. დედას ვაჩქარებ, ეს ორლობე არ იქნა და აღარ დასრულდა. სახლში დამპირდა, უშეცდომოდ თუ იტყვი ლექსს, გიყიდიო. ორჯერ მოვეყვი, ისე, რომ არაფერი დამვინწყებია. დედამ მაკოცა, კარგი გოგო ხარო, ხვალიდან იმაზე ვივარჯიშოთ, როგორ უნდა დადგე, ხმა სად აიმაღლო, მაგ ხელებსაც რამე უნდა მოვუხერხოთ, თორემ ეგ კაბის კალთა მთლად დაგეხევაო.

იმ მამალო კანფეტებს დამწვარი შაქრის გემო აქვს. დამწვარი შაქრის გემო აქვს დედას ხსოვნასაც.

•

შემოსასვლელ კართან, ლუმლის გვერდით ვიწრო ტახტი დგას. იმ ტახტზე წევს. მე ახლოს არ მიშვებენ. მხოლოდ მის თავს ვხედავ. ვფიქრობ, რომ ძალიან პატარა თავი აქვს, ძალიან პატარა... მერე ვხვდები, გვიან, რომ ხილაბანდის ქვეშ თმა აღარ იყო – დედას

ჩანჩქერად დაშვებული თმა. ზურგზე წევს გაუნძრევლად, ნაჭრილობევი არ აძლევს გადაბრუნების საშუალებას. ალბათ, თვალები აქვს დახუჭული და მიმქრალი ტუჩები ძლიერად მოკუმული, რომ ჩაახშოს კვნესა, მაგრამ გაუსაძლისი ტკივილი მაინც ძვრება ბაგეებს შორის და სახლს უფრთხობს სიზმრებს. ბინდი მიძიმეა, თითქოს ველარ იმაგრებს თავს ჭერიც და დაბლა ეშვება, პატარავდება ოთახი, ვიწროვდება კედლებიც და, მგონია, რომ ეს-ესაა იატაკზე მიმასრესს.

– საავადმყოფოში უნდა გადავიყვანოთ. დღეს უკვე ველარც მცნობს. როგორ, კაცო, სამართალი არაა?! რა-მე საშველი უნდა იყოს, ეს ტკივილები მაინც როგორმე... – სიტყვა უწყდება კუთხეში მიმჯდარ ბებიჩემს. გალავულ ფეხებზე, დამჭნარი მკლავები უღონოდ ჰკიდია და დამპალ იატაკს ჩაჰყურებს ნელში მოდრეკილი. მე ვერ ვხედავ, მაგრამ ვგრძნობ, როგორ ვარდება მსხვილი, ცხელი ცრემლი თვალიდან, როგორ მიგორავს მის დაღარულ, მზენაკრავ სახეზე და მერე მოწყვეტით ვარდება იატაკზე.

ღამე მოდის, მაგრამ ძილი არსად ჩანს. ვფიქრობ, ნეტა ხვალაც გავაცდენ სკოლას თუ დედა ადგება და უწინდელი გულმოდგინებით დამბანს ხელ-პირს, დამვარცხნის თმას, მასაუზმებს, გამომიკითხავს გაკვეთილებს და გადაამოწმებს დევს თუ არა ჩანთაში წიგნები და რვეულები, კალმები და სახაზავები, ფანქრები და საშლელელები, დევს თუ არა ჩემი ქურთუკის ჯიბეში ხელსახოცი. მერე სახლიდან გასვლამდე კიდევ მეთოდ შემათვალისწინებს, კიდევ ერთხელ გადაამოწმებს, რამე ხომ არ გამორჩა... სკოლა მომენატრა, ჩემი მეგობრები მენატრებიან, ეს წინა სასკოლო სისხამ დილის სამზადისი, ცხელი ჩაი, დედას უღონო, მაგრამ მზესავით თბილი ხელები...

დილაბინდია ისევ, რომ მალვიძებენ. ეს დედა არაა, ლალი დეიდაა, მარიამის დედა. ლალი დეიდას შევყავარ აბაზანაში და ხელებს მბანს, მაგრამ ისე არა, როგორც დედა. მის მოქმედებაში

რალაცნაირი უხერხულობა იგრძნობა, თითქოს ცდილობს თვალი ამარიდოს. თმას მვარცხნის, მენინკნება. ლალი დეიდას არ აქვს ისეთი რბილი თითები, როგორიც დედას. დედას ნაზი ხელები აქვს, ერთი ხელით თმის ძირებს მიჭერს და მეორე ხელით, ნელა, ძალიან ნელა მვარცხნის. ლალი დეიდამ არ იცის როგორ დამვარცხნოს თმა ისე, რომ არ მატკინოს. ცრემლს გაჭირვებით ვიკავებ, მეჩვენება, რომ ლალი დეიდაც ძლივს ყლაპავს ცრემლს. ტანსაცმელს მიცვლის. ეს საგარეო კაბაა. დედა ამას სახლში არ მაცმევს. არც - სკოლაში. ნეტავ სად მივდივართ? შუა ოთახში ვჩერდებით. იქ, შემოსასვლელთან მდგარ ტახტთან, ხალხი შეგროვილა. ვგრძნობ, როგორ უთრთის ლალი დეიდას ჩემს მხრებზე დაყრდნობილი ხელები და რომელიღაც ბავშვური ცოდნით, ყველაფერს ვხვდები.

•  
ოცდაათის ვარ. ჩემს ნაქირავებ ორ ნაბიჯ ბინაში სევდა ვერ ეტევა. ორივე ვერ ვთავსდებით. მინდა, მარტო დავრჩე, მაგრამ სევდას არსად უნდა წასვლა. კედლიდან სარკე წინა კვირას ჩამოვხსენი და რადგან მისთვის ადგილი ვერსად ვიპოვე, ისევ დავკიდე, ამჯერად შებრუნებული. აღარ შემეძლო ჩემი თავის ყურება, ჩემი ლანდად ქცეული არსებობის ატანა. მაგრამ სარკის ყოფნა-არყოფა არაფერს ცვლის, ამას ჩემი კაბებიც მოწმობენ, ჩვენ ერთმანეთისთვის აღარ ვართ შექმნილი, ახლა ჩვენ შორის უსასრულო სიციარიელა. გრძელი გზა, თითქოს დამავინწყდა, როდის გავლიე. ბოლო ღერ სიგარეტს თითებში ვათამაშებ, მერე ჩემს თითებს ვატოლებ, მგონია, სიგარეტის ღერი უფრო მსხვილია. ალაგ-ალაგ ამომწვარ და მტკვერდადებულ ფარდას ვწევ და გარეთ ვიხედები, გარეთ არაფერია, მხოლოდ ბეტონის ურჩხულები. ჩემი (სხვისი) ფანჯრიდან არც ცა ჩანს და არც მიწა. ეს სახლიც ჩემსავით დაიკარგა. სადღაც გამოეკიდა, სადღაც აღმოჩნდა, სადაც მისი ადგილი არაა. არც ჩემი ადგილია. აღარც ჩემი ადგილია არსად. ვფიქრობ, ახლა

რომ გავალო ფანჯარა და, მაგრამ ჩემს (სხვის) სახლს ფანჯარა არ ელება. და მაინც, რომ... საკუთარი თავი მეცოდება. უნებლიეთ მკერდისკენ გამირბის ხელი. თითქოს გახურებულ ცეცხლს შეეხო, ისე მწვავს ხელისგულს. მახსენდება ექიმის დაბნეული სახე, მერე ვფიქრობ იმ თეთრ, უფერულ კედლებზე, საავადმყოფოს ცივ და მონჯილრეულ საწოლზე, რამდენი ადამიანის ტკივილით და შიშით რომ დამძიმებიათ სხეულები, ვფიქრობ ხილაბანდებზე, უთმო თავებს რომ ფარავს და ვფიქრობ მკერდზე, რომელიც ახლა უკვე აღარ ვიცი, ვისთვის ფეთქავდა. ძილი მომინდა, ღრმა და გამოუღვიძებელი ძილი.

მივწეკი. ძილი არ მოდის, მახსენდება, რომ სადღაც წამალი უნდა მქონდეს, ვპოულობ. ვსვამ ერთ აბს. გადაყლაპვისთანავე ვხვდები, ჩემს უძილობას ვერ მოერევა. მეორეს ვსვამ, მერე მესამეს, მეოთხეს და ასე მიყოლებით... ბოლო აბამდე. ვწვები, თვალებს ვხუჭავ და სანამ დიდი ძილი მოვიდოდეს, ჯერ ნაბიჯების ხმა მესმის, ფრთხილი, მსუბუქი ნაბიჯების ხმა და მერე მელოდია ჩამესმის: ლილინებს დედა, ძველ, სევდიან მელოდიას ლილინებს. მცირეა. თითქოს ისევ სამის ვიყო და შემოდგომის მიმწუხრს, თბილ საბანში გახვევას ვნატრობდე. თითქოს ველოდები, აი ახლა, ახლა მოვა, დაიხრება, შუბლიდან გადამინევს თმას და მაკოცებს. თვალებს ვახელ. ჩემს თავთან პეპელა დაფრინავს. გამჭვირვალე პეპელა დამტრიალებს თავს. ერთი ხანობა მგონია, რომ ეს მირაჟია, მერე მახსენდება, დედა - ჩემი პეპელა და ვფხიზლდები.

•  
დედა-ჩემი პეპელა იყო. პეპლებს სამი დღე აქვთ, მაგრამ დედები მარადიულად ცოცხლობენ, რადგან მათ სიკვდილი არ შეუძლიათ. ისინი აგრძელებენ უხილავ არსებობას, ჩვენ ზურგს უკან, უხილავი ფრთებთა და როცა ჩვენი წლებით და ტკივილით დამძიმებული სხეულები იჩოქებენ, ჩვენი პეპლები ფრთებს შლიან და არ გვაძლევენ დაცემის უფლებას.



## ჩემი მწერლები

კუთხის მაგიდა მოვძებნეთ. ლუდი შევუკვეთეთ. ისინი ბუხართან ისხდნენ. ხუთნი იყვნენ, ქართულად ქეიფობდნენ, კულტურულად, ზომიერად, სევდა და ღიმილი ახლდათ. კაკლისუღლისფერ კონიაკს სვამდნენ. დენდებს ჰგავდნენ.

ერთი წამოდგა, თითქოს ქართული გენი წამოიმართაო, ხელები ისე ლაღად გაშალა, მომეჩვენა, მუცოს კოშკიდან არწივი აფრენილიყოს. ღირსებას გაუმარჯოსო ქართულს, კაცს კაცურის ეპითეტი რომ არ სჭირდებაო, როგორც იმ დიდმა კაცმა ახსნაო. აი, კაცობაო, უბრალო უნდა იყო და სუფთა დახავსებულ ლოდებს შორის მომავალი მთის წყალივითო. მთაზე თუ უბრალოებაზე გუდამაყრელი კაციც წამოაგონდა ვიღაცას, ღირსებას ვახსენებდითო და ღირსების არარსებობა იყოო ერის, მისი უფულობის გამო სიკვდილი. მაგან ის ამბები ვერ მოინელაო, იმან თქვა, სამეფხა სკამზე რომ იჯდა და დაქანცული მხრები დანებებული ჯარისკაცივით ჩამოეყარა. სევდა ჩადგა მათ შორის და მწუხრებით, ჩუმი ხმით ახსენეს სისხლი და თბილისი. სიტყვების გარჩევა ჭირდა. გუმანით ვგრძნობდი, ოთხმოცდაათიანებზე იყო ლაპარაკი.

– მწერლები არიან, – თავის გადაქნევით ვანიშნე მეგობარს.

ისევ მათი მაგიდისკენ გამირბოდა მზერა, მათ ამოცნობას ვცდილობდი. საკუთარ თავზე გავბრაზდი, როგორ არ უნდა ვიცნობდე-მეთქი. წიგნებს გადავაველე თვალი, პერსონაჟებს მივამსგავსე: აგერ ის, წვერიანი, ვერცხლმოკიდებული თმით, ის უნდა იყოს, ომსა და რევოლუციაზე რომ წერს. აი ის,

მარჯვნივ, მელოტი, ყელზე შარფით, პოეტი იქნება. სათითაოდ ჩამოვუარე, ყველა „ვიცანი“. მეამაყასავით მათ გვერდით ჯდომა. ვივაჟკაცე, ანგარიში მოვითხოვე, გადავუხადე.

ლუდს დავენაფე მოწყურებული, შემთბარიყო, გაზი დაჰკარგვოდა, ხასიათი წამიხდა. გული ისევ იქით მქონდა, ჩემი მწერლებისკენ. რაც არის არის-მეთქი ვიფიქრე, ძალა და სითამამე მოვიკრიბე, მივუახლოვდი. გულლიად მიმიღეს, სკამი შემომთავაზეს, შებრანული ხინკალი დამაძალეს. კითხვა ვერ დავსვი, მომერიდა, არ თქვან, ვერ გვიცნოო. დროს დაველოდე. ერთ ხანს ვსაუბრობდით, ისე, რალაცებზე: სიყვარულზე, ცოტა ღმერთზე, ბევრ სიკეთეზე...

დროაო იმან, მე რომ ომის მწერალი მეგონა. წამოიშალნენ. კონიაკს გაეჭრა, სახე შეჰფაკვლოდათ, თვალებში თან ცეცხლი ენთოთ და თან ვიღაც ამ ცეცხლს უქრობდა, ანელებდა და ნაკვერჩხალს.

მოიბოდიშეს, არ შეშვენისო ქართველს სუფრასთან კაცის მიტოვება, მაგრამ რა ვქნათ, ასეთია ცხოვრება, დილაზე უთენია ვდგებით, მშენებლობაზე ვმუშაობთ, ექვსზე ხარაჩოზე უნდა ვიდგეთო.

შუალამემდე ვიჯექი ბუხართან და მარტო ვსვამდი, სამართალსა და უსამართლობაზე ვფიქრობდი. ჩემი ყოფილი თანამესუფრენი დაღლილ ჯანს ასვენებდნენ, ახალი დღისთვის, ახალი ბრძოლისთვის ემზადებოდნენ. ნამდვილ მწერლებს კი, ალბათ, მშვიდად ეძინათ და ჯილდოები ესიზმრებოდათ, ან ვინ იცის, იქნება ისხდნენ და წერდნენ დაკვეთილი ომის დაკვეთილ ისტორიებს.

## ნიკო კორინთელი

### საქანელა

ვერ დავამტკიცებ, მაგრამ, გეუბნები, ჩემს გასაგიჟებლად მოვიდნენ იქ. სიკვდილს ძლივს გადავურჩი, ხელებზე ეს შრამებიც მაქედან მაქვს. აი, ესეც, კეფაზე.

თავიდან არაფერი მახსოვდა, მხოლოდ თავის ტკივილს ვგრძნობდი, სხეულს კიდეც – საერთოდ ვერა. ექიმები რომ შემოვიდნენ, მივხვდი ცოცხალი ვიყავი, დავმშვიდდი და გავითიშე. მეორე გაღვიძებაზე ყველაფერი ერთბაშად გამახსენდა და კინალამ შოკში ჩავვარდი. მერე მენტებიც დამადგნენ და, რომ მოვუყევი, ჯერ მამაო მომიყვანეს, იმან კიდე მე რა შუაში ვარ, ფსიქიატრს აჩვენეთო. ფსიქიატრმა – ჯანმრთელიაო. პოლიციამ – თუ ჯანმრთელია, ესე იგი, გვეკაიფებაო და ლამის ჩამაყუდეს. არადა, დედას გეფიცებით, რამეს თუ ვიგონებდე, არც სხვა განზრახვა მქონია რამე. ხო გითხარით, სიკვდილს ძლივს გადავურჩი. ნეტა ფეხი მომტეხოდა იმ დღეს და იქ არ წავსულიყავი, ეგრე თავიდან ასანყობი მაინც ხო არ გავხდებოდი. ვიფიქრე, ცოტას დავისვენებ, დავრელაქსდები-თქო. მანდ იმიტომ მივდივარ, რომ აქაურობა მლლის, სწორად გამიგეთ. ხალხი მლლის, ყოველდღიური გარემო, სულ მონესრიგებული რომ უნდა იყო, სამსახურში – დრესკოდი, ქუჩაში – დრესკოდი, სახლში – დრესკოდი... პენი უნდა გაგდიოდეს, არ იგინო, ხმამაღლა არ დააცემინო, ეტიკეტი დაიცვა, ბავშვივით წვიმაში არ ირბინო, ტროტუარის ნაპირზე არ იარო. ხოდა, ავდექი და ბარსეტკაში ორი მონევა პლანი ჩავიყარე, ინტერ-

ნეტზე სამი ლარიც ჩავირიცხე, ცოტა საჭმელი და კობას არაყი, კარავი და ერთი დასაკეცი სკამი ავიკიდე, მოვაჯექი სკუტერს და კრიახით დავანეჭი შუა გორისკენ.

სასაფლაო არ არის იმ გორაზე, მართო ერთი, ჩემი კლასელის გრანდიოზული მარმარილოს საძვალეა, ცხენზე მჯდარი უზარმაზარი სურათით და ბარელიეფით. ეს ამ ისტორიასთან არაფერ შუაშია ოლონდ, მგონი. იმის იქით სამი კაკლის ხე დგას, ორი ერთმანეთის გვერდით, ერთი მაგათ პირდაპირ და ცოტა მოშორებით. მაგრად ასწორებს იქ, სუფთა ჰაერია და კაციშვილი არ მოდის. ათი ათასში ერთხელ ვიღაც ჩემაირად თუ ამოღერღეტდება და, რომ ვაკვირდები, მხოლოდ ისეთი ხალხი, ვინც ცდილობს საკუთარ ბავშვად დარჩენილ სულს გასაქანი მისცეს, პეპლებს სდიოს და ყირაზე გადავიდეს. მოკლედ, როცა მინდა მოვტყდე, სულ მანდ მივდივარ, ძირითადად მარტო. გავშლი ხოლმე კარავს, ცალკე რომ დგას, იმ ხის ქვეშ, სკამს გავმართავ, ჩავჯდები, ჩავბოლდები ჯორივით და ვუსმენ მუსიკებს, ოლონდ არც ჯაზს და არც კლასიკას. აი, იმ დღეს ქურთი ზურია რომ გავასწორე მიწასთან ლადაობით, მასეთებს. კიდე ათას სისულელეს ვაკეთებ. ჩანთაში ყოველი შემთხვევისთვის, ერთი ცალი წიგნი მიგდია, ვინმე თუ ამოვიდა, მაშინ რომ გადავშალო, ვითომც არაფერი, მაგრამ შუაში რამდენიმე ფურცელი აქვს ამოხეული. წინა ამოსვლაზე დამჭირდა. სანამ დამეძინება, ვსვამ ხოლმე არაყს და ვენწევი, ვიფურთხები და ხმამაღლაც ვაკუებ.



თუ მოვინწყინე, პორნოებიც მოსულა. მოკლედ, რა გინდა სულო და გულო, აქ ყველაფერი შეიძლება, რაც ძალიან გინდა რომ ქნა და იმიჯის გამო ვერ აკეთებ, იქ, სადაც თავს იმკვიდრებ. შეგიძლია დაიცვალო, მოიხსნა საზოგადოების შეხედულების მიხედვით მორგებული ალვირი და იხვიხვინო რამდენიც გაგიხარდება. ხოდა, იმდღესაც მაგიტომ წავედი, მაგრამ რას ვიფიქრებდი?! ლაზარეს საფლავთან ცოტა რაღაცა უცნაური შეგრძნება კი შემომიჩნდა, მაგრამ, ალბათ, დიდი ხანია რომ არ ვყოფილვარ-თქო ვიფიქრე. გავაჩერე კიდეც სკუტერი, გადავიხედე და ვერაფერი უჩვეულო ვერ შევამჩნიე, ისევ იქ იყო. ან სად წავიდოდა, მეათე კლასში თავისი ნებით გაიუქმა თავი. მოკლედ, ყველაფერი ჩვეულებრივ იყო, მთვარის მკრთალი ანარეკლიც ჩანდა, ხმობაში შესული ბალახის სუნიც იდგა, მანანნალა ძაღლიც უდარდელად დაყიალობდა მოშორებით და ლაზარეს ცხენზე მჯდარმა სურათმაც ძველებურად გამომაყოლა ცისფერი თვალები. ხესთან მოვედი, ჩავისხენი რაც კი აკიდებული მქონდა და ბარსკეტკიდან ერთი მასტერკა ამოვიყვანე. სანამ დავბანაკდები სულ ვეწევი ხოლმე, მერე უფრო სიამოვნებით ვჩალიჩობ, მაგრამ ეხლა გავუკიდე თუ არა, მაგრად გამაბრუა და გამისწორდა. კაი ხანია ეგეთი ცოფი არ მომიწევია. გალიაკს გადარჩენილი, ძველი, თავისით გამხმარი ბიჭი იყო და ჩამსვა კიდეც სკამში კაი ხნით. ეგ კი არადა, სკამის გაშლაც ძლივს ვიჩაღიჩე, კარავს ვინ ჩივის. მოკლედ, მე მაგან ამბები გადამატანინა, ბოლოში ვეხვეწებოდი მორჩი-მეთქი, ხან სად გამისროლა ხან – სად. ვაფშე არ მეგონა, აზრზე თუ მოვიდოდი ოდესმე, მაგრამ მეკიდა, კაციშვილი ვერ მხედავდა, შემეძლო ჩაჯმამდე მეცინა, მეტირა და მერწყია, მეცეკვა ან პატარა ბავშვით სისულელეები მეკეთებინა. აქ ხო ზუსტად მაგისტის ვარ. ადრე ბავშვობა გავიხსენე და ერთ კალიას ვდიე კაი ხანი ამხელა კაცმა. მეთქი ბაყაყსაც გავებრავ საღამოს თუ მოყიყინდა-თ-

ქო, მაგრამ არ გაიჩითა, არადა, მთელი ბავშვობა მაინტერესებდა, რა შეგრძნება იყო. ამ ბოლო ასვლაზე კიდე, ადგილიდან ვერ გავტოვდი რა, საათზე მეტი მაკაჩავა მოსაწევმა დაუნდობლად, მერე ცოტა პაუზები კი შეაყოლა და გამიარა თანდათან.

რაღაც მომენტში მაგარი უცნაურად შემაცია, გარშემოც ჩამოხეწა, ლაზარეს საფლავზეც აინთო ლამპიონები და დაადგა ნანატრი ნათელი ცხონებულს. არადა, წესით ადრე უნდა ყოფილიყო, ტელეფონს დავხედე და ეგრეც იყო, მაგრამ არც ინტერნეტი იჭერდა და არც მობილური. დავიკიდე. მეთქი, სანამ ისევ დამაგდო და ცოტა აზრზე ვარ, კარავს გავშლი და საძილეს მოვხოდავ-თქო. ხოდა, წამოვინიე თუ არა, ეგრევე რაღაც მანქანა ამოვარდა ბლუილით – შავი ჯიპი, დაბურული მინებით. წინ რო ორი ხე დგას, მაგასთან მიჩერდა ისე, რომ მძოლის მხარე პირდაპირ მე გამისწორა ამ ნაგლმა. მაგრად დავიგრუხე, იზმენაც წამოვიდა ორგანიზმში, უეჭველი მენტები არიან-მეთქი, – გავიფიქრე და ეგრევე დავაბრუნე ტრაკი სკამში. ბარსეტკა ცალი ხელით, გამნალმელივით ნელა გავხსენი, ფოლგაში შეხვეული მთელი მოსაწევი დაბლა დავყარე და ფეხი ფრთხილად გავუსვი, რომ არ დაემულამებინა იმ განდონს. მოვრჩი თუ არა ამის ჩაღიჩს, მანქანა ჩააქრო და ყურებმა დაისვენა, აზანზარებდა იქაურობას. მე ცოტა თამამად ჩანთას გადავწვდი, არაყი მოვინოდე და ბოთლიდანვე დავიყუდე, რო რამე მთვრალი ვეგონები, თან ამ კაიფსაც ცოტა სიმთვრალეში გადავიტან-თქო. იმან კიდე კარები გააღო და გადმოვიდა, მაგრამ რა გადმოვიდა, გამოივსირდი, ამ ადგილას ესეთ როჟას ნაღდად არ ველოდი. არ ვიცი ვინ იყო, მაგრამ ერთი-ორი დაცვის მანქანა რომ ცალკე დაყვება ხოლმე, ისეთი, ჰალსტუხიანი, გაპარალელებული ფეხსაცმელებით, გაპარსული და მონესრიგებული ტიპი, რაღაცა სუნამოს სუნიც მოიტანა ნიავემა. უეჭველი მთელი ჩემი ქონების ფასი ღირს. ეხლა რომ

ვიგრძნო, ვიცნობ. მომენტში თითქოს ჩემკენ მოიხედა, ხელი ავუწიე ფრთხილად, მაგრამ დამიიგნორა. არ მეფასება ეგეთი ტიპები, ასეთ გარემოშიც კი ჭიანჭველად რომ გთვლიან და არ გიმჩნევენ. საკაბინეტო ზმანზე კი ხარ, ძმაო, მაგრამ ეს ბუნებაა და აქ ყველა ვთანბრდებით. მოგინდება ცეცხლის ანთება და რამის შეწვა, რომ მოსალამოვდება და მერე განახებ, როგორ უნდა ჩემი არ შემჩნევა-თქო, – ვფიქრობ. ასეთი ფოე-ფოე ტიპები ხო დამოუკიდებლად ვერაფერს აკეთებენ ბუნების წიაღში. ხოდა, ვაკვირდები, რას იზამს და ველოდები ჩემს მომენტს. იმან უკანა კარები გააღო და ზუსტად ჩემნაირი სკამი არ გადმოიღო? ჯერ ლაზარეს საფლავისკენ გავიხედე და მერე მალლა ავიხედე ცაში, რამეს ხო არ მიჩალიჩებენ ზემოდან-მეთქი. მერე მულამიც კი დავუჭირე, მაგის დედაც ვატირე, რატომაც არა, მოდი და ვნახოთ ერთი რა მოხდება-მეთქი. ჩემი დაჭერა რომ უნდოდეს, მარტო კი არ მოვიდოდა-თქო და საკაიფოდ მოვკალათდი. ამან დაიქნია სკამი, გაშალა, იქვე მიდგა, ზურგით ჩემკენ და სახით ხეებისკენ, ისევ მანქანისკენ წავიდა და მაგიდაც გაჩითა. მე მაგიდა არ მაქვს. ამ გარემოშიც ხო ჩემზე მეტი უნდა იყოს ეს ახვარი რალაცით. შავი ტყავის ჩანთაც გადმოიღო, უხალისოდ დააგდო სკამთან და დაჯდა ჩემკენ ზურგით, ვითომც არ ვარსებობ. შენ მოგიტყნავ-თქო, – გავიფიქრე. ცოტა ხანი ეგრე იჯდა გაუნძრევლად, მერე თავი ხელებზე ჩამოდო და ისეთი ამოიოხრა, აქ გავიგე. მივხვდი, რომ რალაცა ჭამდა შიგნიდან, რალაც სადარდებლით იყო აქ ამოსული, ამიტომ წყენამ მალე გადამიარა. მერე რა მოხდა-თქო, – ვიფიქრე, მეც ხომ იმიტომ ამოვედი აქ მარტო, რომ არავისთან კონტაქტი არ მინდოდა. სანამ ეგრე უძრავად იჯდა, მე ლამის კიდევ წამიღო მოსაწევმა, მაგრამ მალევე ამოძრავდა ეს მასტი და მეც ეგრევე მოვიხოდე. ჩანთიდან კონიაკი და ერთი ცალი ჭიქა ბაჭისასავით ამოიყვანა. მაგიდაზე დადგა, დაასხა და დალია. კიდე

დახვეული თოკი და რალაცა ნივთები ამოალაგა, რომ ვერ გავარჩიე წესიერად. მაშინვე მიგრძნო გულმა და მეთქი ნეტა ეს თოკი კარვის გასაშლელად უნდოდეს-თქო გავიფიქრე, მაგრამ არ ჰგავდა ეგ კარვის გამშლელს. ადგა, პიჯაკი გაიხადა, სკამზე ისე გადაკიდა, გეგონება კაბინეტში მჯდარიყო, კონიაკს თავი მოხსნა, კიდევ დაისხა, სიგარეტს გაუკიდა და წრუპავს, თან წყნარად დატასაობს ხიდან ხემდე, პერიოდულად მალლაც იყურება. მე აქეთ იყო გა მკლავს და ბოყინით ვსკდები, ფეხსაცმელში ერთი კუბი მიწა მიყრია და ისეთი არაყი მაქვს, დახურული ბოთლიდან მწვავს თვალებს, თან საგონებელში ვარ და თავში ერთმანეთს მიყოლებით ათასი აზრი მეზადება. კონიაკიანი ჭიქა ბოლომდე დაცალა, მაგიდასთან მივიდა და წელიდან იარაღი არ ამოიღო? ჭიქას მიუღო გვერდზე, დაჯდა და კიდევ ოხრავს. მე უკვე დავრწმუნდი, რომ აქ კაი არაფერი მოხდება და ვიძაბები, თან ვერაფერი გამიგია. ეს იარაღი კაი, მაგრამ აბა, ეს თოკი რალა ჯანდაბად უნდა ამ არანორმალურს?! მოკლედ, ვარ ასე გასუსული და ვფიქრობ, რა ვქნა. ის იქ დაისხავს, მე აქ და ვუყურებთ ჩვენ ჩვენს ხედს სირებივით. იმას უფრო ლამაზი ხედი აქვს, მე უფრო საინტერესო. ხოდა, ვაფშე დამავინწყდა ჩემი კარავი და ამბები. ამ ტიპის გარდა, ველარაფერზე ვფიქრობ. ეს ჩემნაირი კომპლექსიანი არ ჩანს, თავიც დამკვიდრებული აქვს და, დიდი ალბათობით, სხვებსაც ამკვიდრებინებს. ისეთი როჟაა, ჩემსავით მონატრებული ან ბავშვობაში ვერ გაკეთებული სისულელეების გასაკეთებლად აქ არ ამოვიდოდა. აბა, ეხლა ჰგავს ეს მასტი ბაყაყის გამბერს და პეპლების ქუდით დამჭერს? მეთქი უეჭველი თავი უნდა გაიხვრიტოს ან ჩამოიკიდოს ამ ჩემისამ-მეთქი. მე კიდევ მენტი მეგონა და მთელი მასტერკა პლანი მოსვპე ამის გულისთვის. მამენტ, დასაბრედი არ არის? მაგრამ მაგარი შარია. აგერ მე ვარ და ოც მეტრაში მასტი თავს იბრედავს, რა დაგენძრა შე

საცოდაო ნიკოო. ეგრევე თვალწინ დამიდგა იმ დღეს მოსაწევზე რომ ვერ დამიჭირა და მაგრად ვეკაიფე, იმ პროკურორის ნიშნისმომგები ღიმილი. გათრევენ აქეთ-იქით და უმტკიცე მერე ნაფიც მსაჯულებს, რომ შენი დაბრედილი არ არის. ერთი მომენტი ვიფიქრე, ხო არ დავახვიო აქედან-მეთქი, მაგრამ ეგ უფრო მშარავს, ჩემი საბურავების კვალი, აგერ მოვფსი წელან ბუჩქებში და დეენემიც ადგილზეა. ეშმაკმა უწყის ვინ დამინახა, აქ რომ მოვდიოდი ან რომელ კამერებში დავფიქსირდი, სანამ აქ გადმოვუხვევდი და რატო გაიქცეო, ძმაო, შენ თუ კაი კაცი ხარო?! მოკლედ, რამენაირად უნდა შევუსრულო ამას. ჯერ ცოტას დავლევ სითამამისთვის და მერე მივუჯდები ჩემი სკამით, მაგიდის მეორე მხარეს და მაგარ ხოდზე მოვიყვან. მოსაწევი კი აღარ მაქვს, მაგრამ ამ არაყს ჩავაცეცხლებ. მწარე კია, მაგრამ ყლზე გაკიდებინებს ცხოვრებას. ამ ფიქრებში ვარ და მართლა არ აიღო ამ შიგნაკრვმა ეს თოკი? ყუფის კეთება დაიწყო, მაგრამ, ეტობა, გარტყმაში არ არის, როგორ ქნას. ხო გითხარით, ეგეთი ტიპები ბუნებაში ჩვეულებრივი უუნაროები ხდებიან. ალბათ, იარაღიდან გასროლასაც ვერ ბედავს და მაგი რომ უნდა ჩამოეკიდოს, სულ რომ გადაიფიქროს ბოლო მომენტში, თავი რომ ველარ გაინთავისუფლოს-თქო, – ვფიქრობ ჩემთვის, თან ვაგინებ – მე რას მერჩი ამ ყველაფერს რომ მაყურებინებ-თქო. გადავკარი კიდე ორი ყლუბი არაყი და ის-ის არის, უნდა ავდგე და იმისკენ დავიძრა, მანქანის მეორე მხრიდან, ვილაც თეთრკოსტუმიანი ახმახი არ გაიჩითა? თუ ვიგონებდე, ბოზი ვიყო! ვაფშე გამოვყლევდი. ეტყობა, მძღოლის გვერდით იჯდა, მაგრამ კაი ორმოცი წუთი რა პონტში არ გამოვიდა? ან კარები რომ გაიღო, რატო ვერ დავინახე? ეხლაც არ გამიგია მანქანის კარის გაღება-დახურვის ხმა, არადა, ესეც ისეთ ზმანზეა, ფეხით მოსულს არ ჰგაქვს. კომედისკეჩებში რომ ახლად გამდიდრებულ ტიპებს აცვიათ, თეთრი მბზი-

ნავი შარვალ-კოსტუმი, ზუსტად ეგეთი. ისეთი პრიალა ფეხსაცმელი, რომ ვუყურებ ძირიც არ ექნება დასვრილი. ქერა თმები უკან აქვს გადაწეპილი და ცისფერ თვალებს უბრიალებს ამ ტიპს, ჯიპით ვინც მოვიდა. პირდალბული ვუყურებ და ლამის სახეში სილები ვირტყა და სადმე ვიჩქმინტო, ისეთი მასკარადი მომიწყვეს ამ ჩემისებმა. ეს ახალი ტიპი კაი ორი და ოცია, შეიძლება მეტიც, იმენა კულტურისტის ტანზეა. პიჯაკის შიგნით პერანგი ტანზე მოხდენილად ადგას და რალაცნაირად ფერმკრთალია, გამჭვირვალე გეგონება, ხელში რალაც ბოთლი უჭირავს, მაგრამ არაყი არ იქნება, ალბათ, ვიტამინებით სავსე წყალია. უეჭველი დაცვაა ამ დეპრესიული ცირკარის-თქო, – ვფიქრობ. დავჯექი და გავისუსე. რას დავეძებ? გამისწორდა კიდეც. მე არაფერი შემეტენება, რამე თუ მოხდა. მით უმეტეს ესენი არც მიმჩნევენ, მე კიდე ამათი ბაზარი დეტალურად მესმის. რა ჯანდაბას აკეთებ, რას ცოდვილობო, – ბავშვივით დაუნყო დატუქსვა. მომეშვა, გამჩენს ვფიცავარ და ერთი ლიტრა ოფლი მოვინმინდე შუბლიდან. სკამში მოწყვეტით ჩავჯექი, მეთქი ეგარი და ეგ გადააფიქრებინებს ამ თოკის ჩამოკიდებას, ლამის პირჯვარიც კი გადავინერე, მაგრამ იმ დღეს ჩემი გაგიჟება ჰქონდათ გადანყვეტილი, გეუბნები. ამხელა კაცმა კვანძის გაკეთება რანაირად არ იცის, – დაჯმა არ დაუნყო? დროზე ჩამოკიდე ხეზე, სანამ ვინმემ კიდე რამე გენიალური იდეა ჩაგანვეთა მაგ თავშიო. თქვენი გიჟი დედა მოვტყან! – ვფიქრობ და თავიდან მასხამს სიმწრის ოფლი. აბა, ეს ყოფილა, ეს თეთრებში ჩაცმული ფსიქოპატი თუ ყოფილა. ადექი და ჯერ მოაზომე ხეს, მერე გეტყვი კვანძი როგორ გააკეთოო, ამხელა კაცმა მაინც რანაირად არ იცი კვანძის გაკეთებაო. მე უფლება არ მაქვს, თორე ცალი ხელით შემიძლია, უბრალოდ პირდაპირი ჩარევა გამომივა და ღმერთი დამსჯისო. ისე წყნად და მოფერებით ელაპარაკება, გეგონება ხუთი წლის ცელქ ბავშვს სანოლში და-

წოლაზე და დაძინებაზე კერავდეს. ეს მასტი ადგა, კონიაკი კიდე დაისხა, ხეებისკენ წავიდა და მალა დაიწყო ყურება. მართლა არჩევს რომელ ტოტზე ჩამოეკიდოს. ამ ქერამ კიდე, დოღფ ლუნდგრენის დედამამიშვილს რომ ჰგაქვს, მანქანიდან მეორე ზუსტად ჩემნაირი სკამი გადმოიღო, იმასავით დაქნევით გაშალა, მაგიდას მარჯვენა მხარეს მიუჯდა და კარნახობს, მანდ არა, აი, მანდ ჯობს, აბა, იქით ნახეო. რალაც მომენტში ეს ბიჭი, ჯიპით ვინც მოვიდა, თითქოს დანებდა, ისევ სკამზე დაჯდა, თავი მიატრიალა და, ალბათ, თვალი იარაღისკენ გაექცა, რადგან ხელიც მისკენ წაიღო, მაგრამ ამ თეთრტანსაცმლიანმა დაასწრო და თვითონ დააფარა იარაღს ხელი. ჯიპით მოსულმაც მორჩილად გადაიფიქრა, ამოიხსრა და ისევ თოკს დაუწყო ჩალიჩი.

არა, მე გმირი არ ვარ, არც თავის გაწირვას ვაპირებ, საერთოდაც, ვფიქრობ, რომ ვინმეს თავის აყირაგება თუ აქვს გადაწყვეტილი, იმ წუთას რომც არ აცალო, გაგერიდება და მაინც იზამს. არ ვაპირებ მივიდე და ამ ტიპს, რომელსაც ჩემზე კარგად აცვია, ჩემზე კარგი მანქანა ჰყავს, ჩემზე სიმპატიურია, ჩემზე მეტი ფული აქვს და, სავარაუდოდ, არც ერთი ცხოვრებისეული დეტალი არ არსებობს, სადაც ჩემზე უკეთესად არ არის, გადავარჩინო. სასაცილოც კი იქნება. წარმოდგინეთ სცენა, ხუთლარიანი არყით აყროლებული, ნახევრად დაბოლილი, ძონძებში ჩაცმული ბომჟი რომ მიდის, ცხოვრებისგან განებივრებულ ჩაკოკაინებულ ტიპთან და უმტკიცებს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რომ ცხოვრება არც ისე საშინელია, როგორიც ჩანს და სხვა დემაგოგიურ და ბანალურ ფრაზებს ეუბნება. ეგ კი არადა, ნამუსი რომ მქონდეს, ჯერ მე უნდა ვიკლავდე თავს, მაგრამ მე მკიდი. მე როცა ვიღლები, აგერ აქ ამოვდივარ და ბაყაყებს დავდე, თავს ბავშვობაში ვიბრუნებ და ჩემს კლასელსაც ველაპარაკები ხოლმე, თუ მომინდა. ხო და ჩემი კლასელი-თქო და ლაზარეს საფლავისკენ

გამეხედა ინსტინქტურად. გამახსენდა, როგორ ვიპოვეთ ბიჭებმა, ჩვენი ქალაქის შუაგულში პატარა ტყე რომ არის, იქ, ნეკერჩხლის ტოტზე ჩამოკიდებული და რას ჰგავდა, როგორი ნატანჯი იყო. არა ძმაო, ვერ დაუშვებდი, რომ ვინმეს ჩემ თვალწინ თოკი ჩამოეკიდა ხეზე და თავი ამ დღეში ჩაეგდო. ხოდა, ჩემმა შინაგანმა მემ, მუშტი მკაცრად დაჰკრა მაგიდას და გადაწყდა, რომ დღეს ყველაფერს გავაკეთებდი, რომ ამ კაცს ეგ თოკი არ ჩამოეკიდებინა ხეზე. დადგინდა, რომ ჩემი მისია ამ კაცის გადარჩენა კი არ არის, მისთვის რაც შეიძლება სწრაფი და უმტივინეულო თვითმკვლელობის გზაზე დაყენებაა. უნდა ამ ყველაფრიდან გაქცევა? კი ბატონო, მე ვერ შევცლი ვერაფერს, გარდა იმისა, რომ თვალეზის გადმოკარკვლა და ასფიქსიით სიკვდილი ავარიდო თავიდან. აგერ უდევს იარაღი, თითის ერთი მარტივი მოძრაობა და ვერც მიხვდება, ისე ტელეპორტირდება იქ. ხოდა, ავდექი, ჩემი სკამი დავითრიე, პირდაპირ მივაჭერი და არ ვიცი, რატო, ეგრე აქამდე არასოდეს გამიკეთებია, მაგათ როგორც ქნეს, ზუსტად ისე დაქნევით გავშალე და ამ ტიპს მეორე მხარეს მივუჯექი. გამარჯობა-მეთქი, – ვთქვი და თავზარი დამცა ეგრევე. დაწნმუნდი, რომ იმენა ჩემს გასაგიჟებლად იყვნენ მოსულები. ჯერ ხო ამ ტიპმა თოკს რომ ეჩალიჩებოდა, ისე დამაიგნორა, ჩემს არსებობაში ეჭვი შემეპარებოდა, იმ ქერას რომ არ ეთქვა, აჰაა, ესეც მოვიდაო! თან ისე წამოიძახა, გეგონებოდა მოსაწვევით ვყავდი დაპატიჟებული, მე მელოდებოდნენ და ახლა დაიწყება ნამდვილი წვეულება. ვზივართ სამივე ეგრე. მე ვფიქრობ, თუ ასეა და მაგიუბთ, დედას გიტირებთ მოდით და აგყვებით თამაშში-მეთქი. ეს ჯიპით რომ მოვიდა, ჩვენ შორის ზის, თავი აქვს ჩალუნული, თოკის ერთი ბოლო ხელში უჭირავს და თვალი მიწაზე რომ გდია, იმ მეორე ბოლოზე აქვს გამტყრებული. ეს ქერა კიდე, რალაც ცინიკურ ფრაზებს ისვრის და ხელით მაგიდაზე და-



დებულ იარაღს იცავს, თან გამწარებულ-  
ლი ეჩალიჩება, თოკი დაკიდევ.

– მაინც რა მასშტაბის ფსიქოპა-  
ტი უნდა იყო, კაცს იარაღით უშლიდევ  
თვითმკვლელობას და თოკის ჩამოკი-  
დებას აძალბებდევ? – ვუთხარი წყნარად.  
ვცდილობ არ გავალიზიანო და როგორმე  
იარაღიდან ხელი ავალეზინო, რომ ამან  
თავი რაც შეიძლება უმტიკვნეულოდ და  
სწრაფად დაიბრიდოს. – საერთოდ გინა-  
ხავს, როგორია ადამიანი თავს რომ ჩა-  
მოიკიდებს? გინახავს როგორ იტანჯება?  
ან რა ემართება მას შემდეგ, რაც მოკ-  
ვდება? ალბათ, არა და ძან გინდა ეხლა  
ნახო, შე სადისტო. – ვეუბნები ამ ქერას.  
ის კიდევ ცინიკურად იცინის, ხელი ისევ  
იარაღზე უდევს, – არ შეცვლილხარო,  
– მეუბნება. – ისევ ისეთი ნაგავი მანი-  
პულატორი ხარ, არც მეთოდები შეგიც-  
ვლია და, როგორც წესი, შედეგები იგივე  
იქნება, თავს გაგიხეთქავ და შეგაძვრენ,  
საიდანაც გამოძვრიო. ამ ჩვენს შუაში  
მჯდომს კიდევ ეუბნება, მაგას არ მოუს-  
მინო, რაც არ უნდა გითხრას, მხოლოდ  
ჩემს სიტყვებს უსმინე, მობილიზდი და  
ბოლოს და ბოლოს ჩამოკიდევ ეგ თო-  
კი ხეზო. პირი დავაღე, – რა არ შევ-  
ცვლილვარ შეჩემა, პირველად გხედავ!  
მიცნობ? საერთოდ იცი, ვინ ვარ? – და  
შენი სახელი მითხარიო მეკითხება. – ვი-  
ნა ხართ, ბიჭო, თქვენ? თუ მიცნობ, რა  
ჩემი სახელი გითხრა, თუ არ მიცნობ,  
რა იცი, რომ არ შევცვლილვარ? ან მა-  
ნიპულატორი რომ ვარ?! – გაკვირვებუ-  
ლი ვეკითხები. დავუშვი, რომ შევეშაღე,  
სკამიდან ცოტა წინ გადავიხარე და ისე  
გავიხედე იმისკენ, რომ ჩემი სახე დაენა-  
ხა, თვითონაც მიმხედარიყო, რომ რაღაც  
ეშლებოდა, მაგრამ, შენც არ მომიკვდე,  
ჩემკენ არც იყურება, მარცხენა ხელით  
მაგიდაზე დადებულ იარაღას ფარავს  
და მზერა პირდაპირ აქვს გაშეშებული,  
ბრმასავით. ახლოდან კიდევ უფრო დი-  
დი ჩანდა, მაგსიგანე მხრები, ღმერთმა-  
ნი, არც მინახავს არასდროს და ორი და  
ოცი კი არა, კი ორ-ნახევარიც იქნებოდა.  
ხარივით სქელი, მაგრამ გრძელი კისერი,  
ზედ ცერის სისქე ოქროს ცეპი, მე რომ  
მაგიტ დამაბა, ვერც ავინწყვიტავ, ამას  
კიდევ კისერზე კიდეა, მოკლევ, გოლია-

თი. ე, იაო-მეთქი – დავუძახე, რანაირი  
დაცვა ხარ შენ ამ კაცის? ტიპს თოკზე  
ჩამოკიდებას აძალბებ, როცა შეგიძლია  
აილო ხელი მაგ იარაღიდან და უმტიკი-  
ვნეულოდ გაასაღებინო თავი. ან ვაფშე  
ადექი და ნაათრიე, საიდანაც მოვიდა,  
გააგრძელებინე თავისი ცხოვრება. და-  
ვიჯერო ისეთ მძლერშია, ეხლა რომ აქ  
თოკის ჩამოკიდებაა ბოლო გამოსავალი?

გავჩუმდი თუ არა, ისეთი გამომხედა  
თავისი დიდი ცისფერი თვალებით, ლა-  
მის გული გამისკდა. ეგრევე გავსწო-  
დი და თვალი მოვარიდე. ეს ჩვენს შუ-  
აში მჯდარი ტიპი კიდევ, ვითომც არა-  
ფერი, არც იმჩნევს ჩვენს ლაპარაკს და  
ისევ თოკს ეჩალიჩება. ცალ მხარეს უკ-  
ვე გაკეთებული აქვს კვანძი. ვფიქრობ,  
რომ უნდა ვიჩქარო, სანამ ეს თოკს ჩა-  
მოკიდებს და გადავაფიქრებინო, თორე  
ძალით ვერაფერს გავხდები. ის ქერა  
იაო მინი არ დამაცდის არაფერს. ხო-  
და, რაღაც მომენტში ძალა მოვიკრიბე,  
მაჯაზე ხელი მსუბუქად დავადე, გა-  
ჩერდი-მეთქი. ზედაც არ შემომხედა,  
მაგრამ ხელები კი გააჩერა და იარა-  
ღისკენ გაიხედა. იმედი მომეცა, მაგრამ  
რატ გინდა, იმ ქერას თავისი უზარ-  
მაზარი თათი ისევ უძრავად უდევს. –  
ხო გითხარი, რომ არ მოუსმინო-თქო?  
თან ეუბნება. – ერთადერთი გამოსავა-  
ლი შენი ხსნა არის ის, რომ გააკეთო  
ის, რაც გინდა, მოდუნდე, მოეშვა, ეგ  
თოკი ჩამოკიდო ხეზე და ამ იარაღზე  
ფიქრს თავი დააბენო. ეს ნაბიჭვა-  
რი (ჩემზე ეუბნება) ყველაფერს იზამს,  
რომ აზრი შეგაცვლევინოს და არ უნ-  
და მოუსმინო. ხოდა, მეც ველარ მო-  
ვითმინე. ნამოვხტი და დიახაც-მეთქი,  
ყველაფერს გავაკეთებ-თქო, – დავიყ-  
ვირე. ამ ქერათმიანს თვალები აენთო,  
აშკარად ესიამოვნა, რომ წყობიდან გა-  
მომიყვანა, მაგრამ ამ ჩვენ შორის მჯ-  
დომ მუდოს ისევ ისე ვკიდევარ. მე შენ  
გაჩვენებ-მეთქი, სახე ყურთან ახლოს  
მივუტანე და ვეუბნები. – მესმის შე-  
ნი, ძმაო, როგორ არ მესმის. მეც არა-  
ერთხელ მდომებია ამ ყველაფრიდან  
გაქცევა. სანაგვეა ეს დედამოტყნული  
ცხოვრება, მილიონი ყლეობა, მილიო-




ნი ვალდებულება, მაგრამ შენ აშკარად გეტყობა, რომ ამ მილიონი პრობლემის გადაჭრის მილიონი საშუალებაც გაქვს. ჯიბეზე დავარტყი ხელი, ფული, ძმაცაც ფული! – ვეუბნები და თან ვგრძნობ, როგორ მომწონს საკუთარი სფიჩი. ფული ყველაფერს შევლის, ჯოჯოხეთს ანათებს და, შენ წარმოიდგინე, ეკლესიასაც. საერთოდაც, ეს ვილაცების გამოგონილი წესები: არა კაც კლა, არა იმრუშო, არ იხარბო... ღმერთს რომ დააბრალებს, რა გგონია, შენ, მართლა ღმერთმა დაგინესა? არა! ეს წესები არა, მარა, ადამიანური ბუნება კი ასეთი სწორედ ღმერთმა შექმნა, რომელიც სიამოვნებისკენ და სიხარულისკენ არის მიდრეკილი. და როცა ადგები და ვილაც ნაშას, მათი კურთხევის გარეშე გაჟიშავ, თან ღვთისმოსიშიც ხარ, გენყება სინდისის ქენჯნა, გჯერა, რომ ეს მრუშობაა და გახსენდება ყველა პაპსა ჰორორი, რომელიც ჯოჯოხეთზე მოგიყვანს. მზად ხარ თავპირისმტვრევით გაიქცე და მღვდელს, შენი, აი, ეს ნახევარმილიონიანი მანქანა აჩუქო და ანაფორის შიგნიდან, ბალენსიაგას ჯიბეებიან ზმანში დოლარები უკუჭო, ოღონდაც ერთი სიტყვა შეგანიოს იმასთან. თითოთ ვანიშნებ ცისკენ. ხოდა, არანაირი ჯოჯოხეთი არ არსებობს, წადი რა, ძმა, შესცოდე. ისიამოვნე, იკაიფე და სინდისის ქენჯნა არ იგრძნო, მაგრამ, თუ ის რასაც ახლა აპირებ, სინდის ქენჯნის და ვითომ ცოდვებით დამძიმებული სულის გამო არ ხდება, მაშინ ადექი და ამ იარაღით გააკეთე გასაკეთებელი. არ დაუჯერო ამ მოზვერ ახვარს, – ხელი გავიშვირე იმ ქერათმიანისკენ. – რომ გამოწყობილა შენსავით სუფთად და კოპწიად, შიგნიდან რა ბინძურია, ეგ უნდა ნახო. შენ კი შენიანი გგონია, შენი მცველი და მფარველი ანგელოზი, მაგრამ სინამდვილეში ეს არის მთავარი დედამოტყნული და სადისტი. ამდენი ხანია, კვანძის გაკეთებას ჩაღიჩობ და ისიც კი არ უნდა, ხელი წაგახმაროს. ღმერთი დამსჯისო აზრზე ხარ? ძან ღვთისმოსიშის როლი აქვს მორგებული არა? ღმერთი დასჯის თურმე, მაგრამ

შენ რომ ხროტინს დაიწყებ, დაჯდება და მშვიდად გიყურებს და, შენ გარდა, არავინ გამოვა აქედან დასჯილი. არანაირი სხვა ჯოჯოხეთი არ არსებობს, ძმა, არანაირი! – ვთქვი და არ ვიცი რა ძალით და გამბედაობით ამ ქერათმიანს ვეცი ხელში და იარაღიდან ავანევი. – ჩქარა აიღე, მოასწარი-მეთქი, – დავუძახე ამას, მაგრამ სიტყვები დამთავრებული არ მქონდა, ამ ტანსაცმლიანმა საქონელმა ყელში რომ მტაცა ხელი. ისე ამწია, როგორც ფილმებში, თან მაფურთხებს და ტფუი, ეშმაკსო იძახის, არ ჩერდება. ხმას ვერ ვიღებ, ვხროტინებ და ფეხებს ჰაერში ვასავსავებ. ვცდილობ, ხელი გავაშვებინო. სადაცაა გონება უნდა დამეკარგა, მეორე ხელი საქამრეში რომ ჩამავლო და ხეზე ისეთი შემომანყვითა, სუნთქვა შემეკრა. – დროზე ჩამოკიდე თოკიო, – დაუძახა იმას და ჩემკენ დაიძრა. ადგომით ვერ გდგები, მაგრამ მივხობავ. დამენია, ამაყენა, საყელოში ხელი ჩამავლო და სახეში სილებს მირტყავს, შენი სახელი მითხარო. – ნიკო, ნიკო, შენი გიჟი დედაც მოვტყან, მაგრამ არ მიჯერებს, ნამდვილი სახელი მითხარო. სილა კიდე მაჭამა და ისევ მიმაგდო იქვე, მიწაზე. მე კიდე მივფორთხავ საცოდავად, ის მაგიდისკენ წავიდა და თავიდან ბოთლი რომ მოიტანა, ის აიღო ხელში, მომიახლოვდა და შიგნით რაც იდგა, ეგ დამასხა ზედ. კიდე კაი, სახეზე ხელეზის აფარება მოვასწარი, მჟავა იყო რაღაცა, ოხშივარი ავარდა, სულ დამიწვა ხელები. ეს ბოთლი გადააგდო, დამწვდა, ამაყენა და თავის უშველებელ მუშტებს მიბაგუნებს სახეში, კბილებს ვაფურთხებს, უკვე ისე ვარ, – მიშველე-მეთქი, – ვუღრიალებ იმ გამოსირებული, მაგრამ მაგრად ვკიდივარ, სკამი მიუდგია ხესთან და თოკს კიდებს. ამ ქერა ცხოველმა კი მიწაზე დამაგდო, კისერზე რომ ჯაჭვი ეკიდა, ის მოიხსნა, ზედ უზარმაზარი ჯვრით. ჯაჭვის ერთი ბოლო ერთ ხელში დაიჭირა მეორე მეორეში, ზურგიდან მოვიდა, ყელში ამომდო და მახრჩობს. – მიშველე-მეთქი ვხროტინე, – ან თავს უშველე შე

კარგმოტყუნულო-თქო, – ზუსტად ესე დაიხრჩობი შენც, მაგას თუ ჩამოკიდებ-თქო, აილე ეგ იარაღი და მეც მომკალი და თავიც მოიკალი-თქო, მაგრამ არც ის მისმენს და უკვე ველარც მე ვლაპარაკობ. არ ვიცი, როგორ შევძელი, მაგრამ ბოლოს ძალა მოვიკრიბე, გადმოვტრიალდი როგორღაც. ყელი ლამის გადამეჭრა, წამიც და გავითიშებოდი, მაგრამ მოვასწარი და ამ ქერა ვეშაპს პირდაპირ თვალში ვთხარე თითი. ხელები გაეშვა ამ ჯაჭვზე, მე კიდე დრო ვიხელთე, როგორღაც წამოვხტი და ჩემი ხისკენ გავიქეცი. რაც გინდათ, ის გიქნიათ თქვენს გიჟ დედებსაც შევეცი-მეთქი – ვლიალებდი. მოვახტი სკუტერს და გამოვიქეცი, თან უკან ვიყურები, ხო არ მომდევს. თვალს რომ მივეფარე და დავრწმუნდი, სამშვიდობის ვიყავი, გავჩერდი. უკანა პატარა სათავსოში წყალი მეგულეობდა, ამოვიღე და დამწვარ ხელებზე დავისხი, სახეც ჩამოვიბანე და პირშიც გამოვივლე. თან ვერ ვიჯერებ, რაც მოხდა. ვფიქრობ, რა იყო ეს ყველაფერი და უარეს საგონებელში ვარ. ან რას მცემა? ან რას მაფურთხა? ან რა დამასხა ზედ? საერთოდ ვინ იყვნენ ის არანორმალურები?! ხოდა, გულმა არ მომიტმინა, მოვაბ-

რუნე ჩემი სკუტერი და დავანეჭი ისევ იმათკენ. იმ მანძილში როცა მივედი, საიდანაც მანქანის დანახვა შემეძლო, სკუტერი ჩავაქრე, გორაობით მივუახლოვდი და ბოლო შოკი მანდ მივიღე. არ ჩამოუკიდია ეს თოკები ამ დედამოტყუნულს? ჩაუბია ბოლოებში ფიცრები, ზის ზედ და არხეინად ქანაობს. ის ქერაც არსად ჩანს. ყველაფერი ისევ ისეა. გავმწარდი. ვიფიქრე, მივალ ეხლა და მაგ იარაღს სახეში დავაცლი-თქო, მაგრამ მივუახლოვდი თუ არა, შენ კიდე აქ მოხვედიო?! იმ თეთრტანსაცმლიანის შემზარავი ხმა გავიგე, ლაზარეს საფლავთან წყარო რომ არის, იქიდან, იმ ბოთლს ავსებდა, წელან რომ დამაცალა ზედ. ბოთლი დადო და ჩემკენ წამოვიდა, თან იმ ჯაჭვის მოხსნა დაიწყო, ზედ უზარმაზარი ჯვარი რომ ეკიდა. დავქოქე ეგრევე სკუტერი და გზისთვის არც შემიხედავს, პირდაპირ დავეშვი ფერდობზე. ბოლო, რაც მახსოვს, ოღროჩოღრო გზა და ის დამშრალი ხევია, გვერდზე რომ მოუყვება ამ გორას. ჩაფხუტიც არ მეფარა და, მოკლედ, მერე, როგორც იყო, კი გითხარით უკვე. საავადმყოფოში გამეღვიძა და ლამის გამსროკეს.



## ნუნუ ქადაგიძე



### თეთრა და ყორანა

თეთრა გზისგამკვლედი იყო, წინ გამოუძღვა ყორანას: ათიოდე წამის განმავლობაში მათრახივით ეკიდა ნაცრისფერი ფაშატის ფეხებშუა და სულ მალე გაიშლართა ძირს დაფენილ ჩალაზე. უჩვეულოდ ადამიანური ხმა გამოსცა ამ დროს ნაცარა ფაშატმა, თითქოს ვილაცამ ამოიგმინაო გაუსაძლისი ტკივილისგან შეჭირვებულმა. გელამ, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა, ცხენს რომ ეკუთვნოდა ეს ხმა და არა ადამიანთაგანს ვინმეს. მის გარდა, არავინ იყო თავლაში. თავი მაინც ვერ შეიკავა და უნებურად თვალი მიმოავლო იქაურობას, მართლა ვინმე ადამიანთაგანი ხომ არ გმინავსო.

სწორედ ამ დროს თავლის კარმა გაიჭრიალა და ელისო-კუდიანი შემოფართხუნდა:

– რას მიპირებ, ბიჭო, ხომ არ გინდა,

წვიმამ და ნიაღვარმა წამილოს? ძაფი აღარ შემჩენია მშრალი, – ქორივით ებღღვნა მაშინვე გელას ელისო-კუდიანი.

– ჰო, მოვალ, – ცალკბად მიუგდო გელამ, შემოსულისთვის ზედაც არ შეუხედავს, ნაცარას დასტრიალებდა თავზე. ხელისგული გავაზე დაჰკრა, ოდნავ გვერდზე გაარიდა, ფეხებით არ გათელოსო ახალმოგებული კვიცი.

– მაშინაც ასე მპირდებოდი, როგორც ახლა მეუბნები. ამ დაპირება-დაპირებაში ჭერი სულ მთლად ჩამომექცევა თავზე, – უარესად აქოთქოთდა ელისო-კუდიანი.

გელას ხმა აღარ გაუღია, ოღონდ უკმაყოფილოდ შეიჭმუნა. თავგასული იყო ეს დედაბერი, ცოტად თუ ბევრად, ყველას ეშინოდა მისი, ერიდებოდნენ. კუდიანიაო, სწამდათ. პირშიც ასე აძახდნენ. ოდნავადაც არ სწყინდა ელისო-კუდი-

ანს, პირიქით, უხაროდა. მოტყუებასაც ვერავინ შებედავდა ასე ადვილად. არც გელას გაუვლია გულში მისი მოტყუება. შეპირდა, სახურავს შეგიკეთებო და შეუკეთებდა კიდეც, როგორც სხვა დროს არაერთხელ მომხდარა, მაგრამ ველარ მოიცალა, ამ ბოლო ხანს ნაცარა ფაშატს დასტრიალებდა თავზე, კვიცი რომ უნდა მოეგო. სხვა ყველაფერი ლამის დაავიწყდა გელას. თითქოს განგებ, ეს თავსხმა წვიმაც სწორედ ახლა მოვიდა.

ელისო-კუდიანი აღარ ათავებდა ქოთქოთს. გელა ყურსაც აღარ იბერტყავდა, გაჩუმებული იდგა და ელოდა, როდის მოიოხებდა გულს გაფოფრილი დედაბერი.

– უიმე, მოდის, მოდის! – მოულოდნელად სულ სხვა ხმით შესძახა ელისო-კუდიანმა, ადგილზე ციკანივით შეხტა და ნაცარას მივარდა. გელამ გაოცებით მიაღვენა თვალი და ახალა შენიშნა ტყუპი პანია ჩლიქები, მაღლიდან პირველი ნახტომისთვის გადმოკიდებულნი.

უცნაურია, თუ როგორი ძალით მოქმედებს მნახველზე ეს იდუმალი აქტი – ცოცხალი არსების დაბადება. ისე გაიხარა ელისო-კუდიანმა, თითქოს დიდი რამ საღირალი ძღვენი მიერთმია მისთვის მუშტარს ჩალის ფასად ღირებულის ჯადოს სანაცვლოდ. ერთ ფაციფუცს შეუდგა: ხის ქერქისფერი ხელები მაგრად ჩაავლო პანია ჩლიქებს, გამოქაჩვა დაუწყო, დაბადებაში ეხმარებოდა პანია სტუმარს. ბებია-ქალობასაც იჩემებდა ელისო-კუდიანი.

გელას ყურადღება დაუფანტა ელისო-კუდიანის ქოთქოთმა და ფაცაფუცმა, ამიტომ ვერ შენიშნა დროზე მეორე კვიცის ჩლიქები. მაშინვე გამაფრთხილებლად შეჰყვირა და კალიასავით ისკუპა, მაგრამ გვიანდა იყო; ელისო-კუდიანმა ფეხი დააბიჯა ნაცარას ფეხებთან ჩალაზე გაშხლართულ უღონო ახალშობილ სხეულს.

– ღმერთო კი მომკალი. ეს როგორ მომივიდა, რატომ ვერ დავინახე ამდენ ხანს! – შეიცხადა ელისო-კუდიანმა, როცა გაიგო, თუ რა მარცხიც მოსვლოდა. ერთხანს კიდეც იქოთქოთა და იფაფხურა, ჩალაზე ფრთხილად დაანვინა მე-

ორე ახალშობილი კვირის მატრახივით მოღვენთილი სველი სხეული. აგერ მეორეცო, ანუგეშა გელა და გარეთ გაიძურნა. სახურავის შეკეთებაზე ხმა აღარ გაუღია. კრიჭაშეკრულმა გელამ ბრაზით გააყოლა თვალი ელისო-კუდიანს, ნეტავი ფეხი მოგტეხოდა და აქ არ შემოსულიყავიო, – გულში გაივლო.

რას იფიქრებდა გელა, თუ ცოცხალი გადარჩებოდა ის საცოდავი კვიცი, პირველად რომ მოველინა ქვეყანას. ელისო-კუდიანს ხერხემალზე დაებიჯებინა მისთვის ფეხი, სწორედ ჯიდაოზე. დარწმუნებული იყო გელა, აუცილებლად მოკვდებო, მაგრამ გადასაგდებად მაშინვე ვერ გაიმეტა მაინც, მეორე დღისთვის გადადო ამის აღსრულება. კვიცი ცოცხალი იყო მეორე დღესაც, მესამესაც, მეოთხე დღესაც... არა და არ კვდებოდა. გელასაც გული არ უთმენდა და საკვებს აძლევდა. თუ სიკვდილი უნერია, ბარემ თავისი დღით მოკვდეს, რალა შიმშილითო, ფიქრობდა. არა, სიკვდილით არ მომკვდარა კვიცი, უჩვეულო სიცოცხლისუნარიანობა გამოიჩინა. ოღონდ კუზი დააჯდა ხერხემალზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც ელისო-კუდიანმა დააბიჯა ფეხი. მოვლა-პატრონობა არც შემდგომში დაუკლია გელას მისთვის, ყოველთვის ეცოდებოდა იგი და ფიქრობდა, რახან სიკვდილს არ ჩავუგდე ხელში, უნდა ვაცოცხლო კიდეცო, მაგრამ საკვების თუ მოვლა-პატრონობის უმეტესი და უკეთესი ნაწილი, რა თქმა უნდა, მეორე ტყუპისცალი კვიცის ხვედრი იყო თავიდანვე.

ფერით ორივე კვიცი ერთნაირი იყო ქვეყნად მოვლენისას. ორივეს გაურკვეველი ლეგა ფერი გადაჰკვროდა... ამ ლეგა ფერის ბრალიც იყო, ელისო-კუდიანმა დროზე რომ ვერ შეამჩნია უხვად დაფენილ ჩალაზე განვართული უღონო სხეული. გელა ვარაუდობდა, რომ ორივე კვიცი თავის მშობელ ფაშატს დაემსგავსებოდა ფერით. გავიდა დრო და ცხადი გახდა ამ ვარაუდის მცდარობა, კვიცები სხვადასხვა ფერისანი გამოდგნენ. კუზიანი კვიცის ბუნვმა თანდათან გაბაცება იწყო. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ თოვლივით თეთრი არ შეიქნა. მე-



ორეს კიდევ პირიქით, ბენვი სულ უფრო და უფრო ჩაუმუქდა, ბოლოს კი, უკვე ზრდასრულს, ნამდვილი ყორნის ფრთავით ჩაუშავდა. თითქოს ერთმანეთისგან განცალკევდა და დაიშალა ნაცარა ფაშატის ბენვის ფერი, ამ ორ ფერად იქცა. ნაცრისფერი ხომ შავის და თეთრის ერთმანეთში ათქვეფის შედეგია...

სახელებიც მათი ფერის მიხედვით შეურჩია გელამ უკვე ზრდასრულ ცხენებს, თეთრა და ყორანა დაარქვა. სხვა სახელები არაფრით არ მოუხდებოდა არც ერთს, არც მეორეს.

თეთრმა ფერმა კიდევ უფრო თვალშისაცემი გახადა კუზი თეთრას ზურგზე. დანანებით შეხედავდა ხოლმე გელა და ეტყოდა, ყორანაზე ნაკლები კი არ იქნებოდი, იმ კუდიანს რომ არ დაესახიჩრებინო. ამ სიტყვებთან ერთად ხელს აუსვ-დაუსვამდა ბორცვივით ამოზრდილ კუზზე, მერე ისევ ყორანაზე გადაჰქონდა მხერა, მისი ჭვრეტა ბევრად უფრო ესალბუნებოდა.

ნაკვთების კეთილშობილება თავიდანვე ეტყობოდა მოზარდ კვიცს. რაც უფრო იზრდებოდა, ეს კეთილშობილებაც სულ უფრო თვალშისაცემი ხდებოდა. ამიტომაც გელამ თავიდანვე განსაკუთრებული ზომებიც მიიღო მის განსავითარებლად. საჭმელს თავლის კედელში საგანგებოდ გამოჭრილ თახჩაში აჭმევდა, რათა მშვილდით მოდრეკილი კისერი ჰქონოდა. ბენვს დიდი ყურადღებით და რუდუნებით უხილავდა და უნმენდდა.

არც რაიმე დიდად სამძიმო სამუშაოსთვის იყენებდა, ამისთვის თეთრა ჰყავდა. თეთრას კუზიან ზურგზე გადადიოდა, რაც კი სამძიმო და უსიამოვნო სამუშაო ჰქონდა გელას. ეჰ, საბრალო თეთრა! რაც წამოიზარდა, იმის მეასედი ყურადღებაც არ ღირსებია, რითაც ყორანა იყო განებივრებული. სრულიად არხეინად მიატოვებდა ხოლმე გელა, ხან ტყის პირას, ხან სოფლის შუაგულში. დიდად არ დაგიდევდათ, თუ ვინმეს წასცდებოდა ხელი თეთრაზე, ანდა მგლები თუ დაგლეჯდნენ, მაგრამ როგორღაც ისე მოხდა, რომ ყოველგვარ ფათერაკს გადაურჩა თეთრა. სადაც დატოვებდა გელა, ისევ იქ დახვდებოდა ხოლმე. თვინიერად

შემოხედავდა თავისი მუქი, ნუშისებური მოყვანილობის თვალებით. ეს თვინიერი გამოხედვა უჩვეულო ძალით მოქმედებდა გელაზე, როგორღაც გული მოეწურებოდა ხოლმე ამ დროს, გაურკვეველი ნალველი დაუძძიმებდა ხელებს, მაგრამ მაშინვე იცილებდა თავიდან ამ ნალველს. მძიმე იყო ცხოვრება ამ სოფლად, იოლად არ მოდიოდა პური არსობისა. საამისო ჭაპანი თეთრას უნდა ეზიდა, მასთან ერთად. ყორანა კი... ყორანა სულ სხვა იყო, მუდამ აოცებდა გელას ჯერ კიდევ კვიცობის დროს. რაც გაიზარდა, რაღაც სასწაულს დაემსგავსა.

თვალეზგაფართოებული შესცქეროდა გელა ცხენის მოკვერცხილ, ნატიფად მოგლუვებულ სხეულს, ამაყად აღერილ კისერს, სიმივით დაჭიმულ მთრთოლვარე ფეხებს. მერე რა თავმომწონე სიარული იცოდა, რა ლაღად მიაზრებდა მათრახივით მოქნილ წელს. თითქოს მიწას არც კი ეხებო, ისე მსუბუქად მირონინებდა. მერე ეს უაცნაურად მუქი, წყვდიადით ჩაშავებული ფერი, შავი დალაღებივით გაფრიალებული ფაფარი... მის მაყურებელ გელას სახეზე ამკარად გამოეხატებოდა ხოლმე განცვიფრება, სიტყვა ვეღარ დაეძრა. ნამდვილი ბედაურიო, ამას ვერც კი იტყოდი. ეს საქებარი სიტყვა, თითქმის არაფერს მიანიშნებდა, ანდა ძალიან ცოტას თუ მიანიშნებდა მსმენელს ამ უჩვეულოდ ნაქანდაკარი სხეულის ჯადოსნური ხიბლის შესახებ.

მხოლოდ ელისო-კუდიანმა თქვა ერთხელ ისეთი საქებარი სიტყვა ამ ჯადო-ცხენის შესახებ, რომელიც ძალიან მოეწონა გელას. სწორედ იმ ელისო-კუდიანმა, ფეხი რომ დააბიჯა ახალშობილ თეთრას და სამუდამოდ ხეივრად აქცია. გელას დასარწყულებლად მიჰყავდა ყორანა, თვითონ თეთრაზე იჯდა, როგორც ყოველთვის ასეთ დროს. ყორანა აღვირით მოჰყავდა. ვინრო ბილიკი ხშირ, გაბარდულ ბუჩქნარს შორის მიიკლავნებოდა. ცხენები დანალიკებით მიდიოდნენ ამ ბილიკზე. წინ თეთრა იყო თავისი მხედრით, უკან ყორანა მოგოგმანებდა. უცებ, სად იყო და სად არა, ელისო-კუდიანი გაჩნდა ბილიკზე. მართლაც, რომ



გაჩნდა, თვალის დახამხამების უმაღლესი წერტილი გელა შეერთა კიდეც მისი დანახვისას, თუმცა მალევე დაწყნარდა. ელისო-კუდიანი ხშირად დაძვრებოდა ტყე-ღრეში თუ ბუჩქნარებში. ნაირნაირ ბალახბულახს დაეძებდა სამკურნალწამლოდ თუ საჩხიბავად. ახლაც სწორედ ბუჩქებიდან გამოძვრებოდა.

ელისო-კუდიანმა ზედაც არ შეხედა თეთრას, რომელმაც ცხვირწინ ჩაუარა, არც გელასთვის გაუმართავს თვალი. ყორანას მიაჩერდა, უყურა, უყურა, თვალები ბუსავით დაუმრგვალდა, ცხვირიც თითქოს უფრო გაუნვეტიანდა, ნამდვილ კუდიანს დაემსგავსა. მოულოდნელად ხელები ალაპყრო ელისო-კუდიანმა, თვალები რალაც უჩვეულოდ აუბჭყვიალდა და ქადაგად დავარდნილივით ალაპარაკდა: „წყვდიადი მოდის და ეშვება დედამინაზე უმთვარო და უვარსკვლავო ღამეებში. წყვდიადი მოდის და თან მოჰყვებიან წყვდიადის ნაშიერნი. უბადლოა და სრულქმნილი ყველა მათგანი უცხოოდ ნაძერწი ქანდაკებებივით, ერთი ბენო ხინჯსაც ვერ უპოვი, ოღონდ ესაა უხილავნი არიან თვალისთვის. რამეთუ ფერიც წყვდიადისა აქვთ წყვდიადის ნაშიერთ. უმთვარო და უვარსკვლავო ღამით კი ვერავინ ვერაფერს დაინახავს წყვდიადისფერს, რაც არ უნდა მახვილი თვალი ჰქონდეს. როდესაც თავის მრუმე კალთებს აიკეცავს წყვდიადი და დედამინის დასატოვებლად მოემზადება, თავისი ნაშიერნიც თან მიჰყავს, გაუმჭვირვალე კალთებში გახვეულებს მიერეკება, მაგრამ ხანდახან რომელიც ნაშიერთაგანი დაუსხლტება იმ მრუმე, გაუმჭვირვალე კალთებს, სამზეოზე გამოგოგმანდება... და მხოლოდ მაშინ ხდება თვალისთვის საცნაური მისი უზადო სილამაზე, ნემშარიტი სრულყოფილება. მხოლოდ მაშინ შეუძლია ადამიანის თვალს წყვდიადის ნაშიერის ხილვა... აი, ესაა სწორედ, წყვდიადის კალთას ჩამორჩენილი ნაშიერი“. აქ ხელი ყორანასკენ მიათითა ელისო-კუდიანმა. მეტი აღარაფერი უთქვამს, მიტრიალდა და ისევ ბუჩქებში შეძვრა.

ელისო-კუდიანის უცნაური სეფესიტყვა ღრმად ჩარჩა გელას გულში, როგორღაც ენიშნა კიდეც. ხშირ-ხში-

რად ახსენებოდა ხოლმე, როცა ყორანას დაკვირვებით შეხედავდა.

ეს ორი სიტყვა, „წყვდიადის ნაშიერი“, არასოდეს დავინწყებია გელას.

ამისთანა ბედაურს, ცხადია, სულ სხვა ასპარეზი სჭირდებოდა და ეს ჭეშმარიტება იმთავითვე ცხადი იყო გელასთვის. დოღში და სხვადასხვანაირ შეჯიბრებებში თუ გამოიყვანდა, სხვა რამეს ვერ შეჰკადრებდა გელა ყორანას, ამიტომ ადრიდანვე დაუნყო წვრთნა. შეჯდებოდა თეთრაზე, გაივაკებდა სადმე თავისუფალ ადგილას. ყორანა აღვირით მიჰყავდა. შემდეგ გადაჯდებოდა ყორანაზე და დააგელებდა აღმა-დაღმა, სარბენი ბილიკების მრავალნაირობასაც დიდ ყურადღებას აქცევდა. იცოდა გელამ, ცხენს ისე არაფერი უმაგრებს მუხლს, როგორც აღმართ-დაღმართებში ჭენება. ამიტომ კარგა შორს გასცდებოდა ხოლმე თავის სოფელს, რათა სავარჯიშოდ შესაფერისი ადგილები აღმოეჩინა. ხტუნვაშიც ბავრს ავარჯიშებდა. მდინარეზე ჩაიყვანდა და წყალში აიძულებდა ჩორთით რბენას.

კლდე-სახრჩობელაც არაერთხელ მოინახულა ამ ჭენების დროს... საოცარი ადგილი იყო ეს კლდე-სახრჩობელა. ჯერ საკმაოდ მომაღლო კლდოვან ზეგანზე უნდა ასულიყავი, რაც უფრო მაღლა აინაცვლებდი, ზეგანიც თანდათან ვიწროვდებოდა, ამის შემდეგ კი, რალაც მონაკვეთზე, კიდეც უფრო ციცაბო ხდებოდა ზეგანი. მასზე ცხენის აჭენება ძალიან ჭირდა. სულ ბოლოს, ყველაზე უმაღლეს ნერტილში, ძალიან მცირე იყო ზეგანის ფართობი, სამი ნაბდის გაშლა თუ იქნებოდა, მეტი არა. მის მიღმა კლდესავით იყო ჩამოჭრილი კლდოვანი ზეგანი, ღრმა ხეობას გადაჰყურებდა თავზე. როგორც ამბობდნენ, იქ ოდესღაც ვიღაც დედაბერს თხა დაუბამს პალოზე საძოვრად, თოკი კისერზე ჰქონია მობმული. თხამ ბევრი იწრიალა ამ პალოს ირგვლივ, კლდის სულ განაპირა ნერტილშიც მისულა რამდენჯერმე, ერთხელაც ფეხი დასცდენია, გადაკიდებულა კლდეზე და დამხრჩვალა. ამიტომაც დაარქვეს აქაურობას კლდე-სახრჩობელა, თუმცა ძალზე გასაკვირი

იყო, დედაბერმა რაღა აქ დააბა თავისი თხა. ზეგანის ამ წერტილში ბალახის ჭაჭანებაც არ იყო, მხოლოდ სიპი ქვები ეყარა. ამას გარდა, როგორ ამოაღნია აქამდე თავისი თხით. ასე იყო თუ ისე, მაინც ასეთი სახელი ერქვა აქაურობას, ეს ლეგენდაც ყველამ ზეპირად იცოდა, გელას ჩათვლით. ამას გარდა, ზემოთ აღნიშნულ სიპ ქვებზე რაღაც გაურკვეველი ნიშნები იყო აღბეჭდილი. თითქოს ფლოქვების ნაკვალევიაო. ეშმაკის ნაკვალევს ეძახდნენ იმ ნაკვალევს.

ამ ზეგანზე ამსვლელი კაცი ვერას ხედავდა, გარდა მაღლა აზიდული კლდის შვერილისა და ცის უსაზღვრობისა. ეს იყო ღიობი ცასა და მიწას შორის. ღიობს მიღმა კი უფსკრული ჩასაფრებულიყო. ძნელი იყო მისთვის თვალის გასწორება. თვითონ გელა თავისუფლად ახერხებდა ამას, უყვარდა კლდე-სახრჩობელას მონახულება. მოსწონდა ეს უცნაური, შიშისმომგვრელი ღიობი ცასა და მიწას შორის, რომელიც ბოლოს პირამკმულ უფსკრულს უშლიდა ფეხქვეშ. ყორანას მუხლს უმაგრებდა კლდე-სახრჩობელაზე ჭენება, გელას კი თვალსა და გულს.

ხეზე მიბმული თეთრა კი თვინიერად ელოდა თავის პატრონს. როცა ყორანას სულ ერთიანად გიშერივით აულაპლაპდებოდა ოფლისგან ფერდები, მხოლოდ მაშინ ანებებდა გელა თავს მის წვრთნავარჯიშს. ისევ თეთრაზე გადაჯდებოდა, გაოფლიანებულ ყორანას ყაჯარს გადააფარებდა და ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯით მოჰყავდა უკან. თუ არა სანვრთნელად, ანდა ისე, სახალისო გასაგელვებლად, თორემ გელა სხვა შემთხვევაში არასდიდებით არ შეჯდებოდა ყორანაზე. მაშინაც თეთრაზე იჯდა, როცა დასარწყულებლად მიჰყავდა ცხენები, ყორანა აღვირით მიჰყავდა.

ბევრს ეჭირა თვალი ყორანაზე. ყიდვის მსურველნი არა და არ უსვენებდნენ, თუმცა კარგად იცოდნენ, გელა ყორანას რომ არ გაყიდდა. დახმარებასაც სთავაზოვდნენ, ჩემი თავლა შენად იგულვეო, ეუბნებოდნენ. რაში სჭირდებოდა გელას მათი თავლა, მთელი მისი საბადებელი ხომ სხვა არაფერი იყო, ყორანას თავლის გარდა. რამდენჯერ

მისი მოპარვა სცადეს, ვინ მოსთვლის, მაგრამ გელას თითქოს რაღაც დამატებით ალლო გამოუმუშავდა, იმის გარდა, რასაც ბუნება თან დააყოლებს ხოლმე თავის ნაშიერს. რაც არ უნდა დაღლილი ყოფილიყო, მაშინვე ელვიძებოდა, როგორც კი ოდნავ გაფაჩუნდებოდა ყორანა. თუ საჭიროდ ჩათვლიდა ან რაიმე საეჭვო მოეჩვენებოდა, ღამესაც უთევდა თოფმომარჯვებული. ძილით მასაც თავლაში ეძინა, ყორანას გვერდით. ყორანა თანდათან გელას ცხოვრების მთავარ აზრად, მისი სიხარულის უმთავრეს წყაროდ იქცა. რაზედაც კი ოდესმე უოცნებია გელას, ბაღლობიდან მოყოლებული, ახლა ყველაფერმა ამ წყვდიადისფერ ცხენში მოიყარა თავი. ოღონდ ყორანა მის გვერდით ყოფილიყო მუდამ, ჯანმრთელი და ბენჯდაბენილი, ოღონდ მისი უჩვეულოდ ნაქანდაკარი, ერთგვარად მომნუსხველი სილამაზისთვის ეცქირა და თავისად ეგულვებინა, გელას სხვა აღარაფერი უნდოდა.

ალბათ, გასაკვირი უნდა ყოფილიყო, ცხენს ასე როგორ უნდა მოენუსხა ადამიანი, თუნდაც უბადლო სილამაზის ცხენს... შეიძლება ეს იმიტომაც მოხდა, რომ თვითონ გელა ვერ დაიკვებნიდა დიდი შესახედაობით. ნელში მაინცდამაინც ვერ გაიშალა ბავშვების მერე. მოზარდის სიმაღლისა დარჩა. არც ცხვირპირი ჰქონდა დიდად დალაგებული, რომ სიამოვნება მოეგვარა მისი მჭვრეტელისთვის, მაგრამ ყორანაზე ამხედრებული გელა სრულიად იცვლებოდა. უთხრეს კიდეც მნახველებმა, ყორანაზე ამხედრებული ორჯერ უფრო წარმოსადგენი ჩანხარ, ვიდრე სინამდვილეში ხარო. ცხენი რომ წარმოსადგეობას ჰმატებს ადამიანს, ეს ძველისძველი ჭეშმარიტებაა. ამას გარდა, თვითონ გელაც დახელოვნებული მხედარი დადგა და ეს როგორღაც თავისთავად მოხდა, ამაზე საგანგებოდ არასოდეს არ უზრუნია გელას. იგი მხოლოდ ყორანას ემსახურებოდა და დოღში შეჯიბრების დროს ეხმარებოდა, რათა გამარჯვება მოეპოვებინა. ეს იყო და ეს. დახელოვნება საშუალებას აძლევდა, რათა მკვიდრად და ლალად ეგრძნო თავი უნაგირზე, ეს

სიმკვიდრე და სილალე წარმოსადგო-  
ბას კიდე უფრო მატებდა ყორანაზე ამ-  
ხედრებულ გელას. ერთი მხრივ, იქნება  
სწორედ ამიტომ შეუყვარდა გელას ასე  
ძალიან ყორანა, იქნებ ამიტაც მონუსხა  
იგი ამ ჯადო სილამაზის ცხენმა; თვი-  
თონ ხომ შეუდარებლად ლამაზი იყო,  
მის მხედარსაც ალამაზებდა.

თავისი სრულყოფილი ფორმების,  
თავისი ჯადო-სილამაზის რალაც ნაწი-  
ლი უწილადა ყორანამ გელას, რალაც  
აჩუქა, მეტად მშვენიერი და ეს ძალიან  
ეძვირფასებოდა გელას. უდიდესი გულ-  
დადებით და რუდუნებით მსახურებდა  
ამ შეუდარებელ სილამაზეს, და ოღონდ  
ამ სამსახურის უფლება არ წაერთმი-  
ათ მისთვის, სხვა აღარაფერი უნდოდა.  
ბედნიერი იყო, როცა ყორანას სამურ-  
ველს უსვამდა დაბზენილ ბენვზე, ბედ-  
ნიერი იყო, როცა მისი ნაკელი გაჰქონ-  
და ან ნახერხს უყრიდა ფეხქვეშ. ბედ-  
ნიერი იყო, როცა კაზმავდა ამ უბადლო  
ბედაურს. უბედნიერესი იყო მასზე ამ-  
ხედრებული.

ერთხელ ერთი მეტად უცნაური არ-  
სება, ვილაც ბუსავით მრგვალთვალე-  
ბანი კაცი ესტუმა გელას. არა, ცხენის  
მუშტარი არ ყოფილა, ერთი შეხედვის-  
თანავე ეტყობოდა, მაგრამ მათი საუბარ-  
ი იმდენ ხანს გაგრძელდა, ვერც ერ-  
თი ვაჭრობა ვერ შეედრებოდა. საოცარ-  
ი ცხენი გყავსო, უთხრა. გელამ თავი  
დაუქნია, მერე კი იმ უცნაურმა კაცმა,  
არც აცია, არც აცხელა და ასე უთხრა,  
თუ იცი, მაგ ცხენის მონა რომ ხარო.

ვიციო, გელამ ხმა გაიღო.

– მეტისმეტი მოგდის.

– ეს ხომ ჩვეულებრივი ცხენი არაა,  
ეს... ეს სრულყოფილებაა, – გაახსენდა  
გელას ელისო-კუდიანის სიტყვა.

– არ გირჩევნია საკუთარ თავს მი-  
ხედო?

– საკუთარი თავის მონობას ისევ მა-  
გის მონობა მირჩევნია.

– შენ გინდა თქვა, რომ ვინც საკუ-  
თარ თავს ემსახურება, საკუთარი თავის  
მონაა?

– ასეა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა, რომელ-  
საც მერე ისევ შეკითხვა მოჰყვა.

– ვთქვამთ და შენ თვითონვე ყოფი-  
ლიყავი სრულყოფილი, მაშინ ხომ დაე-  
მონებოდი, ასე ვთქვათ, საკუთარ თავს.

– მე ვყოფილიყავი? – გელა დაფიქ-  
რდა, – კი მაგრამ მე ვერ დავინახავდი  
მას.

– რატომ?

– ერთი გაბზარული სარკე მიდგია  
სახლში, იმაში რა სრულყოფილება უნდა  
დავინახო.

ამას ისევ სიჩუმე მოჰყვა, გელას  
სიტყვები წამდვილად აოცებდა მრგვალ-  
თვალეზიანს.

– გამოდის, შენ გირჩევნია, შენგან  
შორს იყოს სრულყოფილება, რათა მისი  
უკეთ დანახვა შეძლო, – როდის-როდის  
ამოლერდა.

– ალბათ, ასე აჯობებს.

– შენში თუ შემოვიდა, ვეღარ შეძ-  
ლებ მის დანახვას, ამდენად, არც არაფ-  
რად ჩააგდე.

გელამ უხმოდ დაუქნია თავი, დალა-  
ლა ამ მსჯელობამ. მგონი, მრგვალთვა-  
ლეზიანიც მიუხვდა, უხმოდ მიბრუნდა,  
მიდიოდა და თავისთვის ბუტბუტებდა;  
სრულყოფილება შორს უნდა იყოს ჩვენ-  
გან, რათა მისი დანახვა შეეძლოთ. თუ  
ის ჩენში შემოვიდა ან მოვკლავთ, ან გა-  
დავაგვარებთ...

მრგვალთვალეზიანი შედგა, თითქოს  
ამ სიტყვებზე წაიფორხილაო. წამით გა-  
უნძრევლად იდგა, მერე ისევ გააგრძე-  
ლა გზა. სულ უფრო შორიდან მოისმო-  
და მისი ბუტბუტი; ასეა, სრულქმნილება  
ან უნდა მოვკლათ, ან უნდა გადავაგვა-  
როთ, სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს.  
მერე სულაც მიწყდა.

გელა, თავის მხრივ, თეთრას მიუბ-  
რუნდა, შენ უნდა ზიდო ყველა ტვირთი,  
სრულყოფილი თუ არასრულყოფილი.  
აგერ, მეც შენს გვედრდით ვარო, ბო-  
ლოს დაუმატა.

ასეთი მშვიდი, შეუმჩნეველი ბედნიე-  
რებით ცხოვრობდა ეს სამეული: გელა,  
თეთრა და ყორანა... და, ალბათ, არა-  
ვინ იცის, სანამდე გაგრძელდებოდა ეს  
მშვიდი ბედნიერება, სანამ რალაც მოხ-  
დებოდა, ანუ სანამ ელისო-კუდიანი მო-  
აკითხავდა.

თან ვილაც უცხო კაცი მოჰყვებოდა

ელისო-კუდიანს, სარკისმინებიანი მზის სათვალე ეკეთა იმ უცხო კაცს. როცა მზის სხივები მოხვდებოდა, თვალისმომჭრელად ბრწყინავდა ის სათვალე... და საერთოდ იმ დამახასიათებელ ბრწყინვას გამოსცემდა უცნობის მთელი გარეგნობა, ოქრომ რომ იცის და რასაც იმნამსვე აღიქვამს ცოტად თუ ბევრად განაფული თვალი. გელამაც აღიქვა იგი, დანარჩენის დანახვას კი, თუ ვინ იდგა ამ ბრწყინვალეების მიღმა, გელა აღარ ცდილა. მისთვის იმდენად შორეული იყო ამ ბრწყინვალეების მიღმა მიმდინარე ცხოვრება, რომ არ შეეძლო მიახლოებით მაინც წარმოედგინა იგი.

გელა მხოლოდ მზის სათვალეს ხედავდა, სარკესავით პრიალა მინებს, რომელიც ასე კარგად გამოხატავდა და თან ნიღბავდა იმ უცხო, ბრწყინვალე ცხოვრებას, ხოლო თვითონ გელას კი ქედმაღლურად აირეკლავდა.

რაც უნდა მოჰყოლოდა ამ „ბრწყინვალეების“ სტუმრობას, გელა მაშინვე მიხვდა. თავიდანვე მოემზადა, რათა რაც შეიძლება შეუვალე სახით გულგრილად უარეყო ყოველივე და ეს ლაპარაკიც დიდხანს აღარ გაგრძელებულიყო, მაგრამ ერთი რამ ველარ გაითვალისწინა: სახტად დარჩა, ისეთი თანხა დაუსახელა სათვალეანმა.

ერთი წამით ხმა ველარ დასძრა გელამ, გაოგნებული მიაჩერდა სათვალის სარკისებურ მინებში არეკლილ საკუთარ გამოსახულებას. სათვალეანმაც ცოტა აცალა და, შემოიძლია თანხა გავაორმაგოო, დაუმატა.

ამასობაში გელამ მოასწრო გონს მოსვლა, ცისკენ მიუთითა მოსაუბრეს, ვარსკვლავები რომ ჩამითვალო ოქროს ნაცვლად, მაინც ყოვლად ურგებია ჩემთვისო, მოახსენა და ზურგი შეაქცია.

ელისო-კუდიანი შერჩა ხელში, პირდაღებული შემოსცქეროდა.

ცოტა ხანს ჩუმად იყო ელისო-კუდიანი. ეტყოდა, დაიცადა, სანამ სათვალეანი გაეცლებოდა იქაურობას და მერე გაფაციცებით ეცა გელას.

– ვის უთხარი, ბიჭო, შენ უარი, თუ იცი? მაგის სასახლეში ძაღლებსაც კი ისეთ სალაფავს უდგამენ, ბევრ შენის-

თანას რომ შეშურდება.

გელამ ყურიც არ ათხოვა, გვერდი უხმოდ აუქცია გაფოფრილ დედაბერს.

– სულერთია, მეც ცხენს მაინც არ შეგარჩენენ! – მიაძახა ელისო-კუდიანმა.

ამ ბოლო წამოძახილმა უსიამოვნოდ გაკენწლა გელა, ისედაც არ ჰქონდა გული საგულეს, კარგად ამჩნევდა, თუ რამდენი ხარბი თვალი უთვალთვალეობდა ამ წყვდიადის ნაშიერს. ვინ იცის, რამდენი აღრჭიალებს კბილებს ბოლმით მისი დანახვისას, ზოგს მისი ფასი უბამს თვალეებს, ზოგსაც მისი სწორუპოვარი სილამაზე ეხარბება, მე უფრო მომიხდება ასეთი ბედაურის ყოლა და ჭენება, ვიდრე ამისთანა ჭიანჭამსო, ასე ფიქრობს გულში.

გელამ სიფხიზლეს უმატა. ისე არხეინად აღარ დააჭენებდა ყორანას აღმა-დაღმა. ცდილობდა, შორს აღარ გასცლოდა სოფელს, ისეთ ადგილებს არჩევდა სავარჯიშოდ, სადაც ახლო-მახლო ადამიანები იყვნენ. კლდე-სახრჩობელისკენ ხომ საერთოდ დაივიწყა გზა, რახანია ამ ციცაბოზე აღარ აუჭენებია ცხენი. უფრო ხშირად მდინარის პირას ჩაჰყავდა ყორანა, ხეობაში. იქ ხალხიც იყო ყოველთვის და ამასთან ერთად სავარჯიშოდაც შესაფერისი ადგილის გამოძებნაც არ ჭირდა.

ფათერაკს მაინც ვერ ასცდა... ფუთასავით ძირს დაგდებული დახვდა ხეზე მიბმული თეთრა, როცა ყორანაზე ამხედრებულმა მიაკითხა. ჩამოქვეითდა გელა, დაათვალიერა თეთრა, შუბლზე ტყვიის ნკვალევი დაუნახა.

თეთრა კვდებოდა, ტყვიას მომაკვდინებლად დაეჭრა იგი. გელა ჩააცქერდა მის ირიბ, მუდამ ნაღვლიან თვინიერ თვალეებს, ცრემლი დაინახა იმ თვალეებში, სიმწრის, ტკივილის ცრემლი.

გელა მუხლებზე დაეცა და ისე ჩასცქეროდა მომაკვდავ თეთრას. ერთი წამით ყველაფერი დაავიწყდა სხვა, ყორანაც კი აღარ ახსოვდა, ის წყვდიადის ნაშიერი. დიდხანს არ უწვალა თეთრას, ერთი გააკანკალა და გაშემდა, ცრემლი შეჰყინოდა ღიად დარჩენილ, ამღვრეულ თვალზე.

გელამ ხელი გადაჰხვია თეთრას კი-



სერზე, თავი თავზე დაადო.

– მაპატიე, თეთრა, მაპატიე... – ნა-იჩურჩულა ხმადაბლა; თვითონაც არ იცოდა კარგად, რისთვის სთხოვდა პატიებას. ეს სიტყვა როგორღაც თავის-თავად ჩადგა მათ შორის.

დარჩნენ ორნი და გელა ფიქრობდა, საცაა ჩემი ჯერიც დადგებაო. მას უკვე აღარ შეარჩენდნენ ამ იშვიათი სილამაზის ბედაურს, თანაც ამდენი გამარჯვების მომპოვებელს. აკი ელისო-კუდიან-მაც მიაძახა, არ შეგარჩენენო. ეს კარგად იცოდა გელამ. იცოდა, რომ, დღეს თუ ხვალმ ველარ აიცდენდა ამ ხვედრს. ლამის ტკიპასავით მიეკრა ყორანას, გვერდიდან აღარ სცილდებოდა. ერთი იმასლა ნატრობდა, ჯერ მე მომკლან და მხოლოდ ამის მერე წაიყვანონ ყორანა, სხვის ხელში აღარ ვიხილოო იგი. ამის მეტი აღარაფერი უნდოდა.

ამიტომ სრულებით აღარ ფრთხილობდა, ძველებურად გაუტია ყორანაზე ამხედრებულმა. უკვე შორს სცილდებოდა სოფლის მიდამოებს. ხელახლა მოინახულა ის ადგილები, სადაც უწინ ასე ლალაც დააგელვებდა ყორანას და სადაც გამარჯვების მოპოვებას ასწავლიდა ამ უბადლო ბედაურს. მდინარის ქვიშიანი ნაპირები, ტყე-ღრე თუ ბუჩქნარი, აღარაფერი აღარ დაუტოვებია გელას, რომ არ სტუმრებოდა. კლდე-სახრჩობელასაც რამდენჯერმე მიაკითხა, თვალს წყალი დააღვინა ამ საოცარი, იშვიათად სახილველის, ღიობის და მის მიღმა მიჩქმალული უფსკრულის ცქერით.

ეს გაუფრთხილებლობაც არ იკმა-რა გელამ, ხანდახან ცხენს შეაყენებდა ხოლმე და სამიზნეზე გაირინდებოდა, ბარემ მესროლონ და მკვდარს წამგვარონო ჩემი ყორანა. თითქოს ჩქარობდა, დროზე აღსრულებულიყო გარდაუვალი, მაგრამ უცნაური იყო, იგვიანებდა მისთვის გასროლილი ტყვია, არც რაიმე სხვა ფათერაკი შეხვედრია, არც ცხენის გაყიდვა შეუთავაზებია ვინმეს, უწინ რომ ასე აბეზრებდნენ თავს. არავინ აღარაფერს ეუბნებოდა, თითქოს ზედაც აღარ უყურებდნენ, მაგრამ რაღაც გამსჭვალავ მზერათაგან შეკრულ რკალს მუდამ გრძნობდა გე-

ლა, გრძნობდა, რომ ამ რკალის შუა-გულში იყო მომწყვდეული, ყორანასთან ერთად... და ელოდა, როდის იქცეოდა სიცხადედ ეს ვარაუდი, როდის იხილავდა იმ რკალს თვალნათლივ.

და ბოლოს მართლაც ისე მოხდა, გელამ თვალნათლივ იხილა ეს რკალი.

ჩვეულებისამებრ, აათოხარკა ცხენი იმ დღეს კლდე-სახრჩობელაზე, ქვეყანას გადმოხედა ამ ფრიალოდან, შორით მიესიყვარულა მიჯრით ჩარიგებულ თეთრქუდიან მთათა მწვერვალებს. სიპ ქვაზე აღბეჭდილ ნალისებურ ნაკვალევსაც გადახედა, ემშაკის ნაფეხურებს რომ უწოდებდნენ. თითქოს დანით ჩამოკვეთილ კლდესაც ჩააყოლა თვალი და ბოლოს უფსკრულსაც უსწორა მზერა.

ერთხანს იდგა ასე, ქანდაკებასავით. როცა სული და გული დაარწყულა ამ ღიობის ჭვრეტით, მხოლოდ ამის შემდეგლა მობრუნდა...

მოატრიალა ცხენი და სწორედ მაშინ იხილა ის რკალი თვალნათლივ, ამდენხანს რომ უხილავად ერტყა ირგვლივ.

ერთი ზერელად გადაჰკრა თვალი გელამ – ვინ იყვნენ, რა უნდოდათ? აზრადაც არ მოსვლია, რაიმე ამდაგვარი ეკითხა. განა ისედაც ცხადი არ იყო ყოველივე? არც ვინმე ნაცნობთაგანი უძებნია სამი მხრით შემოსაღტულ ცოცხალ რკალში, მეოთხე მხარეს კლდე-სახრჩობელას ღიობი იყო.

გელა მთელი ტანით გაიმართა უნა-გირზე, მშვიდად ელოდა, აგერ ახლა გაიწეილებს ტყვიაო.

ტყვია ახლაც იგვიანებდა.

გელამ დაკვირვებით გადაავლო თვალი ცოცხალ რკალს. მზისსათვალთან დაინახა, მშვიდად, მომლოდინედ შემოსცქეროდა ქედმაღლურად აბრჭყვიალებული მინებით. გელა მიუხვდა, რაც ჰქონდა გუნებაში მზისსათვალთან. მას მარტო ყორანა არ უნდოდა, მხოლოდ ყორანაზე როდი ეჭირა თვალი, გელაც თავის საკუთრებად მიაჩნდა. ამისთანები არ ესწავლება მზისსათვალთან. იცის, რომ ყორანას ვერსად ვერ გამოუძებნის ისეთ მსახურს, როგორიც გელა. მზისსათვალთანმა სულ მისხალ-მისხალ შეაფასა ამ ორი არსების, ადამიანის და



ცხენის უსათუთესი ერთიანობა, მოსინჯა მათ შორის გაბმული იდუმალი ძაფები. ყორანას გელა სჭირდება, რათა სრულად წარმოაჩინოს თავისი ჯადოსილამაზე და იშვიათი სამარულე ღირსებები, მზისსათვალის კი ორივე ერთად სჭირდება, ცხენიც და მისი მხედარიც. გელას მსახურად დაუყენებენ საკუთარ ცხენს და ცოტაოდენ სალაფავს მასაც უწილადებენ... ისეთ სალაფავს, რომელიც სულ მალე მასაც ცხოველად გადააქცევს და რომელიც თურმე ბევრ ადამიანის შვილსაც შეშურდება. გელას ახლა არათუ ყორანა, საკუთარი თავიც აღარ ეკუთვნოდა. სწორედ ამიტომ აარიდეს ტყვია, ამიტომ არ ესროლეს და არ დაცხრილეს.

გელა უნაგირზე წამოიმართა. თითქოს რაღაცას ეძებო, ისეთი ყოყმანით მიმოატარა თვალი ირგვლივ, სახეზე ცხადად გამოეხატა შეკრთომა. სიკვდილის არასდროს არ შეშინებია გელას, მაგრამ ახლა როგორღაც შიშმა შეიპყრო. რა ავბედითი და უღმობელი ჩანდა ეს ცოცხალი რკალი, ასე დაჟინებით მომლოდინე, უეჭველი მცოდნე იმისა, რომ მსხვერპლი უცილობლად მის წილში ამოჰყოფდა თავს ბოლოს.

არაფერი არ ჩანდა ირგვლივ, ამ ავბედითი ცოცხალი რკალისა და კლდეზეცის ღიობის გარდა... თეთრი მკვრივი ღრუბელი დაინახა გელამ ღიობს იქით, ლურჯი ცის უსასრულობაში გამოკიდებული. დარში რომ იცის, ისეთი მკვრივი და ფაფუკი ღრუბელი. თეთრ ცხენს წააგავდა მოყვანილობით. ყოველ შემთხვევაში, ფერით ნამდვილად ჰგავდა თეთრას.

ამ თეთრი ღრუბლის დანახვისას გელას მაშინვე გაუარა შიშის და ყოყმანის გრძნობამ. ერთგვარი ღრუბლისებური

სიმსუბუქეც კი შეიგრძნო მთელ სხეულში. თითქოს დოღზე იმყოფებოდა, რკალივით ისე მოიხარა წელში გელა, ნიკაპი ყორანას ქედს დააბჯინა.

– თეთრა გვიყურებს, თეთრა გველოდება, არ შედრკე, ყორანავ, – ნაურჩურჩულა გელამ. მერე ღონივრად მოქაჩა ალვირი, კისერი მოუდრიკა ყორანას, კლდის შვერილზე ჩამოათოხარკა, მიჯრით მიუახლოვდა ირგვლივ შემოსალტულ ცოცხალ რკალს და სამიოდენ წრე დაარტყა მათ ცხვირწინ. თითქოს ბურუსში ჩაიქროლეს ბუნდოვანმა, უცხო თუ ნაცნობმა სახეებმა.

წრის დასასრულს ისევ ღიობისკენ მიაბრუნა გელამ ყორანა, უფსკრულის პირას ერთი წამით გააქვავა ყალყზე შემდგარი ცხენი, ერთი თავზარდამცემად დაჰკივლა გამყინავი ხმით და ცხენს მძლავრად ჰკრა ქუსლი. მოზიდული მშვილდით ასხლტა ადგილიდან ყორანა, ბუმბულივით მსუბუქად მოწყდა კლდეს... და ცხადად დაინახეს ცოცხალ რკალად შემოსალტულთა თვალებმა, თუ როგორ ზეაინია ჰაერში წყვდიადისფერი ბედაურის სხეული, თეთრი მკვრივი ღრუბლისკენ მიიდრიკა მისი ნახტომი, იმ ღრუბლისკენ, რომელიც მართლა თეთრ ცხენს დაემსგავსა იმ დროს... და თეთრი კუზიც აჯდა ზურგზე, ესეც ცხადად დაინახა ყველამ.

ზეაინია და კარგა ხანს ილტვოდა იმ თეთრი ღრუბლისკენ წყვდიადისფერი ბედაური. საკმაოდ ფართო რკალი მოხაზა ჰაერში, სანამ ქვევით არ დაქაჩა სხეულის სიმძიმემ, კლდე-სახრჩობელას უფსკრულში არ ჩააქვავა. ნატერფალები დარჩა კლდე – სახრჩობელას სიპ ქვებზე. ღიობისკენ, უფსკრულისკენ პირმიქცეული, ძველ ნატერფალებს შეემატა...

## ნინო ვახანია

### ნიგნი ყველასთვის (ნაბო ფირცხალავას რომანი „შუშის ანგელოზები“)

ნატო ფირცხალავას „შუშის ანგელოზები“ 2023 წელს გამოსცა „მერიდიანმა“. პროფესორ თამარ შარაბიძის წინათქმა და ხელოვან ნუკრი ნავერიანის ბოლოთქმა ისე კრავს წიგნს, როგორც კომპოზიციის აუცილებელი ნაწილები. ერთგვარ გზამკვლევად გვევლინებიან და გვითხრობენ რომანის სივრცეში შესვლას.

„შუშის ანგელოზები“ არის ნიგნი ყველასთვის. რომანის გააზრება, მისი მთავარი სათქმელის ამოკითხვა თუ ესთეტიკური ტკბობის შეგრძნება, ცხადია, დამოკიდებულია მკითხველის ინტელექტზე, გამოცდილებაზე, აღქმის უნარზე, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ზედაპირულ დონეზე, მხოლოდ

შინაარსით, სიუჟეტით, ასე ვთქვათ, გადაკითხვითაც ნებისმიერი ასაკისა თუ გემოვნების ადამიანი იპოვის მასში თავისთვის საინტერესოს. თანამედროვე, ეგრეთ წოდებული „ღია“ ტექსტები სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს, თუმცა არის მათში ის მყარი საფუძველიც, ბალავარი, რომელიც ყველასთვის ერთნაირად უნდა აღიქმებოდეს და საკამათო არ უნდა იყოს.

ლიტერატურის თეორეტიკოსები საუბრობენ ტექსტის წასაკითხად არსებულ კოდებსა თუ შრეებზე (ზოგი ხუთ კოდს გამოყოფს, ზოგიც – ოთხს). ყველა შემთხვევაში, ბუნებრივია, კრიტი-

კოსს მოეთხოვება ტექსტში რაც შეიძლება ღრმად ჩასვლა, უთქმელის, სტრიქონებს შორის ნაგულისხმევის ამოკითხვა-ამოცნობაც.

ნატო ფირცხალავას რომანი, ვფიქრობ, თანაბრად აკმაყოფილებს როგორც ლიტერატურათმცოდნეთა, ისე



ფართო საზოგადოების გემოვნებას. მწერლის მიზანი, როგორც ჩანს, მკითხველის თანამონაწილედ, თანაგანმცდელად გარდაქმნაა, რასაც უნდა მოჰყვეს ღრმა და მწვავე ფიქრი მრავალ მნიშვნელოვან და პასუხგაუცემელ შეკითხვაზე. ჩანაფიქრი კი სავსებით რეალიზებულია. საქმე ისაა, რომ თხრობა ხასიათდება სისადავითა და სიცხადით. სიუჟეტი სწორხაზოვანი არ არის, თუმცა არც სირთულით გამოირჩევა. თემა სრულიად მკაფიოა – ომი, როგორც ბედისწერა, თანაც ოსტატურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული ჩვენი დროის ორი ომი – რუსეთ-საქართვე-

ლოსი აფხაზეთის ტერიტორიაზე და რუსეთ-უკრაინისა.

ჩვენმა სიტყვაკაზმულმა მწერლობამ კარგა ხანია, რაც გაიაზრა ახლო წარსული – აფხაზეთში მიმდინარე ომი – და ასახა იგი ლექსებში, მოთხრობებში, მხატვრულ-დოკუმენტური პროზასა თუ რომანებში. ამჟამინდელმა, უკრაინის ომმაც უკვე ფართო გამოხმაურება პოვა და მრავალნაირად რეფლექსირდა ქართულ სახელოვნებო სივრცეში. თემა, როგორც ჩანს, სადღეისო მნიშვნელობას არ კარგავს არც ყოფაში და არც ლიტერატურაში. ამას ადასტურებს თუნდაც ნინო სადღობელაშვილის, ეკატერინე ტოგონიძის, სერგო წურწუმის ბოლო წლებში გამოქვეყნებული რომანები (მრავალთაგან მცირედი მოვიხმე ნიმუშად). საგულისხმოა, რომ წმინდად მხატვრული ფანტაზიით იქმნება თხზულებები იმ ადამიანთა მიერაც, რომელთაც არა თუ ის ომი, არამედ მშვიდობიანი აფხაზეთიც არ უნახავთ, მაგრამ მათი ნაწარმოებების დოკუმენტური ფონი ისეთივე რეალისტური და დამაჯერებელია, როგორიც ომგამოვლილთა ნაწერებში.

ომის პირადი გამოცდილება არც „შუშის ანგელოზების“ ავტორსა აქვს. მწერალი, ერთი მხრივ, დოკუმენტების შესწავლითა და მათზე დაყრდნობით, მეორე მხრივ, დიდი ფანტაზიის უნართა და ინტუიციით აღწევს პერსონაჟთა სულებში, ახერხებს თვით მოვლენის სულის შეცნობას. რომანში ამბავი, ძირითადად, მთავარი პერსონაჟის მიერაა გადმოცემული (პირველი პირითაა მოყოლილი), რაც მეტ ინტიმსა და ემოციურობას სძენს თხრობას. თვითონ ავტორი თითქოს დამალვას, უჩინრად ყოფნას ცდილობს, თუმცა მისი ტენდენცია, ხედვის კუთხე, პოზიცია, კაცმა რომ თქვას, აშკარად და ნათლად მოჩანს მთელ ტექსტში. ორიგინალური და გამორჩეული ისაა, რომ ძმათა დაპირისპირების საშინელება დანახულია აფხაზის თვალით. ეს მხატვრული ხერხი (მოვლენის სხვა ჭრილში, მონინალმდგის მხერით დანახვა და შეფასება) ახალი არ არის ლიტერატურაში, თუმცა მისი ყოველი გამოყენება თავისებური, ინდი-

ვიდუალური და სუბიექტურია.

ალბათ, რთული არაა ნაწარმოებში გამჭვირვალე სიმბოლოების დანახვა და გამოცნობა. დასაწყისშივე პერსონაჟის მიერ შალის ძაფის ხსენება უთუოდ ცხოვრების ძაფს უნდა ნიშნავდეს. შავი ფერიც არაა შემთხვევითი, ხოლო ნართის გადარჩევა და გასაშრობად გადაკიდება ნიგნიერ მკითხველს გურამიშვილს გაახსენებს, როგორ დასდევს დრო და ჟამი სოფელს და როგორ ქსოვს და სთელავს მის ნაქსელავს...

მთავარი პერსონაჟი, აფხაზი გოგონა, მურზა აჩბა, სოფელ აგუძერიდანაა. როგორც სულით ფაქიზ ადამიანებს სჩვევიათ, მას იდუმალი ხმა მოუწოდებს ცხოვრების შეცვლისკენ, საკუთარი თავის შეცნობისკენ. ღარიბული ქოხიდან სხვაგან, სხვა სივრცეებში იწვევს მისტიკური ძახილი, ყოველდღიურობას კი მოკლე თოკით ჰყავს მიბმული მოვალეობებზე. იქნებ, შესაძლოა, სახლიდან წასვლაზე ფიქრმა ბიბლიური მოტივების ალუზიაც შეუქმნას მკითხველს. არ ვცდილობ, მაინცდამაინც ყურით მივიყვანო ბიბლიასთან ესა თუ ის სახე, ამიტომ ფრთხილად ვიკითხე, იქნებ, შესაძლოა-მეთქი, თუმცა, საერთოდ, მურზას სულიერი ძიებანი პირდაპირ თუ შორეულად უცილოდ დაკავშირებულია ბიბლიურ განწყობებთან. ამ წუთში იმასაც არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომელი რელიგიის აღმსარებელია თვითონ გოგონა (აფხაზთა ნაწილი, როგორც ცნობილია, ქრისტიანია და ნაწილი – მაჰმადიანი. ისტორიულად, ოჩამჩირე-აგუძერა ქრისტიანული მხარე გახლდათ ოდითგან). უფრო საყურადღებო ავტორის მსოფლმხედველობა და სათქმელია. ადამიანის ფსიქოლოგიის კარგად ცოდნა მწერალს ხელს უწყობს იმაში, რომ გახსნას ახალგაზრდა ქალის სულის ზოგჯერ გაუცნობიერებელი მოძრაობა და ჩაგვახედოს მასში.

მურზა აჩბა სულით სწვდებოდა სამყაროს უსაზღვროებასა და მრავალფეროვნებას, ამიტომ სიღუხჭირეს ლამაზი წარმოსახვები და ბედნიერ მომავალზე ფიქრი უმსუბუქებდა. ადრე გარდაცვლილი მამა, ავადმყოფი, ლოგინად

ჩავარდნილი დედა და ოცდაათი წლის უსაქმური ძმა ის გარემოა, სადაც ადამიანს ახლობლები ჰყავს, მაგრამ ვერავის მიჰყარებია, სულიერი სიმშვიდე ვერსად უპოვია (სხვათა შორის, რატომღაც ბოლო დროს გახშირდა რომანებში ეს უკანასკნელი პერსონაჟი – უსაქმური და არამზადა ძმა. არ ვიცი, არის თუ არა საშიშროება იმისა, რომ სტერეოტიპად დამკვიდრდეს?). ფინალისკენ ძმის ისევ გამოჩენა და მის მიმართ დის კეთილგანწყობა ადამიანური ღირებულებების მარადიულობას უსვამს ხაზს.

მურზა წერილებს სწერს ზღვას. ბოთლში ჩადებულ და ზღვაში გადაგდებულ წერილებზე სამყარო, რასაკვირველია, პირდაპირ პასუხს არ სცემს. ზღვა კი, რეალურობის გარდა, სიმბოლურ დატვირთვასაც ატარებს. ცხოვრების (ზღვის) გადალახვის, დაძლევის სურვილი ნაკლებად, უფრო ცხოვრების მრავალფეროვნებაში გადაშვების, გაურკვეველ და მწველ შეკითხვებზე პასუხის მიღების, ბოლოს და ბოლოს, მშვიდი ნავსაყუდელის პოვნის, სულიერ ვნებათა დაცხრომის მცდელობად აღიქმება ეს იდუმალი ურთიერთობა ზღვასთან.

ქალაქი დახატულია, ერთი მხრივ, როგორც რეალური სოხუმი, ყველაზე ლამაზი და მშვენიერი. კონკრეტული ქუჩის დასახელება – ოქტომბრის, რომელსაც ომის შემდეგ სახაროვისა უწოდეს, დოკუმენტურობის შთაბეჭდილებას ტოვებს და ჩემისთანა მკითხველს ტკბილ-მწარე განცდებს აღუძრავს. მეორე მხრივ კი, ქალაქის სახე-სიმბოლო ეკლექტიკას, მრავალფეროვნებას, მრავალეროვნულობას, აბორიგენისა და ტურისტის თანაცხოვრებას, ჭორისა და ჭირის (როგორც ბარათაშვილი უწოდებდა) საუფლოს განასახიერებს. ნაწარმოებში მოძალადე ყმაწვილებს, ძველ, დანგრეულ შენობას, საითაც ისინი გოგონებს მიათრევენ, მკითხველის მომავალი სცენებისთვის შემზადების ფუნქცია აქვთ. კერძო ძალადობა შემდეგ კოლექტიურ, დიდი მასშტაბის ძალადობაში გადაიზრდება. თუ პირადი განსაცდელისგან გოგონები ქართველმა ვაჟმა იხსნა, ომში ქართველ-აფხაზის ეს გაერთიანება და

ორივეს გადარჩენა ვერ მოხერხდა.

თავისი დატვირთვა აქვს, თუმცა ოდნავ პუბლიცისტიკის ელფერს დაიკრავს ქართველი არმაზის მიერ მოთხრობილი ისტორია აფხაზეთისა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ზოგი პერსონაჟის ეროვნება არც არის აღნიშნული და ეს არც ანუხებს მკითხველს. მთავარია, ჩანს, რომ თანაქალაქელები აფხაზეთის მკვიდრნი არიან. ეროვნებას მხოლოდ საკვანძო ეპიზოდებში აქცევს ყურადღებას მწერალი.

რომანი ორიგინალურია არქეტექტონიკითაც. თითოეულ თავს წამძღვარებული აქვს ეპიგრაფი, რომლებიც თავის სათაურებად და მოკლე ანოტაციადაც მოიაზრება. კომპოზიცია ისეა აგებული, რომ ყველა ეპიზოდი საბოლოოდ ერთმანეთს უკავშირდება და თხრობის ყველა ხაზს მთავარი პერსონაჟის თავგადასავალი აერთიანებს. გაბმულ თხრობას დღიურის ფურცლები ცვლის ხოლმე. დრო-სივრცე კი საკმაოდ ვრცელია. მწერალი ქალის ნებით, აფხაზი თავადების შთამომავალი, გუმისთელი აჩბა ნამდვილმა სიყვარულმა, რომელმაც თავისუფლების შეგრძნება მოუტანა, უკრაინული ოჯახის დიასახლისად, უკრაინელი ქალ-ვაჟის დედად აქცია.

მშობლიური ადგილებიდან გაქცევა სინამდვილეში თავისუფლების, სიყვარულის ძიებაა და მატარებლის სიმბოლიკა მართო ერთი ადამიანის დროისა და სივრცის ცვლილების კი არა, მთელი ჭრელი საზოგადოების დროში მოგზაურობის ამსახველია.

ნაწარმოებში ასახული დრო ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. შესაბამისად, შორს არის განფენილი მოქმედების სივრცეც, თუმცა მწერალი პერსონაჟის თავგადასავლის თხრობას ისე ახერხებს, რომ მკითხველის ინტერესისა და განცდის ტემპი არ იკლებს. ეს ორი ომი თითქოს ერთმანეთის გაგრძელებაა, ერთი ქალის ცხოვრებაში ბედისწერულ გარდაუვალობას რომ წარმოადგენს. ეს ისეთი თანმიმდევრობაა, მიზეზ-შედეგობრიობასაც რომ არ გამოორიცხავს. ნაწევნებია, რომ ომის გამოცდილებისგან ადამიანის ფსიქიკა ვერ თავისუფ-



ლდება. წარსული მუდმივად მონანი-  
ლებს მურზას ყოფაში. ქალის რეა-  
ლობა სიყვარულმა – ღვთიურმა ძალამ  
– მკვეთრად შეცვალა, მაგრამ ნამყოს  
უკვალოდ გაქრობა შეუძლებელია. ნაო-  
მარ სოხუმში ცოლ-ქმრის ჩასვლა, სია-  
მის ნაცვლად, მწუხარებითა და სევდით  
ავსებს პერსონაჟებს. იძაბება მკითხვე-  
ლიც, რომელსაც ავის მოლოდინი უკვე  
მარიუპოლის ხსენებისას გაუჩნდა. ჩვენი  
სამწუხარო გამოცდილება ხელს გვიწ-  
ყობს იმაში, რომ ჯერ კიდევ მშვიდო-  
ბიანი, სიხარულით სავსე ქალაქის ხსე-  
ნებამ მომავალი ტრაგედიის შეგრძნება  
გაგვიმძაფროს.

„შუშის ანგელოზებში“ ფილოსოფი-  
ური ნაკადიც შემოიჭრება, რომელიც  
მკითხველს დააფიქრებს სიკვდილ-სი-  
ცოცხლის რაობაზე, ბედისწერაზე, სი-  
კეთისა და ბოროტის დაპირისპირება-  
ზე, სამყაროსთან ჰარმონიის მიღწევის  
გზებსა და შესაძლებლობებზე... მწერა-  
ლი შორს არის დიდაქტიკისგან, თუმცა  
ხანდახან ფორმულად ჩამოსხმულ ნა-  
აზრევსაც გვთავაზობს. შეუძლებელია,  
არ დაეთანხმო ავტორს, რომ „ხოცვა-  
ჟლეტის გასამართლებლად გამოგონი-  
ლი ყველა ისტორიული კანონი ყალბია“.

უკრაინული დღიურები მძაფრად, პირ-  
დაპირ, შეულამაზებლად, შემზარავად  
წარმოაჩენს ომის მთელ სისასტიკეს. შექ-  
სპირი მოკავშირედ ისე ბუნებრივად მოგ-  
ვევლინება, რომ გამორიცხავს ყოველ-  
გვარ ხელოვნურობას. ძალიან ნათლად,  
ცხადად, ხელშესახებად გრძნობ, რომ  
ბევრი რამ არის ქვეყნად, რაც ფილოსო-  
ფოსებს სიზმრადაც არ მოლანდებიათ.

სხვა არის ომის ინტელექტუალური  
გააზრება და სხვა – ცოცხლად გაცდა.  
ნატო ფირცხალავას ომის ტრაგედია  
ძალიან ახლოს მოაქვს ჩვენთან, გონე-  
ბითაც და ემოციურადაც განგვაცდევინ-  
ებს სამყაროში მარტოდ დარჩენილი,  
უნებურად ომის ხახაში ჩავარდნილი,  
დაუცველი, უმწეო, უძლური ადამიანის  
ბედს, ადამიანისა, რომელიც ომთან ჭი-  
დილში დამარცხდა. „მე ვებრძოდი ომს,  
რომელიც მომერია, მაჯობა, გამანად-  
გურა და გაიარა...“ – ისევ პერსონა-  
ჟის სიტყვები, როგორც თვით ავტორი-

სა და თითოეული ჩვენგანისა. შემოქმე-  
დის წარმოსახვები იმდენად მძაფრია,  
სულისშემძვრელი და რეალური, რომ,  
შეიძლება ითქვას, მწერალი თვითონაც  
მონანილეა იმ დრამატული ეპიზოდები-  
სა, რომლებსაც რომანში ხატავს. სხვა-  
თა შორის, ხედვის განსხვავებულ კუთ-  
ხედ შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოება,  
რომ ორივე ომი ქალის თვალთაა და-  
ნახული. ქართული რომანი ამ თვალ-  
საზრისით ერთგვარად ჰგავს ნობელის  
მშვიდობის პრემიის ლაურეატის, ბერტა  
ფონ ზუტენერის რომანს „ძირს იარაღი!“  
ვხედავთ, რომ აფხაზი ქალის განცდე-  
ბი, გლოვა, წარსულთან მიჯაჭვულობა,  
სიყვარულის უნარი, ერთგულება, სიმა-  
ცე თუ სხვა თვისებები არაფრით გან-  
სხვავდება ქართველი ქალის და, ალბათ,  
ზოგადად, ქალის ხასიათისგან. „გამარ-  
ჯვებული“ აფხაზი ისევე გაურბის მის-  
თვის გაუცხოებულ გარემოს, ქვეყანას,  
სადაც სიყვარული, სულის სიმშვიდე,  
ჰარმონია დაიკარგა, როგორც ეს რეა-  
ლობაში „დამარცხებულმა“ ქართველებ-  
მა მოიმოქმედეს. სინამდვილეში, არავინ  
იცის, ამ ომში ქართველ-აფხაზთაგან  
ვინ არის ან გამარჯვებული, ან დამარ-  
ცხებული... წიგნში მაღალინტელექტუ-  
ალურად და ოსტატურად არის მოწო-  
დებული იდეა, რომ ადამიანის საღვთო  
ვალაია, თვით ყველაზე პირქუშ და შემ-  
ზარავ გარემოშიც დარჩეს ადამიანად.

კომპარისგან თავის დაღწევას ყვე-  
ლაფრის დაეინყებით ცდილობს შემლი-  
ლობის ზღვარზე მყოფი მურზა. ცხოვ-  
რებაში კი, როგორც ყოველთვის, გვერ-  
დიგვერდაა ავი და კარგი, ნათელი და  
ბნელი. როცა რუსი ჯარისკაცი უკრა-  
ინელ ბავშვს თავის სინდისს უწოდებს  
და ამ სინდისის გადარჩენას ცდილობს,  
თხრობის ლირიკული ნაკადი, რომე-  
ლიც სხვაგანაც ცხადად შეიგრძნობა, აქ  
უფრო მძაფრდება. მიწაზე წყლულები-  
ვით დაჩნეულ სისხლის გუბებებს ციდან  
დაჰნათის მარადიული მზე, რომელსაც  
ძალა და მადლი ემატება დედამიწის  
უსაფრთხო ნაწილში.

მურზას სიზმრები ადამიანის ფსიქი-  
კის დაფარული და გამოუცნობი შრეე-  
ბის წარმოჩენის, სულის იდუმალი ხვე-



ულების გახსნის ცდაა და შესაფერის ადგილს იკავებს სიუჟეტში. საავადმყოფოს თეთრ კედლებში გამოკეტილი, თავთან მარტო დარჩენილი პერსონაჟი დროისა და სივრცის მიღმა არსებობს. სიშორიდან, ერთიანობაში აღიქვამს დიდი ხნის წინ თუ ახლო წარსულში მომხდარს. მის არეულ გონებაში ერთმანეთს ცვლის ანგელოზთა ხილვა და საშინელი ჯალათის მოლანდება.

შემთხვევითი არაა, რომ კლინიკის ბინადარი სულ „შინისკენ“ გარბის, „შინ“ ეჩქარება, საკუთარი სახლისკენ მიიპარება, მაგრამ რომელ სახლს მიელტვის, აფხაზეთში დარჩენილს, უკრაინაში დამწვარსა თუ მეტაფიზიკურ სულიერ თავშესაფარს? იქნებ, სამივეს ერთად, რომელთაც განუყოფლობაში აღიქვამს ქალის მოშლილი გონება?!

როგორც გაირკვა, შუშის ანგელოზები საახალწლო სათამაშოებია – ისეთივე მყიფე და ფაქიზი, როგორიც ადამიანის სული. რომანის სათაურის უკეთ გააზრებაში დაგვეხმარებიან ის ანგელოზებიც, რომელთაც მურზა სიკვდილის წინ თითქმის მუდმივად ხედავს სიზმარში და რომლებიც სულს ამქვეყნიდან იმქვეყნად გადასვლაში ეხმარებიან. სიზმრად გამოცხადებული ტაძრის გუმბათი, რომელიც მზეზე ელვარებს, ქრისტეს დაულამებელ ნათლად, საკუთარ სულში

ღვთის შეცნობად აღიქმება. სიზმრადვე ეცხადება თეთრებში ჩაცმული ღვთისმშობელი. სიყვარულითა და სიკეთით აღბეჭდილი ყოველი პერსონაჟი შეიძლება ანგელოზად წარმოვიდგინოთ. საპირისპიროდ დგანან მხოლოდ მკვლელები, ჯალათები – ერთმორწმუნე იმპერიის ის წარმომადგენლები, ვერასოდეს რომ ვერ განიცდიან ღვთიურ მადლს.

ყოველი ადამიანი საკუთარ სულში უნდა ცდილობდეს შუშის ანგელოზების გადარჩენას, რათა ისინი არ გადაგვექცნენ ბოროტ ურჩხულებად. ეს კი მხოლოდ სიყვარულითაა შესაძლებელი – ალბათ, ეს არის მთელი რომანის ერთ-ერთი მთავარი სათქმელი. ავტორი მოხდენილად კრავს კომპოზიციას – შავი ძაფების გაფენით დაწყებული თხრობა დედის ხმით, მეუღლის, შვილებისა და შვილიშვილების მოლანდებით, ფერადი ძაფების გაბმით მთავრდება. პერსონაჟის სიცოცხლე ილევა, მაგრამ მისი ანგელოზური სული უკიდევანო, თვალუნვდენელ და მარადიულ სამყაროს ერწყმის, საიდანაც ხან შორეულად, ხან უფრო მკვეთრად, მაგრამ განუწყვეტლად ისმის, რომ დედამიწის ზურგზე არაფერია ისეთი ლამაზი და სანუკვარი, როგორც საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობა.



## აღა ნემსაძე მაია ჯალიაშვილი

### მარადიული იდეები ახალ ჯონბექსტაბში

მხატვრული ლიტერატურის მთავარი ამოცანა ყოველთვის იყო, არის და იქნება, ადამიანის შეწევნა, გულის გამაგრება, სიამაყის, პატიოსნების, იმედის, სიამაყის, თანაგრძნობის, ლმობიერებისა და თავგანწირვის იდეების შესხენება. როგორც ფოლკნერი წერს: „პოეტის ხმა უსარგებლოდ არ უნდა იხარჯებოდეს, საყრდენად, ბურჯად უნდა ედგეს ადამიანს, შეეშველოს და გააძლებინოს“. სიცოცხლის მთავარი კანონზომიერება, „ეკლესიასტეში“ ამგვარად ფორმულირებული: „თაობა მიდის, თაობა მოდის, ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე“ – გულისხმობს იმასაც, რომ ფუნდამენტური იდეები რჩება, იცვლება მხოლოდ მათი გამოსახვის ფორმები და კონტექსტები.

ამ ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებს თავისი ტრადიციებით გამორჩეულ ლიტერატურულ ჟურნალ „ცისკარში“ მეოცე საუკუნის 80-იან წლებში დაბეჭდილი კრიტიკული წერილები. მათი მიმოხილვა ცხადყოფს, რა მნიშვნელოვნად მიაჩნდა ჟურნალის მაშინდელ რედაქციას, რომ მიმდინარე სალიტერატურო პროცესები გაანალიზებულყო და ძირითადი, არსებითი ტენდენციები წარმოეჩინა. კრიტიკას მართლაც მწერლობის „მაჯაზე“ ედო ხელი და ცდილობდა, შეძლებისდაგვარად ობიექტურად და ზუსტად განესაზღვრა მისი რიტმი და პულსაცია. ჟურნალის ამჟამინდელი რედაქტორისა და კრებულის შემდგენელ-რედაქტორის, ამირან გომართელის, წინათქმაში

მოკლედ და ლაკონიურად არის გამოკვეთილი კრებულის მთავარი მიზანდასახულება, რომ „ამ წიგნის გამოცემა ემსახურება მერმისს — ქართული სალიტერატურო კრიტიკის წინსვლასა და განვითარებას“.

კრებულში დაბეჭდილი პირველი წერილი „საუბარი მკითხველთან“ (1981) პოეტისა და მკითხველის წარმოსახული დიალოგია. თვითონ შესანიშნავი პოეტი გივი ალხაზიშვილი პოეზიის არსს უღრმავდება. ის საინტერესოდ მსჯელობს იმ ნიუანსებზე, რომლებიც ოდითგანვე დამახასიათებელი იყო ქართული თუ მსოფლიო პოეზიისთვის. იგი ყურადღებას ამახვილებს, რა თქმა უნდა, სიტყვაზე, ლოგოსზე, მის საკრალურ ღირებულებაზე, შესაბამისად, სიტყვასთან ურთიერთობის რაციონალურსა და მეტაფიზიკურ მხარეებზე. ავტორი გამოკვეთს იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც პოეზიისთვის მთავარი საგანი იყო და არის: სიყვარული, სიძულვილი, სიცოცხლის საზრისის ძიება, ყოფის ამაოება, სიკეთე და ბოროტება და სხვა. დღესაც აქტუალურია ავტორის კრიტიკული შენიშვნა იმის თაობაზე, რომ საშუალო ან უმაღლესი განათლება, ვერსიფიკაციის ანბანის სწავლა ზოგს პოეტობის ილუზიას უქმნის. ამიტომ ჭირს რამდენიმე ასეულ პოეტობამონადინებულ ავტორთაგან ჭეშმარიტად ნიჭიერი პოეტის გამოჩენა. ყოველ დაბეჭდილ სტრიქონს ლიტერატურული აღიარების ფაქტის ძალა აქვს. ეს კარგად იცის ზოგიერთმა და მოითხოვს უმნიშვარი ნაწარმოებ-

ბის ბეჭდვას: „ვიდრე ლიტერატურულ პრესაში დაუშვებთ „თითქოს ლექსის“ ბეჭდვის პრეცედენტს, არც მოყვარული პოეტების სიჭარბე და პრეტენზიები უნდა გავიკვიროთ“. ამავე წერილში პოეტი მკითხველთა სხვადასხვა კატეგორიასაც მიმოიხილავს.

გივი ალხაზიშვილსავე ეკუთვნის წერილი „საიმედო ხმები“ (1983), რომელშიც იგი არ იზიარებს ახალგაზრდულ პოეზიასთან დაკავშირებით გამოთქმულ სკეპტიციზმს, პირიქით, მიიჩნევს, რომ საინტერესო და მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობს ტრადიციისა და ნოვაციის ექსპერიმენტული შერწყმის შედეგად. ამ თვალსაზრისის დასასაბუთებლად ის განიხილავს ვაჟა ხორნაულის, თამაზ ბაძაღუას, ვახტანგ ხარჩილავას, დალილა ბედიანიძის, დავით მჭედლურის, კობა არაბულის პოეტურ კრებულებს. ამავე წერილში გამოთქვამს კრიტიკულ შენიშვნებს გურამ პეტრიაშვილის წერილთან („მშვიდობა თქვენსა მოსვლასა“) დაკავშირებით.

ლერი ალიმონაკი წერილში „სიჩუმისა და დუმის პოეზია“ (1981) განიხილავს ჯარჯი ფხოველის მიერ თარგმნილ ტანის ეპოქის უდიდესი ჩინელი პოეტების – ვან ვეის, დუ ფუს, მენ ჰაოჟანისა და ლი ბოს პოეტურ შედეგებს. მას მიაჩნია, რომ ეს არის პოეტურად დახვეწილი თარგმანები და მნიშვნელოვანი ფაქტია ქართული ლიტერატურისთვის. ავტორი ვრცლად და სიღრმისეულად წარმოაჩენს, რა გავლენა ჰქონდა ამ პოეტთა მსოფლმხედველობაზე დაო დე ძინის მოძღვრებას. მისი აზრით, მთარგმნელს გაუთვალისწინებია ჩინური პოეზიის სპეციფიკა და ის უმთავრესი ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებანი, რომელთა გარეშე თითქმის წარმოუდგენელია აღნიშნულ პოეტთა სრულყოფილი შემეცნება. ჩინური პოეზიის სტილის უმთავრეს თვისებად მას მიაჩნია მაქსიმალური სისადავე და ერთგვარი „უსტილობის“, მოჩვენებითი პრიმიტიულობის შეგრძნება: „მთარგმნელს ძირითადად მიუღწევია სტილის ამ სისადავისა და სიმკაცრისათვის“. წერილის ავტორი იმასაც აღნიშნავს დანაშაულებით, რომ ეს

თარგმანები შესრულებულია არა ჩინური, არამედ რუსული ენიდან.

მეოცე საუკუნის ოციანი წლების შესანიშნავი, მაგრამ დავიწყებული პოეტის, ნინო თარიშვილის, გვიან, 80-იან წლებში გამოცემულ კრებულ „გვირილას“ მცირე რეცენზიით ეხმიანება ირაკლი კენჭოშვილი („უჭკნობი ყარამფილები“, 1981). ავტორის აზრით, მის ლექსებში გამოვლენილია ცისფერყანწელთა პლეადისთვის დამახასიათებელი და ადამიანის სულის სიმდიდრეზე მეტყველი ისეთი შესანიშნავი თვისება, როგორცაა აღფრთოვანების ნიჭი: „მხოლოდ ამ ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს შეუძლია, იზეიმოს იმით, რომ „ქრიზანთემები ავსებენ ლარნაკს“. ავტორი ყურადღებას მიაქცევს ამ ლექსების ერთგვარ ქალურობას, ეროტიკულობას. ავტორი კონკრეტულ სტრიქონთა მოხმობით წარმოაჩენს, რომ ნინო თარიშვილის ლექსებში ქალური სამყარო მდიდარი ნიუანსებითაა განფენილი.

ლალი ავალიანის წერილში „შუბლმთვარიანი“ (1982) თამაზ ბიბილურის მოთხრობა „მთვარის შვილი“ ყოველმხრივ, ღრმად და საფუძვლიანად არის განხილული. ავტორი მას პოეტური პროზის ოსტატად მიიჩნევს. ავტორი მამისა და შვილის ურთიერთობას თანამედროვე ეპოქის ჭრილში განიხილავს, როგორც რაციონალიზმის, პრაგმატიზმის მტკივნეულ დაპირისპირებას ირაციონალურსა და რომანტიკულ სამყაროსთან. ამ ჭიდილში გამოკვეთს სულიერი, მისტიკური განზომილებისაკენ მიდრეკილ ადამიანთა ტრაგიზმსა და გაუცხოებას. შესაბამისად, „მოთხრობაში ერთმანეთს ენაცვლება, მაგრამ საბოლოოდ ჰარმონიულ მთლიანობაში წარმოჩნდება თხრობის ორი განსხვავებული მანერა: ერთი მხრივ, რომანტიკული, ამაღლებული, მეორე მხრივ, ყოფითი რეალიებით აღსავსე, თითქმის ნატურალისტური. პირველი მთვარის შვილის (ზოგადად, პოეტის) წილხვედრია, მეორე მამამისის, მიწის კაცისა“.

ამირან გომართელი წერილში „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა...“ (1982) რუსული პროზის საუკეთესო ტრადიციის

გაგრძელებას ხედავს მიხეილ ლოხვიცკის „ჭეშმარიტი ჰუმანიზმით გამსჭვალულ“ მოთხრობაში „მეხთათება“ და გამოწვლილვით, მნიშვნელოვან დეტალებსა და ნიუანსებზე აქცენტირებით გამოკვეთს, ერთი მხრივ, რუსეთის იმპერიის ძალადობას ჩერქეზების წინააღმდეგ, მეორე მხრივ, ჩერქეზთა დაუმორჩილებელ ბუნებასა და თავგანწირულ ბრძოლას თავისუფლებისათვის. ავტორის აზრით, „კავკასიის მთებში, კოპნია აულებში შეხიზნული პანია ჩერქეზული ტომი მსოფლიო მოზაიკის მშვენიერი „ფერი“ იყო. მისი მოსპობით უთუოდ ბევრი რამ დააკლდებოდა შემოქმედის ხელით მოჩითულ სახიერ მოზაიკას, ამის უფლება კი კაცთაგან არავის აქვს დენიაზე“.

კრებულში წარმოდგენილ მეორე წერილში „კარმენი ანუ თავისუფლების სიყვარული“ (1983) ამირან გომართელი სიღრმისეულად და მრავალმხრივ განიხილავს პროსპერ მერიმეს კარმენის კონცეპტუალურ სახეს რა სიმბოლურ-ალეგორიული დატვირთვა და მხატვრული ფუნქცია მიენიჭა გურამ დოჩანაშვილის მოთხრობაში „ვატერპო(ლო)ოო, ანუ აღდგენითი სამუშაოები“. მისი აზრით, „გაუცხოების ეფექტის“ საშუალებით ამბავი ერთგვარ ეგზოტიკურ მომხიბვლელობასა და პარაბოლურობას იძენს. სწორედ პარაბოლურობა აძლევს საშუალებას მწერალს, არ მოსწყდეს სინამდვილეს: „კარმენის სახე და ამ სახის მწერლისეული ინტერპრეტაცია ლაიტმოტივად გასდევს მთელ მოთხრობას, ქმნის აზრობრივ ქვეტექსტს და ნაწარმოების იდეის გახსნას უწყობს ხელს. ალკარასის თავისუფლებანართმეული და დამონებული მკვიდრთ კარმენის სახე უპირისპირდება, როგორც სიმბოლო თავისუფლებისა“. ავტორი ყურადღებას მიაქცევს მოთხრობაში წარმოჩენილ გროტესკულ რეალიზმსაც. ამ წერილს აქვს ვრცელი პოლემიკური მინანერი, რომელშიც ამირან გომართელი არ იზიარებს ელიზბარ ჯაველიძის მიერ კარმენის სახესთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნებს და საკუთარ თვალსაზრისებს დამაჯერებელი არგუმენტებით ამყარებს.

ლევან ბრეგაძე წერილში „გზა, ხვალის დღეში გადასასვლელი“ (1982) ვახტანგ ხარჩილავას ლექსების პირველ კრებულში („ალტერნატივა“, „მერანი“, 1979) თავმოყრილი ლექსების ძირითად თავისებურებებს წარმოაჩენს, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პოეტის მიდრეკილებაზე პარადოქსული აზროვნებისკენ. ეს კი განმაპირობებელია იმისა, რომ ჩვეულებრივი საგნებიც კი უჩვეულო შუქით განათებული წარმოდგებიან ჩვენ წინაშე, ყოველდღიურობის დალით აღბეჭდილი მოვლენა მოულოდნელად იდუმალუბის შარავანდით იმოსება. კრიტიკოსი ყურადღებას ამახვილებს კიდევ ერთ დამახასიათებელ თვისებაზე: ეს არის ცხოვრებაში არსებულ დაპირისპირებულობათა კონფლიქტის ნიადაგზე წარმოქმნილი დრამატიზმი. კონკრეტულ სტრიქონებზე დაყრდნობით ავტორი მიიჩნევს, რომ პოეტი ოსტატურად ფლობს თემის დამუშავებისა და გამოსახვის ტექნიკას.

ლევან ბრეგაძე მეორე წერილში „ბინდისფერი ხეობის სურათები“ (1983) განიხილავს გოდერძი ჩოხელის წიგნს „ბინდისფერი ხეობა“ („ნაკადული“, 1982), რომელსაც მრავალფეროვან მოზაიკად მიიჩნევს. ავტორი კრებულში წარმოდგენილ ნაწარმოებებს ჟანრობრივად მინიატურებს უფრო მიაკუთვნებს, ვიდრე მოთხრობებს. იგი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მწერალი ძირითადად ანეკდოტურ ფაბულებს ამუშავებს. მისთვის დამახასიათებელია კლოუნადა, ექსცენტრიკა, ბუფონადა. იგი იმასაც აღნიშნავს, რომ მწერლისთვის ეს სრულიად არ წარმოადგენს თვითმიზანს, „გართობას გართობისათვის“, არამედ მხოლოდ მიზნის მისაღწევ გზას. მიზანი კი ისაა, რომ მკაფიოდ წარმოაჩინოს ადამიანურ სისუსტეთა არსი. კრიტიკოსი ყურადღებას ამახვილებს პირქუში იუმორის ნიმუშებზეც. ავტორს მწერლის ნაკლად მიაჩნია იშვიათად, მაგრამ მაინც უფუნქციო სისასტიკის გამოვლენა (მინიატურა „ცივი ალერსი“).

როსტომ ჩხეიძე წერილში „საბურველს მიღმა“ (1982) გია ლომაძის ორ მოთხრობას („კაცი გალავანზე“ და „თა-



ბაშირის კაცი“) აანალიზებს. ყურადღებას მიაქცევს მწერლისეულ თხრობის მანერას, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძირითადი სიუჟეტური ხაზის ჩართული ეპიზოდებით გამრავალფეროვნება. მისი აზრით, ამგვარი მონაკვეთები ნოველებს ემსგავსება, რომლებიც, ერთი მხრივ, მწერლისეულ მთავარ სათქმელს, პერსონაჟთა ხასიათებს უფრო გამოკვეთენ და მოთხრობებს თემატურად ამდიდრებენ, მაგრამ, თანვე, ხანდახან საფრთხეს უქმნიან მოთხრობათა ერთიანობას: „ჩართული ეპიზოდები, მონაკვეთები შემოკრების ნაცვლად თვითონვე კიდევ უფრო ნანევრდება და ფერმკრთალდება“.

თავისებურ სულიერ წონასწორობასა და შინაგან ჰარმონიას თამაშ ვასაძე გიგი სულაკაურის პირველი პოეტური კრებულის მთავარ მახასიათებლებად მიიჩნევს წერილში „საგნები თოვლში“ (1982). მისი აზრით, ამას ემორჩილება პოეტის მიერ გამოყენებული ვერლიბრიც, რომლისთვისაც გამოკვეთილი, მდგრადი რიტმულობაა დამახასიათებელი: „მისი ლექსი ნაძერწია სიფრიფანა, გამჭვირვალე ნივთიერებისაგან, რომელსაც პოეტი ფრთხილი, ფაქიზი ხელით მოხდენილ, ნატიფ მოყვანილობას აძლევს“. ავტორი ყურადღებას მიაქცევს პოეტის წარმოსახვის სიზმრისეულ ხასიათს, ბუნებასთან სიახლოვესკენ ლტოლვას, ვიზუალურსა და მუსიკალურ ხატებს, ფსიქოლოგიზმს.

თეიმურაზ დოიაშვილი წერილში „ნუგზარ შატაიძის მოთხრობები“ (1982) მიიჩნევს, რომ მასალის კომპოზიციური ორგანიზაციის პრინციპით შატაიძის პროზა უფრო მხატვრობასთან ავლენს სიახლოვეს, ამის დასტურია მის მიერ აღწერილი პეიზაჟები და ჟანრული სურათების სიუხვე. ეს ყოველივე არამხოლოდ პერსონაჟთა სულიერი განწყობისა და ხასიათების გამოკვეთას ემსახურება, არამედ სიმბოლურ მნიშვნელობასაც იძენს: „იგი არ კმაყოფილდება სინამდვილის პოეტური დუბლიკატების შექმნით“. მისი აზრით, ეს არის აღწერითი პროზა, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ენობრივ ფენომენს,

ერთგვარ პოეტურობას, რაც ცოტა სახიფათოა პროზისტისთვის. მის მოთხრობებში სოფლის ყოველდღიური ცხოვრების რომელიმე ფრაგმენტი ალებული და მხატვრულად ისეა დამუშავებული, რომ „განპოეტურობის“ მაღალ ხარისხსა და „რეალურობის ილუზიას“ ქმნის. ავტორი რჩევას აძლევს მწერალს, რომ მეტი ყურადღება მიაქციოს ფსიქოლოგიურ პასაჟებს.

თეიმურაზ დოიაშვილი წერილში „აგვესოთ – რაც ხარვეზია“ (1983) მიზნად ისახავს დებიუტანტთა კრებულების განხილვის გზით წარმოაჩინოს ახალი პოეტური თაობისთვის დამახასიათებელი ტენდენციები. ის არ იზიარებს გავრცელებულ თვალსაზრისს, რომ ქართულ პოეზიას „აყვავების ხანა“ აქვს და საკუთარ პესიმისტურ მოსაზრებას კონკრეტულ ავტორთა კრებულების ანალიზის გზით ასაბუთებს. მისი აზრით, „ახალგაზრდა პოეტთა კრებულები გადატვირთულია ზოგადი პიროვნული განცდისგან თავისუფალი ეფემერული ლექსებით. პოეტიზმები მოჩვენებით მნიშვნელობას ქმნის, მაგრამ აზრისა და გრძნობის ნულოვანი ძაბვა მათს რეალურ ანტიპოეტურობას ავლენს“. ავტორი კრიტიკულად განიხილავს იმედი ჯახუას, ირაკლი ციგროშვილის, ვაჟა ხორნაულის, ვახტანგ ხარჩილავას, შუკო ჯიქიას, გურამ ოდიშარიას, ნუგზარ კობერიძის, გიგი სულაკაურის და სხვათა ლექსებს და გამოკვეთს ნაკლოვანებებს.

თეიმურაზ დოიაშვილის წერილს ეხმიანება ვახტანგ ხარჩილავა წერილით „ნაჩქარევი დასკვნები“ (1983). პოეტი არ იზიარებს კრიტიკოსის ძირითად შენიშვნებს. განსაკუთრებით მიუღებლად მიაჩნია სადებიუტო ნიგნების მიხედვით პოეტთა ერთ თაობაში გაერთიანება, ასევე უწუნებს მწარე სარკაზმს, დოიაშვილი ეძებს მხოლოდ სუსტ სტრიქონებს და იმათზე აგებს დასკვნებსო. არც „შაბლონის განუკითხავად ბატონობაში“ ეთანხმება და არც აქტუალური თემების მიმართ გამოჩენილ ინდიფერენტულობაში. შეცდომის მთავარ სათავედ პოეტს ის მიაჩნია, რომ კრიტიკოსი ახალგაზრდულ პოეზიას უფროსი



და საშუალო თაობის წარმომადგენელთა შემოქმედებისგან მონყვეტილად განიხილავს. ვახტანგ ხარჩილავა წერილში იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, თუ როგორ იოლად ინიღბება დილექტანტიზმი და პლაგიატობა ვერლიბრის ფორმის საშუალებით.

პოლემიკური პათოსით არის გამსჭვალული თეიმურაზ დოიაშვილის წერილი „პოვნა თავისი თავისა“ (1983), რომელშიც ავტორი დღემდე აქტუალურსა და საყურადღებო საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას. იგი თანამედროვე პოეტთა ლექსებში უფუნქციო „პოეტიზმების“ მომრავლებას აკრიტიკებს. იგი იმ ლექსებსაც ასახელებს, რომლებშიც პოეტებმა მოახერხეს ემოციისა და ფორმის ჰარმონიული სინთეზის გზით საკუთარი ტკივილისა თუ აღტაცების გამოხატვა. ამ წერილში ავტორი ეხმიანება გურამ პეტრიაშვილისა და ვახტანგ ხარჩილავას წერილებსაც.

გურამ პეტრიაშვილი ორ ნაწილად დაწერილ პოლემიკურ წერილში „მშვიდობა თქვენსა მოსვლასა“ (1983), „მართლის თქმის“ პრინციპით განიხილავს ახალგაზრდათა შემოქმედებასთან დაკავშირებულ საჭირობოროტო საკითხებს. პირველ წერილს აქვს მინაწერი: „ლექსი არის ორგანული პოეტური მთლიანობა“. ავტორი თავიდანვე საკამათოდ მიიჩნევს აზრს, თითქოს ლიტერატურაში ყველაფერს წყვეტს ნიჭი. ავტორი კონკრეტული მაგალითებით ასაბუთებს, რომ მხოლოდ ნიჭი არ კმარა პოეზიის შესაქმნელად. მისი აზრით, პოეტმა უნდა წეროს არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ, უპირველესად, მკითხველისთვის, შეძლოს უდანაკარგოდ მიიტანოს მის სულსა, გულსა და გონებაში ის, რაც თვითონ იგრძნო და განიცადა. ახალგაზრდა ავტორების პოეზიის გაცნობის შემდეგ მან დაასკვნა, რომ მათ აქვთ ნიჭი, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად კარგ ლექსებს ვერ წერენ. ამ თვალსაზრისით, იგი კრიტიკულად განიხილავს როინ ამონაშვილის, ნუგზარ კობერიძის, გურამ ოდიშარიას, ვახტანგ ხარჩილავას, შუკო ჯიქიას, გიგი სულაკაურის, მანანა ჩიტიშვილის, ვაჟა ხორ-

ნაულის, ბორენა ჯაჭვლიანის, ნაილი ნეკერიშვილის, გიორგი მინდიკაურის კრებულებსა თუ ლიტერატურულ ჟურნალებში დაბეჭდილ ლექსებს. ავტორი კონკრეტულ ლექსთა ანალიზის გზით წარმოაჩენს როგორც თავის მიერ მოწონებულ, ასევე დაწუნებულ სტრიქონებს. იგი ფიქრობს, რომ ყველა ლიტერატორის ზნეობრივი მოვალეობაა, იზრუნოს საკუთარი ოსტატობის ზრდაზე და რამდენადაც შეუძლია, ხელი შეუწყოს თავისი კოლეგების ოსტატობასაც: „ის ამბავი, რომ უამრავ ჩვენს ნაცად პოეტს ერთი სიტყვაც არ დასცდენია თავის კოლეგებზე, არც უფროსებსა და არც უმცროსებზე, ვერაა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების საამაყო ფაქტი“.

გურამ პეტრიაშვილის ამავე სახელწოდების მეორე წერილს აქვს მინაწერი: „პოეტის ინდივიდუალურობა და პოეტური პროზა“. მისი აზრით, გულწრფელობა პოეტის ინდივიდუალობის გამოვლენას უწყობს ხელს, თუმცა გულწრფელობა პოეზიაში არცთუ ისე ადვილი მისაღწევია, რადგან ამაში პოეტს ხელს უშლის ლიტერატურული მოდა და არსებული შტამების ინერცია. ამიტომ ეს ყოველივე მას უბიძგებს ლიტერატურული პოზისაკენ. ავტორი „აბსტრაქტულ პოეტურობასაც“ თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ სენად მიიჩნევს. მას ასევე მიუღებლად მიაჩნია „ფილოსოფოსობის“ პოზა. იგი ამ თვალსაზრისით, კრიტიკულად განიხილავს თამაზ ბაძაღუას, გიგი სულაკაურის, დალილა ბედიანიძის, ბათუ დანელიას ლექსებს. საგულისხმო და მრავლისმეტყველია ავტორისეული დასკვნა: „ყველა პოზამ ისეთ შედეგამდე მიგვიყვანა, ავტორებს რომ არ უფიქრიათ, შედეგები კი ცუდია: „იდუმალების პოზამ“ ბუნდოვანი ლექსი მოგვცა, „პოეტურმა თქმებმა“ ხელთ შემოგვაჩვენეს ლიტონი სიტყვები, „სიტყვებით თამაშმა“ უპასუხისმგებლობამდე მიგვიყვანა, „ფილოსოფოსობამ“ – მცდარ აზრებამდე. ეს არცაა გასაკვირი. პოზა ხომ სიყალბეა და სიყალბეს კარგი არაფერი მოუტანია არასოდეს. როცა პოზა მოერევა, ავტორი კარგავს

კონტროლს ლექსზე და პოზა თვითონ მიაქანებს ლექსს კატასტროფისკენ“. მიუხედავად იმისა, რომ ეს კრიტიკა ძალიან სუბიექტურია, ავტორის შენიშვნები დღესაც აქტუალურია და თანამედროვე პოეზიასაც მიესადაგება.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე გამართული დისკუსია ქართული პოეზიის საკითხების შესახებ მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მაშინდელ სალიტერატურო პროცესებზე.

რობერტ პეტრიაშვილი წერილში „მონატრებული სამყაროს ძახილი“ (1982) განიხილავს სოსო პაიჭაძის მოთხრობაში „ბაქანი – ბოტანიკური ბალი“ წარმოჩენილ შიშის ფენომენის სხვადასხვა ასპექტს. ავტორი გამოწვლილივით, ზედმინეწვით აანალიზებს პერსონაჟთა ქვეცნობიერში არსებულ შიშებს, რომელთა დაძლევა გადაუღალახავი გახდა მათთვის და ამიტომაც ურთიერთობას პერსპექტივა არ გაუჩნდათ. ავტორი არ იზიარებს იმას, რომ სოსო პაიჭაძე „ძნელი მწერალია“. მისი აზრით, ამ ილუზიას ქმნის ის, რომ მის მოთხრობებში სამყაროს სიღრმეებია წარმოჩენილი: „ეს მოთხრობაც დიდი ტკივილის კარნახით არის დაწერილი. ეს ტკივილი არ ეკუთვნის მხოლოდ მწერალს, არამედ ყოფიერების ტკივილია, რომელმაც მწერალი აირჩია თავისი სატკივრის გასამხელად“.

ზაზა აბზიანიძე წერილში „სამი უცნაური კაცი“ (1982) მსჯელობს იმაზე, რომ „ზნეობრივი კონფლიქტი, რომელშიც, ერთი მხრივ, ღირსებისა და მოვალეობის გრძნობა, ხოლო, მეორე მხრივ, ანგარება და პრაქტიციზმი უპირისპირდებიან ერთმანეთს, უახლესი ქართული პროზის საკვანძო თემად იქცა“. ამ თვალსაზრისით, ის სხვადასხვა რაკურსით საინტერესოდ და სიღრმისეულად განიხილავს სამ პერსონაჟს: პანტე ჯავას, სიძველეთა „თვითმარქვია“ ქომაგს, სოფლის მასწავლებელს, პენსიონერს (ნოდარ წულეისკირის მოთხრობის „დავით აღმაშენებლის ქვის“ გმირს); მეტყვევით ლუკა ჩოხელს, რომლის სახელითაც დასათაურებულია ვაჟა გიგაშვილის მოთხრობა და ტყისმცველ დათიკოს

(რევაზ ინანიშვილის ნოველის, „ლამაზი ქალის“ მთავარი პერსონაჟს).

სერგანტესის „დონ კიხოტს“ სახარებისეულ ინტერტექსტუალურ კონტექსტებში განიხილავს გიორგი გაჩეჩილაძე წერილში „ასოციაციური პარალელები“ (1982). მისი აზრით, რომანში მაცხოვრის მისტერიაა წარმოჩენილი. იგი აღრმავებს და ამრავალფეროვნებს მიგელ დე უნამუნოს ამ თვალსაზრისს. ავტორს ასოციაციური პარალელები აქვს დაძებნილი დონ კიხოტის ცხოვრებასა და სახარებისეულ ეპიზოდებს შორის.

დათა თუთაშხიას (ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“) მხატვრულ სახეს განსხვავებული რაკურსით წარმოაჩენს გიორგი გაჩეჩილაძე წერილში „ონტოლოგიური შიშის რაინდი“ (1983). იგი ფიქრობს, რომ გმირისთვის დამახასიათებელი „გაკვირვებული თვალები“ მეტყველებს მის მსოფლმხედველობაზე. ამ თვალსაზრისით, ეს ნაწარმოებიც „გაკვირვების რომანად“ მიაჩნია. ავტორის აზრით, დათა მაძიებელი გმირია, ამიტომაც თავისი ბედითა და არჩევანით მიემსგავსება მსოფლიო ლიტერატურის ცნობილ პერსონაჟებს. იგი სამყაროს კანონზომიერებათა ძიების გზაზე ხან დონ კიხოტია, ხან ფაუსტი, ხან ელსინორასს ტერასაზე მდგარი „დროთა კავშირის რღვევის“ აღმომჩენი ჰამლეტი, ხან ცხოვრების სიამეზე დახარბებული ეპიკურელი დონ ჟუანი, ხან ცოდვითა დამსჯელი აპოკალიფსის მხედარი და ხან თვითშენიშნის იდეით აღტაცებული, ბოროტების კეთილად გარდამქმნელი ქრისტი.

მაკა ჯოხაძე წერილში „შენთან ყოფნიდან უშენობამდე“ (1983) თავისებური არტისტული მანერით აანალიზებს მიხეილ ქვლივიძის პოეზიის თემატიკასა და მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს. მისი აზრით, მიხეილ ქვლივიძეს ერთსა და იმავე მოვლენაზე, საგანზე შეუძლია განუწყვეტლივ სხვადასხვანაირად, საინტერესოდ წეროს. ავტორი ქართული ჩუქურთმის პრინციპს მოიხმობს იმის გამოსაკვეთად, რომ პოეტი არსად იმეორებს არცერთი ხატს, ტროპს, შედარებას: „თვით ჭაბუკობისდროინდელ

ლექსებშიც კი, სადაც ინტონაციური ნათესაობა ჯერ კიდევ არსებობს ქართულ კლასიკურ პოეზიასთან, მიხეილ ქვლივიძის არცერთი სახე არავისას არ ჰგავს, მისია, საკუთარია“.

ზაზა გოგია წერილში „ლირიკული პროზის გმირი“ (1983) ჯერ ლირიკული პროზის სპეციფიკას განიხილავს და შემდეგ უკვე კონკრეტულად ლირიკული პროზის გმირისთვის დამახასიათებელ ასპექტებს აანალიზებს. მისი აზრით, პროზაში ლირიკული ტონალობის შეტანა მიზნად ისახავს მგრძნობელობის გამძაფრების, პოეტურობისა და მაღალმხატვრულობის მიღწევას. ამ ნიშნის მიხედვით, ლირიკული ტონალობის მოძალეობა უცხო არ არის არცერთი ერისა და პერიოდის, მათ შორის, მეოცე საუკუნის 20-30-ანი თუ 50-60-იანი წლების ქართული ეპიკური პროზისთვისაც. ამ თვალსაზრისით აანალიზებს იგი გურამ რჩეულიშვილისა და გიორგი ლეონიძის პროზის გმირებს.

პაატა ჩხეიძე წერილში „კიდევ რამდენია გასავლელი“ (1983) აანალიზებს ავთანდილ ჩხიკვიშვილის მოთხრობების კრებულს, „დროს“. მისი აზრით, კრებულში წარმოდგენილ ხუთივე მოთხრობაში ვარაიაციულად არის წარმოდგენილი დროში ჩაღრმავება. ავტორი არა მარტო მარადმედნი დროს გვიხატავს, არამედ გაჩერებულსაც, როგორც არაბუნებრივ აუტანელ მოვლენას, რომელსაც ებრძვის ადამიანი. მოთხრობებში მაღალმხატვრულად, ცალკეულ პერსონაჟთა და მოვლენათა ასახვის გზით გამოკვეთილია, რომ დროის შეჩერება პიროვნების არსებობისა და ყოფის რღვევაცაა, ხანდახან კი შეიძლება შერწყმაცაა დროში, სამყაროს სულთან შეერთებაც, ბუნების არსში წვდომაც.

შოთა ჩანტლაძის, ინდივიდუალური ხელწერის ავტორის შემოქმედებას განიხილავს თვითონაც გამორჩეული პოეტი ემზარ კვიტაიშვილი წერილში „მე მარტოხელა ვიყავი კაცი“ (1983). ავტორი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას ერთიან კონტექსტში წარმოაჩენს. მისი აზრით, „მკვეთრად გამოვლენილი ინდივიდუალობა, ხატვის ერთგვარი ექ-

სპრესიონისტული მანერა, მეტად თავისებური კონტრასტული აზროვნება გამორჩეულ იერს აძლევდა ყოველივე მნიშვნელოვანსა და ღირებულს, რაც შოთა ჩანტლაძის კალამს შეუქმნია. მან ადრევე გამოკვეთა თავისი შემოქმედებითი მრწამსი, ოსტატობისკენ მიმავალი ძირითადი მიმართულება“. ემზარ კვიტაიშვილი შოთა ჩანტლაძის ლექსთა თემატიკურსა და ვერსიფიკაციულ თავისებურებებს ზედმიწევნით აანალიზებს.

სოსო სიგუა წერილში „ერთი სამყაროს მრავალი სახე“ (1983) თვალს გაადევნებს გურამ ფანჯიკიძის მრავალფეროვან შემოქმედებას, მის ტექნიკურსა და ჟურნალისტურ ინტერესებს, რომელთაც თავიანთი კვალი დაატყვეს მისი შემოქმედების მხატვრულ სამყაროს. ყურადღებას მიაქცევს რომანებში წარმოდგენილ მომხმარებლური საზოგადოების კრიტიკას, ზედმეტ ადამიანებს, ძლიერ პიროვნებებს, სიტყვისა და საგნის ურთიერთობას. აანალიზებს რომან „აქტიური მზის წელიწადში“ დახატულ პერსონაჟთა ხასიათებსა და იდეებს, სტილურ თავისებურებებს. მისი აზრით, გურამ ფანჯიკიძე „წერს კონცეპტუალურ რომანებს, რომელთაც სჭირდებათ მთლიანი აღქმა, მაგრამ იგი დიდი სიზუსტით ამუშავებს დეტალებსაც, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დეტალთა სისტემას, რომელსაც მივყავართ, მთავარი სათქმელის სიუჟეტურ გაშლამდე, ცხოვრებისეულ ტკივილებამდე“.

ნაირა გელაშვილი, თვითონაც შესანიშნავი მწერალი, დეტალურად და სიღრმისეულად აანალიზებს გურამ დოჩანაშვილის მოთხრობას „ვატერ(პო)ლოო, ანუ აღდგენითი სამუშაოები“ წერილში „აფრედერიკი და განაბულჯადოქრიანი საკრავი“ (1983). მისი აზრით, მოთხრობაში მუსიკის, ანუ თავისუფლებისა და სიყვარულის სამყაროს უპირისპირდება ანტისულიერი ძალადობისა და სიყალბის საუფლო. ერთ მხარეს არის მუსიკა ნათლისა და მეორე მხარეს – ჰარმონიული ხმისერებისგან დაცლილი შედედებული ჩლუნგი ცხოველური სტიქია: „ვატერ(პო)ლოო“, მიმართული სიყვარული-სა და თავისუფლების სამყაროსთან კავ-

შირის წინააღმდეგ მუსიკალურ ხელოვნებასაც, როგორც ამ კავშირის გზასა და გამოხატულებას, თავის სამსახურში აყენებს. ეს კი ძალადობისა და ბოროტების შენიღბვის მიზნით ხდება“. ავტორი ყურადღებას მიაქცევს გურამ დოჩანაშვილისეულ სიტყვისქმნადობასაც.

მეოცე საუკუნის 70-იანი წლების ქართული ლიტერატურული პროზის ტენდენციებს აკაკი მინდიაშვილი მერაბ აბაშიძისა და სოსოს პაიჭაძის მოთხრობათა ანალიზის გზით წარმოაჩენს მრავალმხრივ საგულისხმო წერილში „ყოველდღიურობის მიღმა“ (1983). წერილში განხილულია მერაბ აბაშიძის მოთხრობები „აქეთ მაშხალები, კვაზიმოდო!“ და „პოეზიის ხანძრის ქალიშვილი“, სოსო პაიჭაძის „უკანასკნელი დუბლი“. ავტორი ყურადღებას მიაქცევს არა მხოლოდ პერსონაჟთა ხასიათებსა და იდეებს, არამედ ენობრივ ნოვაციებსაც, ამ თვალსაზრისით, წერილში საინტერესო დაკვირვებებია გურამ დოჩანაშვილის პროზაზეც. მისი აზრით, „მერაბ აბაშიძისა და გურამ დოჩანაშვილის მიერ მხატვრული ჩანაფიქრის მიზნით ეროვნული სალიტერატურო ენის, მისი ნესებისა და კანონების „დარღვევა“, მათი მარკირება უმეტესწილად ესთეტიკურად გამართლებული და მოტივირებულია.“

მურმან თავდიშვილი წერილში „სევდით განათებული“ (1983) გივი გეგეჭკორის პოეზიის თავისებურებებს განიხილავს. მისი აზრით, პოეტი ყოველ სიტყვას ათასგზის წონის და არჩევს: „ეს არის ბუნებრივი, ინტუიციური გზით წვდომა იმ ყველაზე ოპტიმალური და ემოციური სტრიქონებისა, აგრეთვე, სიტყვათა და ბგერათა შეთანხმებისა, რაც ოსტატობით ვერასოდეს მიიღწევა“.

რევაზ თვარაძე ახალგაზრდული პროზის შესახებ „ცისკრის“ მიერ შეკვეთილ სტატიაში „გვაქვს უთვალავი ფერი“ (1984) წერს: „ეს ჩინებული მწერლები, რომელთა „ახალგაზრდა პროზაიკოსებად“ სახელდება სავსებით პირობით რამ არის, თავისთავადნი არიან, საკუთარი სატიკვარი და საკუთარი სათქმელი მოაქვთ, რითაც თითქმის ყოველი მათგანი გამოირჩევა სხვათაგან“.

იგი ცოტა სკეპტიკურადაც უყურებს ამგვარ სახლდებას – „ოთხმოციანელები“ – რადგან მიაჩნია: „თუკი მწერალი მართლა მწერალია, თუკი ღმერთს მისთვის ნიჭი მიუმადლებია, სხვათა ამქარში ჩაურთიყვანადაც შეგვამეცნებს თავის არსებობას, თუ არადა კრიტიკოსთა მიერ შედგენილ ნუსხაში მოხვედრა მაინც ვერაფერს ნაადგება – რომელ თაობასაც უნდა მიაკუთვნონ, ამოა იქნება ყოველი“. კრიტიკოსი ეძებს განსაკუთრებულს, დასამახსოვრებელს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ისეთს, თავადაც რომ „დაინთქა ენის სტიქიონში და ჩვენს ჩაგვიყოლია“, და მხოლოდ ორ-სამს პოულობს ასეთს. თაობის ერთი გამოკვეთილი ტენდენცია კი, რასაც გამოყოფს კრიტიკოსი, არის მეტაფორულობის, ხატოვანების, სიტყვის მაგიური ძალის, იდიომებისა თუ სინონიმების უგულებელყოფა. და ეს ყველაფერი იმ ფონზე, როცა თარგმნილი პროზაც და პოეზიაც ენის აურაცხელი შესაძლებლობებითაა აღბეჭდილი, რაც კიდევ უფრო აკვირვებს კრიტიკოსს. ასევე მნიშვნელოვანია მისი შემდეგი შენიშვნაც: „ენის გამარტივებისა და ნიველირების ტენდენცია გლობალური მოვლენა უნდა იყოს და ამ მხრივ ჩვენი ახალგაზრდა პროზაიკოსები განცალკევებით კი არ დგანან, პირუკუ – ეპოქის მაჯისცემას ეხმებიან თითქოს“. სტატია ზოგადი ხასიათისაა, კონკრეტულად აქ არცერთი ავტორი და ტექსტი არაა დასახელებული, მაგრამ მეტად საგულისხმო ზოგადი ტენდენციები ზუსტადაა ჩამოყალიბებული და არგუმენტირებული.

ოთარ ჭილაძის პოეზიის ერთ ტენდენციაზე, კერძოდ კი ურბანისტულ მსოფლგანცდას ეხება თამაზ ვასაძის წერილი „ლირიკული გმირი და ურბანისტული მსოფლგანცდა“ (1984). სტატიაში ურბანისტული გარემო გააზრებულია, როგორც ინდივიდში ტკივილის, სიმძიმის, დაძაბულობის გამომწვევი მიზეზი. გაანალიზებულია პოეტის სასიყვარულო ლირიკა, სადაც ყველაზე უკეთაა გამოჟღავნებული „ლირიკული გმირის ფსიქოლოგიის ურბანისტული ნყოფა“.

გიორგი გაჩეჩილაძის სტატია „გზა



სინთეტიზმისაკენ“ (1984) შოთა ნიშნიანიძის პოეზიას განიხილავს. კრიტიკოსი გამოყოფს შოთა ნიშნიანიძის პოეზიის მთავარ მოტივებს და აღნიშნავს, რომ მისი ლექსები სამყაროს საიდუმლოებაში წვდომის ცდაა. ამისთვის კი მას ორი მიმართების გარკვევა სჭირდება: რას წარმოადგენს სამყარო პოეტისთვის და რას წარმოადგენს თავად პოეტი ამ სამყაროში. ეს საკითხი კი ხალხური პოეზიიდან მოყოლებული მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის უმთავრესი თემაა. კრიტიკოსი ვრცლად მსჯელობს ისეთ მეტაფორულ სახეებზე, როგორებიცაა გზა და გზაჯვარედინი, კონფლიქტზე სიტყვასა (აღმნიშვნელს) და საგანს (აღსანიშნს) შორის, „ისტორიული მეხსიერების“ გამოვლენის თავისებურებებზე. „რა ცნებით შეიძლება იქნას დახასიათებული თანამედროვე კულტურის დანაწევრებულ ფონზე შოთა ნიშნიანიძის მიდრეკილება კონცეპტუალურობისაკენ? სინთეტიზმით და მხოლოდ და მხოლოდ სინთეტიზმით? [...] გზა სინთეტურობისაკენ მის პოეზიაში ორი მიმართულებით წარიმართა: კულტურულ-შინაარსობრივი და წმინდავერსიფიკაციული“.

გასული წლის „ცისკრის“ მხატვრულ პროზას მიმოიხილავს ლევან ბრეგაძე წერილში „ცისკრის“ პროზა 1983 წელს“ (1984) და გამოყოფს რამდენიმე ტენდენციას. კერძოდ, განიხილავს ჯემალ ქარჩხაძის „ქარავანს“, აღნიშნავს, რომ რომანის კომპოზიციურად შეკვრელი ელემენტი მოულოდნელობის ეფექტია და რომანის ძირითადი ნაკლი კი – მთავარი პერსონაჟის აბელის სახის უფერულობა, რაც აშკარად ჩანს. გოდერძი ჩოხელის „ადამიანთა სევდა“ ბევრი კომპონენტით მნიშვნელოვან ნაწარმოებად მიაჩნია და ერთ-ერთი ნიშანი, რაც გამოარჩევს მას და რასაც კარგა ხანი უვლიდა გვერდს ჩვენი ლიტერატურა, არის სიკვდილის თემა და ადამიანის მასთან დამოკიდებულება. კრიტიკოსი დაასკვნის: „გოდერძი ჩოხელის დამოკიდებულება სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემასთან წააგავს ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულებას: „ღმერთმა გიშვე-

ლოს, სიკვდილო, სიცოცხლე შეგნობს შენითა“. ამავე წერილში განხილულია ოტია იოსელიანის ავტობიოგრაფიული ნოველები, ოთარ ჩხეიძის, გივი მაღულარიას, რევაზ მიშველადის, მამუკა დოლიძის, სოსო პაიჭაძის მოთხრობები და ნოველები, რეზო ჭეიშვილის „რასემონი“ (კრიტიკოსის შეფასებით „აბსურდის ლიტერატურის მშვენიერი ნიმუში“). სტატიის დასასრულს კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას გამოკვეთს კრიტიკოსი: „სიყვარულის დევალვირების თემა – ეს არის ბოლო წლების ჩვენი ლიტერატურის თვალშისაცემი სიახლე“.

სიკვდილის პრობლემის ორიგინალური გააზრების შესახებ საუბრობს ნაირა გელაშვილი წერილში „ტრაგიკული გრადაცია“ (1984), რომელშიც სოსო პაიჭაძის მოთხრობა „უკანასკნელი დუბლი“ აქვს განხილული. „მთელი მოთხრობა განფენილია სამ სიკვდილს შორის: უცხო ადამიანთა (11 მგზავრი), უახლოესი ადამიანის (მეუღლე) და დაბოლოს – საკუთარი სიკვდილი“. ნაირა გელაშვილს პრობლემა ექსისტენციალურ-ონტოლოგიურ ჭრილში აქვს განხილული, მარტინ ჰაიდეგერის თეორიულ საფუძველზე, რაც სტატიას განსაკუთრებულ სიღრმესა და ინტერესს სძენს.

ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზიის ერთ ტენდენციას – ეროვნული ხასიათის წარმოჩენას, ისტორიისა და თანამედროვე რეალობისათვის თვალის გასწორებას – ეხება კობა იმედაშვილის წერილი „ახალი სიმაღლე“ (1984), სადაც პოეტის ბოლო წლების ლექსებს განიხილავს კრიტიკოსი. აკაკი მინდიაშვილი კი სტატიაში „წუთისოფლის ეტიუდები“ (1985) ოთარ ჩხეიძის ახალ ნიგნს „ჩემი სოფლის ეტიუდებს“ განიხილავს და მთავარ პრობლემატიკას გამოყოფს: წარსულის დაკარგვის სევდა, წინაპრების ხსოვნის დავიწყება, სოფლის დაცლა და გაუკაცრიელება, ადამიანის უარყოფითი თვისებების გამომზეურება. ამასთან ერთად კრიტიკოსი მწერლის სტილისტურ სიახლეზეც ამახვილებს ყურადღებას: „სტილის თვალსაზრისითაც ეტიუდები განსხვავდება უკანასკნელ ხანებში შექმნილი ეტიუდებისა და



მოთხრობებისაგან – სისადავის, უბრალოებისა და ლაკონიზმისკენ მეტი მისწრაფებით გამოირჩევა...“.

გივი ჩხიკვიშვილის „უკომპრომისო შემოქმედი“ (1985) ოთარ ჭილაძეზე, როგორც პროზაიკოსზე საუბრობს, სადაც იგი შემდეგნაირადაა შეფასებული: „უნიკალურია საკუთარი პროზაული ხელწერის მეშვეობით. მასშტაბურია წამოჭრილი პრობლემების ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ჟღერადობით“. „ოპტიმისტური ტრაგედია“ – ასე განსაზღვრავს კრიტიკოსი ოთარ ჭილაძის რომანებს. ავტორი აანალიზებს „რკინის თეატრს“ და გამოყოფს მის ძირითად იდეურ მოტივებს, ხასიათთა განვითარებას, ისტორიული ვითარების აღწერის ფუნქციას. „რკინის თეატრში“ ოთარ ჭილაძემ სცადა, „ტრადიციული“ და „ახალი“ რომანის ორგანული სინთეზი მოეხდინა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მან ეს ცდა წარმატებით დაამთავრა“, – დასძენს კრიტიკოსი.

ძალზე მნიშვნელოვანი სტატიაა მანანა კვაჭანტირაძის „ბრწყალით ვუპყრევარ სევდასა“ (1985), რომელშიც გოდერძი ჩოხელის რომანს, „ადამიანთა სევდას“, აანალიზებს ავტორი. „უცნაური რომანი დაწერა გოდერძი ჩოხელმა“, – ასე იწყებს და შემდეგ დაწვრილებით განიხილავს რომანის რაგვარობას, სიახლეს, გამოსახვის საშუალებებს, მწერლის მიზანდასახულობასა და ტექსტის უმთავრეს იდეურ-თემატურ მოტივებს. „რომანის აზრობრივი და მხატვრული კონტექსტის მიხედვით ჩოხელთა ლაშქრობა ჰუმანიზმის პაროდირებული იდეის ძლევამოსილი მსვლელობაა გუდამაყრის მიკროსამყაროში. [...] ჩოხელთა „ამბოხის“ ჰუმანური არსი დამახინჯებული და გაუფასურებულია, ჯერ ერთი, ეგოცენტრული მიზნითა და მეორე – ძალადობის რაციონალური, „კულტურული“ ფორმით. ვაჟი გოგი ამ უკანასკნელის პერსონიფიცირებული სახეა. [...] იგი ანტიგმირია, ქართული ლიტერატურული ტრადიციით კი – ვაჟკაცის, „კაი ყმის“ პაროდირებული სახეა“. სტატიაში ასევე გაანალიზებულია

ლია სიმბოლიზების თავისებურებები, ობიექტივისტური მსოფლმხედველობის საკითხი, მწერლის ჰუმანიზმის ტრაგიკული ელფერი, ბედისწერის გაგება და ბოროტების დათრგუნვის გზები, სიყვარულისა და რწმენის ტრაგედია.

ოთარ ჭილაძის შემოქმედებას აფასებს კობა იმედაშვილი სტატიაში, რომელსაც ისევე უწოდა, როგორც მწერალმა თავის 1983 წელს გამოცემულ რჩეულს – „გახსოვდეს სიცოცხლე“ (1986). „ოთარ ჭილაძე ქართულ მწერლობაში ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში მოვიდა. ეს იყო დრო გალაკტიონის, გოგლასი და სიმონისა, მაგრამ უკვე თავის განსხვავებულ სიტყვას ამბობდნენ ანა კალანდაძე, იოსებ ნონეშვილი, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე. [...] მოახლოებული შორეული თუ ახლოებული ტალღების ხმაური უკვე ისმოდა და სწორედ ამიტომ ახალგაზრდა კაცისთვის ძნელი უნდა ყოფილიყო საკუთარი ხმის პოვნა. ოთარ ჭილაძემ ეს შეძლო, კარგად შეძლო, ისე რომ არ დაუკარგავს კავშირი თავისი აღტაცების საგანთან – გალაკტიონთან. მან აღმოაჩინა ახალი, თავისი პოეტური სამყარო, რითაც დიდი წვლილი შეიტანა გალაკტიონის შემდგომი ქართული პოეზიის დადგენებაში“. აქვე მის კიდევ ერთ მნიშვნელოვან როლზე საუბრობს – ოთარ ჭილაძეს მისი თაობის პოეტებთან ერთად უკავშირდება თანამედროვე ქართული ლირიკული პოემის ჩამოყალიბება: „ჯერჯერობით ქართულ პოეზიაში ლირიკული პოემა დომინირებს, მისი წარმოდგენა კი ოთარ ჭილაძის პოემების გარეშე შეუძლებელია“. ამავე წერილში ოთარ ჭილაძის პირველი სამი რომანის ძირითად ტენდენციებზეც საუბრობს კრიტიკოსი.

მანანა ჩიტიშვილის სტატია „ო, საქართველოვ, ნიგნო, ჩუმად გადასაშლელი“ (1986) ნიკოლო მინიშვილის შემოქმედებას ეძღვნება. ბიოგრაფიულ დეტალებთან ერთად მიმოხილულია მისი სხვადასხვა დროს გამოცემული კრებულები „წმინდანინი“ (1922) და „შავი

ვარსკვლავი“ (1922, სტამბოლის მამათა მონასტერი), რეაქცია მაშინდელი პოეტური საზოგადოებისა ამ გამოცემებზე, განხილულია ცალკეული ლექსი და საუბარია პოეტის დამოკიდებულებაზე საბჭოთა საქართველოს მიმართ.

1986 წელს დაიბეჭდა გურამ გვერდნითელის ვრცელი სტატია „მზიანი გული“ (1986). სათაურიდანვე გასაგებია, რომ იგი ნოდარ დუმბაძის შემოქმედების შესახებ იქნება. კრიტიკოსი აქ საუბრობს მწერლის შემოქმედების ისეთ ზოგად და თვალსაჩინო მახასიათებლებზე, როგორებიცაა ჰუმანიზმი, სათნოება, სიკეთე, იუმორი. საინტერესოა, რომ ახლადდაარსებულ ჟურნალ „ცისკარში“ იბეჭდება 1959 წელს მწერლის პირველი რომანი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. როგორც კრიტიკოსი შენიშნავს, „ამ რომანით არამარტო ახალ მხატვრულ სამყაროს დაედო სათავე, არამედ ახალ ტენდენციას და ეტაპსაც კი ქართულ საბჭოთა მწერლობაში“. კრიტიკოსი საუბრობს ახალგაზრდა გმირის სახის შესახებ, რომელიც ამ პერიოდის, 60-70-იანი წლების, პროზაში ყალიბდება და გამოყოფს თემატიკას: ომის თემა, თანამედროვე ახალგაზრდობის ცხოვრება, მათი მოქალაქეობრივი თუ ზნეობრივი სახის ჩამოყალიბება, ფრთხილად შემოაქვს რეპრესიებისა და რეაბილიტაციის თემაც, რითაც ტრაგიკულად აღბეჭდილიყო არამარტო ნოდარ დუმბაძის პირადი ცხოვრება, არამედ მთელი ერის უახლოესი წარსული, საუბრობს სიმბოლიკაზე და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მზის სიმბოლიკას. სტატიაში მიმოხილულია მწერლის ყველა რომანი და ხაზგასმულია სიკეთე/ბოროტებისა და მიტევების კონცეპტების გააზრება პირველი რომანიდან უკანასკნელამდე, წარმოჩენილია, როგორ ვითარდება და იცვლება მწერლის ხედვა ამ საკითხის შესახებ.

ნიკო სამადაშვილის არქივზე მუშაობის შედეგებს წარმოადგენს რუსუდან ნიშნიანის ნერილი „ლექსები, ტანზე გამოწყარი“ (1987). მკვლევარი აღნიშ-

ნავს მისი პოეზიის ძირითად თემებს (საკუთარი თავის ძიება, სიკვდილი, ფილოსოფიური განსჯანი) და მთავარ ნიშანს – ტრაგიზმს, რომლითაც აღბეჭდილია ყველა ეს თემა. „ფერთა გამა შედარებით ნაკლებია ნიკო სამადაშვილის ლექსებში. ისინი უფრო გრაფიკულ ნახატებს წარმოადგენენ“, – შენიშნავს მკვლევარი. ხოლო მისი გრაფიკული ლექსების საერთო ნიშნად მოულოდნელობას მიიჩნევს, რაც თავისთავად აძლიერებს ესთეტიკური ზემოქმედების ეფექტს.

მარტოობა და გაუცხოება მიაჩნია რუსუდან კილაძეს გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის „განსმდგომი შუაკაცის“ მთავარ პრობლემად, რაც, თავის მხრივ, მთლიანი საზოგადოების პრობლემაცაა, წერილში „გურამ დოჩანაშვილის ერთი მოთხრობის გამო“ (1987).

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას ეძღვნება თენგიზ ჩხაიძის ნერილი „ქურუმი მზისა“ (1988), რომელიც გრიგოლ რობაქიძის ტექსტების კვლევის საწყის ეტაპზეა შექმნილი. და დღესაც, როცა ბევრი რამ უკვე გარკვეულია და არამხოლოდ სტატიები, მონოგრაფიებია შექმნილი მწერლის შესახებ, საგულისხმოა და მართებული კრიტიკოსის ბევრი მოსაზრება. იგი საუბრობს ბიოგრაფიულ დეტალებზე, მათ შორის კარგა ხანს დავის საგნად ქცეულ მის დაბადების თარიღზე, „გველის პერანგზე“, მითოსური აზროვნების აღორძინებაზე, რომელიც უსათუოდ უკავშირდება მოდერნიზმის პერიოდსა და საკუთრივ გრიგოლ რობაქიძეს, ლექსებზე, ნოველებზე, ესეებზე, საუბრობს მისი შემოქმედების კვლევის, ტექსტების, მეტადრე კი მათი ქართული დედნების, მოძიებისა და გამოცემის მნიშვნელობაზე, განსაზღვრავს მწერლის ადგილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ოთარ ჩხეიძის პროზის სტილისა და თემატიკის ანალიზს ეძღვნება ნაირა გელაშვილის სტატია „... უნდა ენდოთ მემამათეს...“ ანუ ერთი უცნაური, დიდებული მთხრობელი“ (1988). მასში ერთი იმ დროისათვის ახალგაზრდა მწე-

რალი მეორე უკვე გამოცდილი მწერლის ორიგინალურ სტილზე მსჯელობს და აღნიშნავს, თუ როგორ გადალახა ოთარ ჩხეიძის „სტილის სიმძიმე“ და „დღესასწაულში“ აღმოჩნდა: „თხრობის ზეიმი, დიდებული ეპიკური სანახაობა, ბრწყინვალე არტიზანობით, უაღრესად თანამედროვე მწერლური „თამაშითა“ და იუმორით აღბეჭდილი ტრაგიკული სერიოზულობა. მაშასადამე, ისეთი დიდოსტატობა ეპიკური ალქიმიისა, რომლის ცეცხლშიც სხივოსნობს ჭეშმარიტი პროზის ოქრო – სიბრძნის ქვა“.

80-იან წლებში იწყება და შემდეგ პოსტსაბჭოთა პერიოდში კიდევ უფრო აქტიურდება ვასილ ბარნოვის პროზის რელიგიურ ნაკადზე საუბარი. ამ საკითხში ერთ-ერთი პირველი ამირან გომართელია. 1988 წელს გამოქვეყნდა მისი სტატია „ვასილ ბარნოვი და „ბოგოისკატელობა“. წერილში რუსული რელიგიური ფილოსოფიის გამოძახილს ეძებს კრიტიკოსი უახლეს ქართულ პროზაში. მას მოჰყავს დიმიტრი მერეჟკოვსკის, ნიკოლაი ბერდიაევის, ვლადიმერ სოლოვიოვის, ვასილი როზანოვის რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებები და შემდეგ ადარებს მას ვასილ ბარნოვის მსოფლმხედველობას, რომელიც მის მოთხრობებსა და რომანებში გამოიხატა. კვლევის შედეგად იგი რამდენიმე მნიშვნელოვან დასკვნას აკეთებს: ვასილ ბარნოვის მსოფლმხედველობის უმთავრესი თავისებურება წარმართობისა და ქრისტიანობის მორიგებაა; მის შემოქმედებაში აშკარად იკვეთება ანტიასკეტური სულისკვეთება; იგი სიყვარულის უნივერსალურ კონცეფციას ქმნის, რაც ყოველი არსის სიყვარულს გულისხმობს; ბარნოვი მთელ რიგ საკითხებში შორდება რუსულ რელიგიურ ფილოსოფიას და ანტიკურ კორიფეთა ნააზრევს დააყრდნობს საკუთარ ეთიკურ შეხედულებებს.

მუხრან მაჭავარიანის პოეზიის მთავარ აქცენტებს გამოკვეთს სულხან ჟორდანიას სტატია „უვერტიურა მუხრან მაჭავარიანის პოეზიისათვის“ (1989). რომელშიც განხილულია პოე-

ტის ადრეული წლების საკმაოდ თამამად გამოთქმული ეროვნული პრობლემათიკის ამსახველი ლექსები, დუმილის პოეტიკა, დიდაქტიკური იდეის შემცველი ციკლი, საუბარია მუხრან მაჭავარიანის ორიგინალურ სტილურ თავისებურებებსა და პოეტურ, მეტაფორულ თუ არამეტაფორულ, ლექსიკაზე.


დაბოლოს, მიმოხილვას დავასრულებთ სოსო სიგუას ორი საგულისხმო სტატიით. პირველი რევაზ მიშველაძის ნოველების ძირითადი თემატიკის ანალიზია – „ადამიანი და ექსპერიმენტი“ (1989). კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ მისი პერსონაჟები გამორჩეული ბიოგრაფიის ადამიანები არ არიან, მწერლის ინტერესის სფეროში საზოგადოების წევრი რიგითი ადამიანები ექცევიან, ისინი ვინც ცხოვრებასთან ბრძოლაში წაგებულნი არიან და ცდილობს, მათი სახეები დახატოს. ამ ციკლის ნოველებში ჩანს პიროვნებისა და მმართველობის, ადამიანურ ღირებულებათა დეფორმაციის, დანაშაულისა და სასჯელის დარღვეული დიალექტიკის პრობლემა. სოსო სიგუა ასევე აღნიშნავს მისტიფიკირების ხერხს, ირონიასა და იუმორს, პუბლიცისტურ პათოსს, რეალური ფაქტების ფაბულად გამოყენების პრაქტიკას, რომელთაც ხშირად მიმართავს მწერალი, მისი პროზის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად კი კრიტიციზმი მიაჩნია, ხოლო მისი მხატვრული ენის ნიშნებია სასაუბრო მეტყველება, ჟურნალიზმის ენა, დიალექტიზმი და ჟარგონი, რაც ზუსტად შეესაბამება „ნოველების ესპანსიურ პერსონაჟებს“, – აღნიშნავს კრიტიკოსი.

მეორე წერილი კი – „ფიქრი და მუსიკა“ (1990) – გივი ალხაზიშვილის პოეზიას ეხება. გივი ალხაზიშვილი არ არის სოციალური ტონალობის პოეტი, – დანაწიისიდანვე შენიშნავს კრიტიკოსი და შემდეგ მოჰყავს კონკრეტული არგუმენტები, რითაც ამ მოსაზრებას ასაბუთებს. „გივი ალხაზიშვილი მიუბრუნდა სიმბოლიზმის პოეტიკასა და ესთეტიკას. ეს იყო არა ტრადიციის რესტავირება, არამედ ათვისება ახალ დროსა და



სივრცეში“, რითაც პოეტი სოციალისტური რეალიზმის სქემატურობას დაუპირისპირდა. სოსო სიგუა კიდევ ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს შენიშნავს პოეზიაში, ესაა მუსიკალობა, ლექსის საოცარი მელოდურობა (ეს მუსიკალურობა თავისებურად გამოსჭვივის ლექსთა სათაურებში გაბნეულ მუსიკალურ ტერმინოლოგიაშიც), საერთო ჯამში კი, ეს მუსიკა ფიქრის, განსჯის, ანალიზის გაშლის საშუალებას აძლევს პოეტს. ქართული პოეზიისთვის დამახასიათებელ აბსტაქირებასა და მოვლენების ამაღლებულ წარმოსახვას (რასაც აღმოსავლური წარმომავლობის ხსნის კრიტიკოსი) გივი ალზახიშვილთან სიმბოლიზმის ესთეტიკა შეერწყა და ამის შედეგად მივიღეთ მისი ინდივიდუალური პოეტური სტილი.

ამრიგად, ჟურნალი „ცისკარი“ 80-იან წლებშიც აგრძელებდა იმ კურსს, რაც დაარსებისთანავე აიღო. მან თავიდანვე უარი თქვა სოცრეალისტური კრიტიკის ხაზზე, გზა გაუხსნა ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედების განხილვას, მათ მიერ მოტანილი სიახლეების ანალიზს. მნიშვნელოვანია, რომ კრიტიკოსთა ეს თაობა ახალგაზრდა ავტორთა ქება-ნახალისებასთან ერთად არ ერიდებოდა არც მკაცრ შეფასებებსა და შენიშვნებს, ეს იყო კეთილგანწყობილი, მაგრამ ობიექტური შეფასება მაშინდელი სალიტერატურო სივრცისა. 80-იან წლებში ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდილმა კრიტიკულმა წერილებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ცენზურისაგან თავისუფალი ქართული სალიტერატურო კრიტიკის განვითარებაში.



## კამილო ხოსე სელა

### ბატონი დავითი

ბატონი დავითი ძალიან დამ-  
ნუხრებულებიყო, ასეთი არას-  
დროს მინახავს. ცოტა არ იყოს  
და, სინდისი მქენჯნიდა. საბრა-  
ლო ბატონი დავითი, არადა, რა  
კარგი ადამიანი იყო. არც ბატონ  
ანსელომოსავით თავბრუდამხვე-  
ვი, არც ბატონ მარსელინოსავით  
მდიდარი და საჭირო კაცი. ბა-  
ტონი დავითი ხელმარჯვე, მო-  
ხერხებული, ყველაფრის მიმართ  
ყურადღებიანი გახლდათ, ჯერ  
კიდეც ილუზიური, შემეცნებითი,  
რეალობასთან ჯიუტად ზურ-  
გშექცეული ცხოვრობდა. პიროვ-  
ნება, რომელსაც რეალობა პირ-  
დაპირ ასე დაუნდობლად, ასე  
უგულოდ გაუსწორდა... მას ხომ  
ბევრი გეგმა ჰქონდა და ასე მცი-  
რეს განხორციელება შესძლო!

ბატონი დავითი კარგა ხანს მხრებზე  
თავჩამოდებული იჯდა. ხელი სავარ-  
ძლის საყრდენზე დადებული, გრძელი  
სიგარეტით ხელში, თვალების მოფე-  
ნილი დახრით... როდესაც ამ პოზაში  
დაიღალა, ქუდი უკან გადაიწია, თავი  
ასწია, სიგარეტი მძაფრად და სწრა-  
ფად მოქაჩა. დაჟინებულმა შემომხედა,  
თითქოს გაუცხოებულმა, როგორ შეძ-  
ლო და ყველაფერი ასე ერთი ამოსუნ-  
თქვით მომითხრო, ასე უდარდოდ. ჟი-  
ლეტზე ფერფლი მიმოჰფანტვია.

მის მწვანე თვალებში საკუთარი  
უიღბლობის მოგონებების ცრემლე-  
ბი ბრწყინავდნენ. წამიერი, ნერვიული  
ხამხამის ქვეშ თრთოდნენ და ღანვებს



ზემოთ წმინდად, სადად, შიშის მომ-  
გვრელი სინმინდითა და სისადავით  
ჰკრავდნენ წრეს.

შემდეგ, ბოდიშის მოხდით გაიღიმა:

– თქვენ მომიტევეთ.

მე არაფერი მქონდა მისი საპატიე-  
ბელი. ეს მას უნდა მოეტევებინა ჩემ-  
თვის. ეპატიებინა, რომ ყურადღება  
მივაქციე, რომელსაც, ვინ იცის, იქნებ  
მზრუნველობის გამო, წლებია არავინ  
აქცევდა. მისი სევდიანი მოგონებების  
გახსენება ეპატიებინა, რომ თხრობა  
არ შევანყვეტინე, რომ საუბარს მიმარ-  
თულება არ შევუცვალე, მაგრამ, რას  
ვიზამდით! სამველი უკვე აღარ იყო.  
გავუგონე, ყურადღება დაუთმე, არ  
შევანყვეტინე... ვერ შევძელი გამეკე-



თებინა. ვიცოდი, რომ იმაზე საუბარი, რასაც ჰყვებოდა, ტანჯვას ჰგვრიდა, თუმცა, ჩემი შესაძლებელი სისასტიკე არ მანაზლაურებინებდა იმ ტანჯვას, რასაც მეც ვგრძნობდი. და, რასაც ბატონი დავითიც ამჩნევდა. საბრალო ნუგეშს, ალბათ, თავისი ტკივილის ჩემთვის გაზიარებაში გრძნობდა, თუმცა, ამას ნაწყვეტ-ნაწყვეტ აკეთებდა, დამფრთხალი, რათა მისი სევდით და ზედმეტი პირდაპირობით არ დავეტანჯე.

ბატონი დავითი წამოდგა. უკვე დაცარიელებულ სალონში გაიარ-გამოიარა. ხანგრძლივად შეყოვნდა გალერიის შუშის ოთხკუთხედ კედლებთან, მიცვალებულივით ბნელი და დადუმებული ზღვისკენ მიშტერებული. მხოლოდ ღმერთმა იცის, იმ გარშემორტყმულ ღამეს რა ჩრდილოვანი ფიგურები მოჰქონდათ მასთან ტალღებს!..

სახლამდე გაცილება შევთავაზე, მაგრამ, მისი უცნაური ქცევით, რომლითაც მარტოობას გაურბოდა, მთხოვა, დავრჩენილიყავი. შემდეგ მივხვდი, რომ ძილის წინ ასწლოვანი და საუკეთესო წითელი ხისგან დამზადებულ, ბრინჯაოთი მოჭედილ ცოლ-ქმრულ ფართო საწოლში ჩანოლამდე, ბენიამინის საპარკმახეროში შეუვლია. საწოლი ინგლისიდან ჩამოატანინა „ჯეიმს კლარკი და ვაჟის“ სახელოსნოდან.

ბენიამინის სალონში სოფლის ყველა გაჭირვებული იკრიბებოდა, ყოველ ღამეს გიტარაზე დასაკრავად და წითელი ღვინის დასალევად. ბატონი დავითი რომ შევიდა, ფეხზე წამოუდგნენ.

– ჯანდაბა, ბატონო დავით! რამხელა პატივს გვდებთ თქვენი აქ მოსვლით!

– დასხედით, დასხედით.

– როგორც ბატონი დავითი ხედავს!.. აქ ყოველ ღამეს ვიკრიბებით, ცოტა ხნით, ერთად ყოფნაში რომ გავაქარვოთ დარდი, რადგანაც ასეთი საწყლები ვართ!

როგორც ჰყვებიან, ბატონი დავითი სახლში გამთენიისას წაუყვანიათ უსამველოდ მთვრალი... სანყალი ბატონი დავითი, მის ასაკში, ასეთი მარჯვე და

ხელგანაფული, ასეთი ყურადღებიანი ყველაფრის მიმართ, ნებისმიერი მომსახურე ბიჭივით იმ სალონის თავყრილობებზე დასავინყებლად რომ სვამდეს.

– ჩემი ცხოვრების პირველი შთაბეჭდილება იყო, – დაიწყო მოყოლა ბატონმა დავითმა, – ოცდახუთი წლის ვიყავი... ოქროს ასაკია!

ყველაფერი ზრუნვით გავამზადე, თითქოს მეშინოდა, მცირე მოუწესრიგებელი დეტალის გამოც კი მთელი ცხოვრება არ მენანა. ცრუმორწმუნე არ ვარ, მაგრამ... რატომ ხდებოდა, ჩემი ცხოვრების გარკვეულ პერიოდში საგნებზე ისე ვზრუნავდი, თითქოს მათი შემოტრიალების მეშინოდა, თითქოს მზარავდა, უიღბლობის შემოტრიალება ცხოვრების ტვირთად არ მეტარებინა. საწოლი ინგლისში შევუკვეთე, „ჯეიმს კლარკის და ვაჟის“ სახელოსნოში. დიდი იყო, ძალიან დიდი და საუკეთესო ასწლოვანი წითელი ხისგან დამზადებული. ბრინჯაოს დიდი ჭედურით. რომ გენახათ, რა მზრუნელობით შევიძინე!.. სხვა ავეჯი მე თავად დავამზადე. ნაწილი თავად, ნაწილი კი ნახატივთ შევქმენი. ჩემი პატარა, მოყვარულის სალონი დიდ ავეჯთან შერკინების საშუალებას არ მაძლევდა. რასაც ვერ ვბედავდი, დომინგესს ვუკვეთავდი. გეცოდინებათ მის შესახებ – ცნობილი სანტიაგოელი დურგალი.

საქმეში გართულმა ერთი წელი გავატარე. მე ყველთვის წინდახედული ვიყავი. საბრალო, ჩემო თავო! იმ ავეჯის აწყობა, რაც ჩემი მიწიერი ბედნიერების მონმე უნდა გამხდარიყო, მოსვენების საშუალებას არ მაძლევდა და მისგან იძულებულ განშორებას ნაწილობრივ მინაზლაურებდა. ის სანტიაგოში იყო, იცით, ხომ აქედან ორმოც კილომეტრზეა!.. საბრალო მატყლდე, როგორ განიცდიდა ჩვენ განშორებას. კვირაობით მის სანახავად The West-ში მივდიოდი და ორშაბათობით დილით ვბრუნდებოდი. ბედნიერი და იმავდროულად აღელვებული. სანტიაგოდან მისი სურნელიანი შარფი მომქონდა ან

მის მკერდზე პეპლებივით მიბნეული იები, მისი ყავისფერი თმის ღერი, ნებისმიერი რამ, რაც ჩვენ სიყვარულს ასაზრდოებდა შემდეგი შვიდდღიანი განშორების ჟამს.

– ეს ყველაფერი სიყვარული იყო, ბატონო კამილო ხოსე!

როგორ გინდათ დამაჯეროთ რომ ახლანდელ ახალგაზრდებსაც შეუძლიათ იგივე წმინდა გრძნობით სიყვარული, რაც მათ მშობლებს შეეძლოთ? არა. შეუძლებელია. სხვა დრო იყო! გამოხედვა, ღიმილი, არ ვამბობ – კოცნა! – ყველაზე დაჟინებული მიჯნურების ბედნიერებას წარმოადგენდა. დღეს კი, ხომ იცით! რა წარმოდგენები შეიძლება ჰქონდეთ ახალგაზრდებს, ნახევრად შიშვლად პლაჟის ქვიშაზე რომ ატარებენ დროს.

ჩვენმა ქორწილმა ბევრი გააოცა. საბრალო დედაჩემმა, სპეტაკმა, თავისი დანაზოგი ჩემზე დახარჯა. ცერემონია ყველაზე კაშკაშა იყო, რაც კი იმ ხანად აღნიშნულა. მარკიზ N-ის ქალიშვილის, მარია ბერტას ქორწილსაც კი ადარებდნენ.

კმაყოფილებისგან საკუთარ თავში ვერ ვეტიოდი. ოციოდე დღე გაბრუებულმა ვიარე, თითქოს ტვინი ამომწოვეს, მუშაობის სურვილიც არ მქონია. შფოთვისა და ბედნიერების საშინელი და მომქანცველი ნაერთის ტყვე ვიყავი... საათებს მათილდეზე ფიქრში ვატარებდი. წინაც რომ მდგარიყო და ხელით შეხება შემძლებოდა, ვამჯობინებდი, თოლიასავით ან შორეული ღრუბელივით ჰაეროვანი და მიუღწეველი წარმომედგინა. ქუჩაში თვითკმაყოფილი და წელგამართული დავაბიჯებდი, მაღაზიების ფანჯრებში ან კაფე „კომერსიოს“ მთვარის შუქზე ვირეკლებოდი. რომელიმე დაბნეულ მეგობარს თუ ჩავუვლიდი, გამარჯობას ვინც არ იტყოდა, ხალისიანად ვესალმებოდი, რათა სინდისის ქენჯნას არ შევეწუხებინე, ჩემი ბედნიერების მოწმე რომ არ გავხადე. ასეთი ვიყავი მაშინ!

ჯერ კიდევ გასათხოვარ მათილდეში რა თვისებებსაც ვაკვირდებოდი, ბევრი

კიდევ დაქორწინების შემდეგ აღმოვაჩინე. კეთილი იყო, სუფთა, მზრუნველი, ბეჯითი. ბრძენი ქალივით აზროვნებდა, საჩუქრებით და სინაზით მანებივრებდა. სანყალი მათილდე! რა ადრე გაიტაცა ღმერთმა ცრემლების ამ ხეობაში.

ერთ დღესაც, ხუთი თვის დაქორწინებულები რომ ვიყავით, აკვნის გაკეთება დავინწყე. რომიდან სანტიაგომდე საუკეთესო და მსუბუქი მასალას ვეძებდი. იმგვარი გულმოდგინებით და წესრიგით ვიმუშავე, რომ ვერ წარმოიდგენთ. დურგლობას სამი თვე მოვანდომე. შემდეგ ფირუზისფერი ორგანზა გადავაკარი, ღერძებად თეთრი, ვარდის ფორმის სახელურები გავუკეთე და მათილდეს შეკერილი ვარდიც შევამზადე.

ლეიბიც კი მე დავამზადე. უფრო სწორად ორი ლეიბი, რადგან ორი ჰქონდა: ერთი დიდი და ფუმფულა, ცხენის ძუისგან დამზადებული; მეორე პატარა, ზემოდან დასადებად, ბუმბულისგან... და როგორ ავარჩიე ბუმბული! ახლა მეცინება, რა დიდი შრომა დამჭირდა ამისთვის. ბუმბული ადვილად ატყუებს ადამიანს. როდესაც გგონია, საკმარისია და კიდევ მოგრჩება, აღმოაჩენ, რომ ნახევარიც კი არ გქონია.

აკვანს დასრულების შემდეგაც კი ყოველ დღე რაღაც დეტალს ვამატებდი. ლოდინის მეტი აღარაფერი დარჩენილიყო. დასაწყისში ჩემში სიმშვიდემ დაისადგურა. მაგრამ, რაც დრო გადიოდა, თანდათან სულ უფრო მცირე და მცირე სიმშვიდეს ვგრძნობდი, იმდენად მცირეს, მეგონა, ღმერთი მცდიდიდა. მოუსვენრობასთან შესაბრძოლებლად მორჩენილი მასალისგან ორი ანაგრამის გამოჭრა დავინწყე ორი სხვადასხვა ასობგერით, რაც კი მოსალოდნელი იყო – ვერ გამოიცნობით ალბათ „ჩემი ვაჟიო“, არა. არამედ, „მ“ თუ გოგო იქნებოდა, და „ლ“ თუ ღმერთი ისურვებდა და ვაჟი მეყოლებოდა. „მ“ ინგლისური მანერით გამოვიყვანე, გადაჯვარედილებული ტოტებივით, „ლ“ კი გოთიკური – კორნეტზე მიყრდნობილი ნიჩაბივით.

18 წელი იდგა. ბევრი გალისიელის-

თვის მწუხარე წელი. მათილდე მერვე თვეში იყო, როდესაც გრიპი შეეყარა, ის მოდებული გრიპი, რომელმაც ტკივილითა და გლოვით აავსო უბედური ოჯახები... ჩემგან ჩრდილიც აღარ იყო დარჩენილი. ვხედავდი, როგორ გადიოდა დღეები და ჩემი ცოლი კი არ უმჯობესდებოდა. ვხედავდი, დროის მოახლოვებას... საშინელი დღეები იდგა, ჩემო მეგობარო! ვერ შეძლებთ, წარმოიდგინოთ, როგორ ვიტანჯებოდი; თითქოს მოსალოდნელს ვგრძნობდი, რადგან სხვა გზა აღარ იყო დარჩენილი...

მე გვერდით ოთახში ვიმყოფებოდი. დივანზე ვიჯექი, რომელიც იმ მომენტში უჩვეულოდ მოხერხებული მომეჩვენა. ვერ წარმოიდგენთ, ჩემი ფიქრების რაოდენობას, რაც კი იმ დროს გავიფიქრე... ზოგ მათგანს არაფერი ჰქონდა საერთო მოცემულ ვითარებასთან და მე ძალიან მალეღვებდა მათი გააზრება.

სიგარეტს ერთი მეორეს მიყოლებით ნერვიულად ვუკიდებდი. ნამწვს ხან იატაკზე ვაგდებდი, ხანაც კედელს ვესროდი. დედაჩემს რომ დავენახე, იატაკზე რომ ვყრიდი! საათი თითქოს გაჩერდა. ხანდახან შევხედავი და მხოლოდ ხუთი წუთი იყო გასული. საშინლად დაძაბული ვიყავი. ექიმი, ბატონი ალესანდრო, ოთახიდან ხშირად გამოდიოდა და ერთსა და იმავეს ამბობდა:

– გამხნევდი, ბიჭო, საქმეს არ ეშველება.

მაგრამ ბატონი ალესანდროს სიტყვები შვებას ვერ მგვრიდნენ. წევას

განვაგრძობდი. მტანჯველ ფიქრებსაც. მახსოვს, ერთ ხანს ზღვას მივაშტერდი და ტალღები კუბოებად მეჩვენებოდნენ.

ყველაზე ხანგრძლივი შუალედის შემდეგ ბატონმა ალესანდრომ მჟღერი ხმით მიმიხმო. დავბრუნდი. ოთახის შუაგულში გაჩერებულიყო და სათვალეს ინახავდა. რომ ჩადო, ჩემკენ წამოვიდა, მხარზე ხელი დამდო, მზრუნველად მითხრა:

– დავით... ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ.

– აღარ განაგრძოთ, ბატონო ალესანდრო!

მეტი აღარაფრის ცოდნა მინდოდა. კაბინეტში ჩავიკეტე. ჩემმა უფროსმა ძმამ, საბრალო ენრიკემ, ყველაფერი მოაგვარა.

გარწმუნებთ, რომ არ მოვკვდი, წმინდა იოსების წყალობაა! ღმერთის მიმართ ჩემი რწმენა მათილდეზე არ გავრცელდა.

მას შემდეგ სახლში ცოტა არეული დავიარებოდი. იმ დროს საუკეთესო და მსუბუქი მასალისგან დამზადებული აკვანი, რომლის გაკეთბასაც ის გულმოდგინება და წესრიგი მოვანდომე, რასაც ვერ წარმოიდგენთ, ცარიელი იდგა. ასწლოვანი წითელი ხის საწოლის მეორე ნახევარი, ბრინჯაოს დიდი ჭედურით, რომელიც ინგლისში „ჯეიმს კლარკის და ვაჟის“ სახელოსნოში შევუკვეთე – არ იცით, რამხელა სიყვარულით! – ასევე ცარიელი იყო.

ესპანურიდან თარგმნა  
თეა ხომასურიძემ

## დილან ტომასი



დილან ტომასი (1914-1953) – უელსელი პროზაიკოსი და პოეტი, რომლის შემოქმედებას ახასიათებს მუსიკალურობა, ემოციური სიღრმე და სიმბოლურ-მეტაფორული სახეების სიუხვე.

მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, ტომასის უნიკალურმა სტილმა და სამყაროს მისეულმა აღქმამ დიდი გავლენა მოახდინა ისეთ პოეტებზე, როგორებიც არიან: სილვია პლათი, ტედ ჰიუზი, ალენ გინზბერგი და შეიმას ჰინი. მისი პოეზია ხშირად სიურრეალისტურია და მდიდარია იდეურ-მხატვრული გამომსახველობითი საშუალებებით. მისი შემოქმედების ძირითადი წყაროებია სიკვდილ-სიცოცხლის ფილოსოფია, ადამიანის ბუნებასთან ურთიერთპარმონია, ანტინომიური მიმართებები სინათლესა და სიბნელეს, უმანკობასა და ცთომილებებს, გრძნობასა და გონებას შორის, მითოლოგიურ-რელიგიური აღუზიები, თუნდაც ყოველდღიური ყოფის ასპექტები – ბავშვობის მოგონებები, პეიზაჟები, იუმორისტული სიტუაციები და პატარა ქალაქისათვის დამახასიათებელი კოლორიტული პერსონაჟები.

ტომასის პროზა, მისი საყოველთაოდ აღიარებული პოეტური ნაწარმოებების დარად, ცოცხალი, გამომსახველობითი და მეტაფორულია. მის მოთხრობებში შენარჩუნებულია პოეტური ხმა, ესთეტიკური კატეგორიები და იდეალები. მწერალი თავის პროზაულ კრებულში „ხელოვანის პორტრეტი ლეკვობისას“ (1940) ხშირად ბავშვობის მოგონებებს, მშობლიურ სოუნზისა და ვალიურ სოფელში გატარებულ წლებს უტრიალებს. ჩვეულებრივი ადამიანებისაგან დიდი ოსტატობით ძერწავს ექსცენტრულ, უცნაურ სახეებს, ბავშვის თვალთა აღქმულ ჰიპერბოლურ მოვლენებს. სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მოთხრობები, რომლებიც ძირითადად მაშინდელი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე იბეჭდებოდა, ხშირად ფანტასმაგორიული სიუჟეტებით ხასიათდება. თხრობა ენიგმატურია, თითქოს რეალურსა და მაგიურს შორის ზღვარი ნაშლილია, უხვადაა მოკისმომგვრელი და გოთიკური ელემენტებიც.

დილან ტომასის დამატყვევებელი პოეტური ენა, ინოვაციური სტილი, ემოციური სიღრმე და ლიტერატურული გავლენა ფრიად საგულისხმო, დამაფიქრებელი და საინტერესო უნდა იყოს თანამედროვე მკითხველისთვისაც.



## პერანგი

ზარი დარეკა. არავინ გამოხმაურებია. ის წასულიყო. გასაღები გადაატრიალა.

ნაშუადღევს სინათლეზე კორიდორში ჩრდილები ირეოდნენ. მათი ფორმები თითქმის ერთ მთლიან სილუეტად იკვეთებოდა. ქუდი მოიხადა, პალტო გაიძრო და თან სასტუმრო ოთახის კარიდან შემოჭრილი მზის სხივებისკენ გააპარა მზერა, რათა ჩრდილები თვალში არ მოხვედროდა.

– არის მანდ ვინმე?

საგონებელში აგდებდა ეს ჩრდილები. შინ რომ ყოფილიყო, მათაც ისევე გახვეტდა, როგორც ქუჩიდან შემოღწეულ მტვერს.

სასტუმრო ოთახში ცეცხლი მინავლიყო. ბუხართან მივიდა და ჩამოჯდა. ხელები გაყინული ჰქონდა. კარგი იქნებოდა, ცეცხლი ისე აგიზგიზებულიყო, რომ ოთახის კუთხეებიც კი გაეჩახჩახებინა. შინისკენ მომავალმა გზაზე თვალი შეასწრო ძაღლს, რომელიც ავტომანქანას გაეტანა. სისხლის დანახვამ ააფორიაქა. მოუწია, ჩაემუხლა და თითებით შეხებოდა სისხლის გუბებს, რომელიც შუა გზაზე დამდგარიყო. ვიღაცამ სახელო მოქაჩა და ჰკითხა, შეუძლოდ ხომ არ გრძნობდა თავს. გონებაში ღრმად ჩაებეჭდა მისი ხმის ტემბრი და სიმტკიცე, რომელმაც განზრახვაზე ხელი ააღებინა. სისხლს გამოეცალა, მაგრამ თვალიდან არ შორდებოდა ავტომობილის დასვრილი ბორბლები და სიმავე, კაპოტის ქვეშ რომ მოწანწკარებდა. გათბობა სჭირდებოდა. გარეთ ყოფნისას ქარმა სულ დაუხეთქა თითებშორისი კანი.

მას თავისი საკერავი ხალიჩაზე, ნახშირის ვედროსთან დაეტოვებინა. პერანგს იკერავდა. ბამბის ყვითელი ქსოვილი აიღო და თითებით ის ადგილი მოსინჯა, რომელსაც მკერდი შეავსებდა. იმ დილით ჩაცმისას მოჰკრა თვალი, თავზე კაბა რომ ჩამოფხატოდა. მისი შიშველი, კაფანდარა სხეული კანით დაფარულ გუდად მოეჩვენა, რომე-

ლიც ინასთან ერთად სინათლიდან გამოცურებულიყო. პერანგს ხელი უშვა, ის ისევ იატაკზე დაეფინა.

ფიქრობდა, რატომ არ ამომდის თვალებიდან წითლად მოთხვრილი და დასახიჩრებული ძაღლი? აქამდე არ ენახა, ცოცხალ არსებას თავის ქალა ისე გახეთქოდა, რომ ტვინი დაეთხია. ლამის გული წაუვიდა, როცა ძაღლმა უკანასკნელად ამოინკმუტუნა და ჩამსხვრეული მკერდის ფიცარი ბოლომდე ჩაენგრა. თავადაც შეეძლო, მოეკლა და ეღრიალა ბავშვივით, რომელმაც ეს-ესაა ტარაკანი გაჭყლიტა თითებს შორის.

ათასი ლამის წინ გვერდით ეწვა. განაბულიყო მის მკლავებში და ძვლებზე ფიქრს აეტანა, რომლებიც ამ მკლავების ქვეშ იმალებოდა. მისი ჩონჩხის გვერდით სრულიად გატრუნულიყო. გათენდა თუ არა, ძვლებმაც ისევ შეისხეს ბინიერი ხორცი.

სცემდა, რათა საკუთარ ტკივილს გაჰქცეოდა. იმდენჯერ გაასილაქებდა, სანამ ლოყები ჭარხალივით არ წამოუნითლდებოდა. ამგვარად ცდილობდა, როგორმე ბოლო მოღებოდა ტანჯვას, რომელიც შიგნიდან ღრღნიდა. ერთხელ გოგონამ დედის სიკვდილზე უამბო. ქალი ნილბით იფარავდა სახეს, რომელზეც თურმე ავადმყოფობას დაემჩნია თავისი დალი. მას კი ეჩვენებოდა, რომ მისი დედის დაავადება მასაც კალიასავით ახტებოდა სახეზე, პირში უძვრებოდა და მთრთოლარე ქუთუთოებზე აცოცდებოდა.

ოთახში სიბნელე ისადგურებდა. დაღლილ-დაქანცულს ცეცხლის გაღვივების თავიც კი აღარ ჰქონდა და ბოლო ნაკვერჩხალიც თვალწინ მიუნავლდა. ლამის მოახლოებასთან ერთად სახლში სიცივე შემოიჭრა. ჩამქრალი ცეცხლის ავადმყოფური გემო ენის წვერით გასინჯა და გადაყლაპა. სიმწარე აძგერებულ გულთან ჩასრიალდა, პულსს ფეხი აუწყო და ერთხმად დაიწყეს ფეთქვა. მისმა სხეულმა ყოველი დაღახვრული არსების ტკივილი შეიგრძნო. მტკივანი თმის ღერებიდან დაბეჭილ ფეხისგულებამდე დაუარა იმ კაცის ტკივილმა,

რომელსაც თავზე ბოთლი გადააღუნეს, იმ ძროხის ტკივილმა, რომელიც ხბოს მოგებას ლამობს, ძაღლის ტკივილიც კი ცხადად გამოცადა.

ძალა მოიკრიბა. მისი თავი, გაღუმპული ხბო, სახედასახიჩრებული კაცი და ის ძაღლი, ფეხზე ძლივს რომ იდგა, ერთ მთლიანობად შეერთდა, ალისფერ ტვინად და სხეულად გარდაიქმნა და ავისმომასწავებელ ურჩხულთან შესარკინებლად მოემზადა. მისი შინ მოსვლისას თითების ტკაცუნის დაიწყო და ამ ხმამ კიდევ უფრო გაახელა.

შენიშნა, რომ იგი ყვითელ ქუდსა და კაბაში გამოწყობილიყო.

– სიბნელეში რატომ ზიხარ? – გა-  
მოსძახა მან.

სამზარეულოში გავიდა ქურის ასანთებად. ისიც წამოდგა სკამიდან. ხელე-  
ბი ბრმასავით წინ გაიშვირა და მას გაჰ-  
ყვა. გოგონას ხელში ასანთის კოლოფი  
ეჭირა. დამწვარი ღერი გამოაძრო და  
კოლოფს გაუხახუნა. მან ამ დროს კარი  
მოიხურა, თავზე წამოადგა და ყურში  
ჩასძახა: – კაბა გაიხადე.

მისი ნათქვამი ვერ გაიგო და უბრა-  
ლოდ გაუღიმა.

– კაბა გაიხადე. – გაუმეორა.

სახიდან ღიმილი გაუქრა, ამჯერად  
უხმარი ღერი გაკრა და აანთო.

– კაბა გაიხადე. – მოსთხოვა კიდევ  
ერთხელ.

ხელის ცეცებით კიდევ უფრო მიუ-  
ახლოვდა. გოგონა ქურისაკენ დაიხარა.  
მან კი ასანთის ღერი ჩაუქრო.

– რას აკეთებ? – ჰკითხა.

ის ტუჩებს ამოძრავებდა, მაგრამ არ  
ლაპარაკობდა.

– რა გჭირს?

გაშლილი ხელი მსუბუქად წამოარ-  
ტყა ლოყაზე.

– კაბა გაიხადე.

გაიგონა, როგორ გაშრიალდა მის  
თავზე კაბის კალთა და როგორ ამოი-  
სლუკუნა შეშინებულმა თითის მიკარე-  
ბისთანავე. ხელების ფათურით ნელი-  
ნელ დაუნყო კაბის გახდა.

სამზარეულოდან გამოვიდა და კარი  
გამოიკეტა.

კორიდორში შერწყმული ჩრდილე-  
ბი დანალიკებულიყვნენ. სარკესთან  
ჩამოდგა, ყელსახვევი გაიკეთა, ქუდის  
ფარფლი შეისწორა და თავი ველარ იც-  
ნო. იქიდან უამრავი სახე უმზერდა. თი-  
თოეული მათგანი ნაკვთებით წააგავდა,  
თითოეულს მასავით გადაეტიცა თმის  
კულულები. პალტოს საყელო აინია.  
ზამთრის ნესტიანი ღამე იდგა. მიდიო-  
და ქუჩა-ქუჩა და თან ლამპიონებს ით-  
ვლიდა. კარი შეაღო და სითბოში შეა-  
ბიჯა. ბარი თითქმის ცარიელი დახვდა.  
დახლს უკან ქალი იდგა და მოღიმარი  
სახით ხელში ორ მონეტას ათამაშებდა.  
მოსული შენიშნა და გამოსძახა: – რო-  
გორი ცივი ღამეა!

ვისკი გადაჰკრა და გარეთ გამოვიდა.

ყოველი ფეხის ნაბიჯზე წვიმა უფრო  
და უფრო ძლიერდებოდა. ლამპიონების  
თვლა განაგრძო, მაგრამ ბოლოს სათ-  
ვალავი აერია.

ქუჩის კუთხეში ბარს მიადგა, რომ-  
ლიდანაც ხალხი უკვე გაკრეფილიყო.  
სასმლით ხელში დარბაზშიც შეიხედა,  
მაგრამ იქაც არავინ დახვდა.

„ამომავალი მზეც“ ცარიელი იყო.

გარეთ ტრანსპორტის ჩამიჩუმე არ  
ისმოდა. გააცნობიერა, რომ ქუჩაში ძე-  
ხორციელი არ შეხვედრია. მარტოსუ-  
ლობის განცდამ თავზარი დასცა და  
ღრიალი მორთო:

– სადა ხართ? სადა ხართ?

მაღე ავტომობილის ხმაც შემოესმა  
და ფანჯრებში შუქი დალანდა. ქუჩის  
კუთხეში ყური მოჰკრა ვიღაცის სიმ-  
ლერას, რომელიც ერთ-ერთი სახლი-  
დან გამოდიოდა.

ბარი ხალხით გადაიჭედა. ქალები  
ხორხოცებდნენ და ყაყანებდნენ. სას-  
მელი ზედ ეღვრებოდათ და კაბებს  
ინევდნენ. გოგონები ნახერხით მოფე-  
ნილ იატაკზე ცეკვავდნენ. ერთი ქა-  
ლი მკლავში ჩააფრინდა, კაბის სახე-  
ლოთი სახეზე გაექლასუნა, აიღო მისი  
ხელი და ყელზე შემოიჭდო. ქალების  
სიცილ-კისკისისა და მოცეკვავე გო-  
გონების ჟრიალმულისაგან ყურთასმენა  
აღარ იყო. სკამებიდან და კუთხეებიდან  
ტლანქი დედაკაცებიც წამოიშალნენ და

მის თვალწინ როკვა დაიწყეს. დარბაზი ქალებით იყო სავსე. გაუჩერებლად ხითხითებდნენ და თანდათან ყველა მის გარშემო იყრიდა თავს.

რალაც ჩაილულულა ძლივს გასაგონად და იგრძნო, რომ ნაცნობი ტკივილის სიმწარემ ისევ დაუარა მუცელში. თვალებში სისხლი მოაწვა.

შემდეგ მასაც სიცილი წასკდა. პალტოს ჯიბეებში ხელები ღრმად ჩაიყო და ქალებს სახეში შესცინა.

ჯიბეში რალაც ფაფუკს ებლაუჭებოდა. ხელი ამოიღო და მუჭში მოქცეული სირბილეც ამოაყოლა.

სიცილი შეწყდა. ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ქალები სულგანაბული შესცქეროდნენ.

ხელი ასწია და თვალთან გაისწორა. რბილი ქსოვილი ეჭირა.

– აბა, ვინ იყიდის ქალის პერანგს, – დაიძახა, – მოდით, ქალებო, მოდით, ვის გინდათ ქალის პერანგი?

თვინიერი და არაფრით გამორჩეული ქალები ჭიქით ხელში, უძრავად იდგნენ ბარში. ის კი ზურგით დახლს მიჰყრდნობოდა, ხარხარებდა, ღრიალებდა და ცხვირწინ უფრიალებდა სისხლიან ნაჭერს.

## ნამღვილი აბაჰი

ჰელენს რაც თავი ახსოვდა, ზედა სართულზე მცხოვრები მოხუცი ქალი სულ იწვა და კვდებოდა. ცვილის ფიგურასავით გამოტილიყო თავის ქვეშაგებში ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ჰელენი ბავშვობაში დედასთან ერთად ახალი ხილ-ბოსტნეულით ხელდამშვენებული აკითხავდა მომაკვდავს. ახლა ჰელენს ზრდასრული ქალი უფრო ეთქმოდა, რომელსაც წინსაფარი, ჩითის კაბა და უკან შეკრული ღია ფერის თმა ამშვენებდა. ყოველ დილას მზის ამოსვლისთანავე ადგებოდა, ცეცხლს დაანთებდა, წითელთვალე კატას შიგნით შემოუშვებდა. ჩაის დააყენებდა, კოტეჯის უკანა მხარეს, საძინებელში ავიდოდა და მოხუცის სასთუმალთან დაიხრებოდა, რომელიც დაბინდულ

თვალებს არასოდეს ხუჭავდა. ყოველ დილას ცარიელ თვალებში ჩააშტერდებოდა და ცხვირწინ ხელებს აუქნევდა. მოხუცი ქუთუთოებსაც არ ამოძრავებდა, იმასაც ვერ გაიგებდი, საერთოდ სუნთქავდა თუ არა. – რვა საათია ახლა, რვა საათი. – ჩაჰყვირებდა ჰელენი. მოხუცის თვალებს წამსვე ღიმილი გადაეფინებოდა. დამჭანარი ხელი ლოგინიდან გამოძვრებოდა და ასე გაშეშდებოდა მანამ, სანამ ჰელენი თავის ნაზ ხელში არ მოიქცევდა და ფინჯანზე თითებს არ შემოაჭდევინებდა. ფინჯანი დაცარიელდებოდა თუ არა, ჰელენი ხელმეორედ შეავსებდა, ხოლო როცა ჩაიდანი ბოლომდე ჩაიცლებოდა, საწოლს თეთრეულს გამოაძრობდა. ამ დროს ღამის პერანგიანი მოხუცი გაუნძრევლად გაჭიმულიყო ლოგინზე. მის კანსა და თმას ერთნაირი ნაცრისფერი დაჰკრავდა. ჰელენი ქვეშაგებს გაუსწორებდა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში დაეხმარებოდა. შემდეგ კი ჩაიდანი ოთახიდან გაჰქონდა.

ყოველ დილას საუზმეს უმზადებდა ერთ ყმანვილს, რომელიც ბაღში საქმიანობდა. უკანა კართან მივიდოდა, გააღებდა და შორიდანვე დაღანდავდა ნიჩაბმომარჯვებულ ბიჭს. უკვე ცხრის ნახევარიო, დაუძახებდა. ბიჭი ძალზე მახინჯი იყო. თვალები იმ კატაზე უარესად უკვასკვასებდა. შუბლს ქვემოთ ორი ცბიერი ნაპრალი ჰელენის მკერდის სილუეტს პირველივე გაკრთომისთანავე მაღულად შეათვალერებდა. გოგონა საჭმელს იქვე, წინ დაუდგამდა. როცა ბიჭი ფეხზე წამოდგებოდა, ყოველთვის ამას ჰკითხავდა: – რამეს ხომ არ დამავალებდი? – რაზეც ჰელენს არასდროს უპასუხია „დიახ“. ამის შემდეგ ბიჭი საქმეს უბრუნდებოდა, ხან ნაკვეთზე კარტოფილის ამოსაღებად გაეშურებოდა, ხანაც ქათმის კვერცხებს დაითვლიდა სათითაოდ. თუ ბაღში ბურქებზე კენკრაც უნდა გაეკრიფა, შუადღემდე ჰელენიც უერთდებოდა. როგორც კი გოგონა ხელის გულში მოქუჩებულ წითელ მოცხარს მიაპყრობდა მზერას, თვალწინ ის ფუ-

ლი დაუდგებოდა, რომელსაც მოხუცი ლეიბის ქვეშ ინახავდა. ქათმის დაკვლაზე თუ მიდგებოდა საქმე, ჰელენმა სუფთად იცოდა ყელის გამოჭრა, ბიჭისგან განსხვავებით, რომელიც დანას ღია ჭრილობაშივე ჩატოვებდა და სისხლიანი იარაღის პირს სახელოზე შეიხოცავდა. ჰელენი ქათამს დაიჭერდა და დაკლავდა, ხელით თბილ სისხლსაც იგრძნობდა. ბოლოს თვალსაც გააყოლებდა, როგორი კისრისტეხით გარბოდა უთავო ფრინველი შარაზე. მერე შინ შევიდოდა და ხელებს დაიბანდა.

პირგაზაფხულზე ჰელენმა გადანყვიტა, ზედა სართულზე მცხოვრები მოხუცი მოეკლა. სულ ოცი წლისა იყო. მასაც იმდენი რამ სჭირდებოდა. მამაკაცი უნდოდა გვერდით, მასაც სურდა საკვირაოდ შავ კაბაში გამოპრანჭულიყო და ყვავილებით მორთული ქუდით ეკეკლუცა. ფული საერთოდ არა ჰქონდა. იმ დღეებში, როცა ბიჭს კვერცხი და ბოსტნეული ბაზარში გასაყიდად მიჰქონდა, ჰელენი მას მოხუცის მიცემულ ექვსპენსიანს აძლევდა. იმ ცხვირსახოცში გამოხვეულ ფულს კი, რომელიც ბიჭს შინ მოჰქონდა, ჰელენი მოხუცს სათითაოდ ჩაუთვლიდა ხელში. ბიჭის მსგავსად, გოგონაც იმისთვის მუშაობდა, რომ ლუკმაპური და თავშესაფარი მაინც ჰქონოდა. ერთი ეგ იყო, ჰელენს ზედა სართულზე ეძინა, ბიჭს კი ცარიელ ფარდულში უწევდა ღამის გათენება, სადაც ლოგინის მაგივრობას ძირს დაყრილი ჩალა უწევდა.

ერთ დილასაც, როცა ბიჭი ბაზარში იყო წასული, ჰელენი ბაღში გავიდა სასეირნოდ, რათა გეგმის განსახორციელებლად გონებაში აზრები დაეღაგებინა. მაისის დარიანი დღე იდგა, მონმენდილ ცაზე ორიოდ ღრუბელი მიიზღაზნებოდა, რომელთაც მზის თავზე შემოეჭდოთ უფორმო ხელები. – ფრენა მაინც შემეძლოს, – ფიქრობდა იგი, – შევფრინდებოდი ღია ფანჯარაში და ერთი კარგად ჩავასობდი ყელში კბილებს. გრილმა ნიავმა მალევე გაუფანტა ეს აზრები. გრძნობდა, რომ სხვებივით უბრალო გოგო არ იყო. ბოლოსდაბოლოს

ზამთრის საღამოებს წიგნის კითხვაში ატარებდა, მაშინ როცა თივაზე წამოგორებულ ბიჭს გაბანგულივით ეძინა, მოხუცი კი ჩაბნელებულ ოთახში საწოლზე გამოტილიყო. ჰელენი კითხულობდა ღმერთზე, რომელიც ციდან ფულივით ჩამოვიდა, გველებზე, რომელთაც ადამიანივით აედგათ ენა და კაცზე, რომელიც ბორცვის თავზე შემომდგარიყო და ცეცხლის ალს ესაუბრებოდა.

ჰელენი ბაღს ბოლომდე ჩაუყვავდა. ველური, მწვანედ აბიბინებული მინდვრისგან გასამიჯნად ბაღი შემოერაგვათ. მიწაყრილს მიადგა, რომელშიც ადრე ძალღი დაემარხა. ეს ძალღი თავადვე მოუკლავს, რადგან ქათმებს დასდევდა და უმოწყალოდ ბრდღვნიდა. სახელდახელოდ აღმართულ მოუხეშავ ჯვარზე სიკვდილის თარიღი უკუღმა ეწერა. ამ გამოთვლებით ძალღი ჯერაც ცოცხალი გამოდიოდა. – აი, აქ კარგი დასამარხი ადგილია, – ჩაილაპარაკა თავისთვის ჰელენმა, – ამ საფლავის გვერდით ვერც ვერავინ მიაგნებს. მერე ხელები მოისრისა, ფეხი დაკრა და კოტეჯის უკანა კარამდე მანამდე მოასწრო მისვლა, სანამ ის ორი ღრუბელი მთლიანად შთანთქავდა მზეს.

უკვე დრო იყო მოხუცისთვის კერძი მოემზადებინა. კარტოფილი უნდა ჩაეჭყლიტა, ჩაი უნდა დაეყენებინა. ხელში დანა ეჭირა, კარტოფილის ნაფცქვენებს კალთაში იყრიდა და თან ჩათქმულ მკვლელობაზე ფიქრი არ ასვენებდა. საერთო მდუმარებას მხოლოდ კარტოფილზე დანის სრიალი არღვევდა. ქარი ჩამდგარიყო, გული კი ისე გაყურებულის, თითქოს სპეციალურად აეკრათ პირი. კოტეჯში ყველაფერი გაშეშებულიყო. გოგონას ხელი კალთაზე უსიცოცხლოდ ჩამოჰკიდებოდა და ვერც კი შეამჩნია, როგორ ავარდა ბოლი კვამლსადენში და როგორ შეერია უღრუბლო ცას. ამ სამყაროში მხოლოდ მისი გონების ხმა წიკნიკებდა საათივით. სამარისებურ სიჩუმეში მამლის ყვირილი გაისმა და ჰელენს გაახსენდა, რომ ცოტა ხანში ბიჭი ბაზრობიდან დაბრუნდებოდა. მტკიცედ ჰქონდა გადანყე-



ტილი, მოხუცი ბიჭის დაბრუნებამდე მოეკლა, მაგრამ საფლავი ჯერაც გასათხრელი ჰქონდა, მერე მიწის მიყრაც უნდა მოესწრო. ჰელენმა იგრძნო, რომ კალთაზე დასვენებულ ხელზე ისევ გაბუჟებამ დაუარა. ურდულის ჩხაკუნმა უცებ გამოაფხიზლა. ბიჭმა სამზარეულოში შემოაბიჯა და თავზე წამოადგა ჰელენს, რომელიც იჯდა და ისევ კარტოფილს თლიდა. ცხვირსახოცი მაგიდაზევე დაუგდო. მოხვდა თუ არა ყურს ფულის ჩხრიალი, ჰელენმა ბიჭს ახედა და გაუღიმა. ყმანვილს აქამდე არასოდეს ენახა მისი ღიმილი.

გოგონამ საჭმელი ციმციმ დაუნყო მაგიდაზე და თვითონ ოდნავ მოშორებით, ცეცხლის გვერდით გადაჯდა. ისიც იყო ბიჭს დანა პირთან უნდა მიეტანა, რომ თვალის კუთხეებიდან ჰელენის დაჟინებული მზერა შენიშნა. – სადილი აუტანე? – ჰკითხა ბიჭმა. გოგონა დუმდა. ამასობაში ბიჭიც მორჩა სადილობას, მაგიდიდან ადგა და, როგორც ყოველთვის, იკითხა: – რამეს ხომ არ დამავალებდი? – დიახ. – უპასუხა ჰელენმა.

მისთვის ამ შეკითხვაზე არასდროს უპასუხია „დიახ“. აქამდე არც ერთი ქალი არ დალაპარაკებია ასე უცნაურად, როგორც ჰელენი იმ დღეს. მისი მკერდის სილუეტიც ასე მუქად ჯერ არ მოსჩვენებოდა. ჰელენისკენ ნაბარბაცდა. გოგონამ ხელები მხრებზე დაიწყო და თქვა: – ჩემი გულისთვის რას გააკეთებ? თან კაბის ზონრები ისე მოუშვა, რომ სამოსი თავისით ჩამოსცურებოდა და მკერდი სრულიად მოშიშვლებოდა. ჰელენმა ბიჭის ხელი აიღო და სხეულზე მიიღო. ბიჭი ჯერ გაოგნებული შესცქეროდა მის სიშიშვლეს, მერე პირიდან გოგონას სახელი აღმოხდა და მკერდზე დააცხრა. ჰელენმა კიდეც უფრო მიიზიდა და ისევ გაუმეორა: – ჩემი გულისთვის რას გააკეთებ? ამასობაში კაბა იატაკზე ჩამოუსრიალდა და თვალის დახამხამებაში დანარჩენი ტანსაცმელიც გაიძრო. – იმას გააკეთებ, რაც მომესურვება. – ჩასჩურჩულა ბიჭს, რომლის ხელები მოწყვეტით დაეცა ქა-

ლის სხეულს.

ნუთის შემდეგ ჰელენმა ბიჭის მკლავებიდან თავი გაითავისუფლა და ფეხაკრეფით გაირბინა ოთახის მეორე ბოლოში. მოშიშვლებული ზურგით იმ კარის წინ ჩამოდგა, რომელიც ზედა სართულზე ადიოდა. ბიჭს ხელით მოუხმო და დაარიგა, რა უნდა გაეკეთებინა, თანაც დაამატა: – თუ დამეხმარები, ორივე გავმდიდრდებით. ბიჭმა გაუღიმა და თავი დაუქნია. მერე სცადა, გოგონასთვის თითები წაეწლო, მაგრამ ჰელენმა ხელი დაუჭირა, კარი გააღო და ზემოთ აუძღვა. – ჩუმად იყავი. – გააფრთხილა. მოხუცის საძინებელ ოთახში შევიდა და თითქოს უკანასკნელად ხედავსო, ისე მოავლო თვალი გაბზარულ დოქს, სანახევროდ შეღებულ ფანჯარას, სანოლსა და კედელზე გაკეთებულ წარწერას. – ახლა პირველი საათია. – ჩასძახა მოხუცს ყურში. დაბრმავებულ თვალებს ღიმილი გადაეფინა. ჰელენმა ქალს ყელზე თითები წაუჭირა. – ახლა პირველი საათია. – გაუმეორა ისევ და მკვეთრი მოძრაობით მოხუცს თავი კედელს მიარტყმევინა. სამჯერ მირტყმაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ თავი კვერცხივით გასტყეჭოდა.

– ეს რა ჩაიდინე? – წამოიყვირა ბიჭმა. ჰელენმა ოთახში მოიხმო. ბიჭი გაშტერებული შესცქეროდა შიშველ ქალს, რომელმაც ხელები სანოლს შეანმიწა. მოხვდა თუ არა მისი მზერა კედელს, რომელიც სისხლის წრიულ ლაქას წითლად შეედება, თავზარდაცემისგან კივილი აღმოხდა. – გაჩუმდი. – თქვა ჰელენმა. გოგონას აუღელვებელი ხმის გაგონებაზე ყვირილი მორთო და თავქუდმოგლეჯილი გავარდა ქვედა სართულისკენ.

– ახლა ჰელენი უნდა გაფრინდეს, – ჩაილაპარაკა გოგონამ თავისთვის, – უნდა გაფრინდეს მოხუცის ოთახიდან. ფანჯარა ფართოდ გამოაღო და რაფიდან გადააბიჯა. – მივფრინავ. – დაიძახა.

მაგრამ ის არ მიფრინავდა.

## სტუმარი

ხელები მაინც დაეღალა. არადა, მთელი ღამე საწოლის გადასაფარებელზე ჰქონდა დაკრეფილი და მხოლოდ მაშინ თუ გაატოკებდა, როცა პირის ან მოუსვენარი გულისკენ მიჰქონდა. ვენები, ავადმყოფურად გაღურჯებული მდინარეები, თეთრ ზღვაში ჩაედინებოდა. სასთუმალთან პირჩამოტეხილი ფინჯანი იდო, რომელშიც რძეს ცხელი ოხშივარი ასდიოდა. ღრმად შეისუნთქა დილის სურნელი. კარგად იცოდა, ამ დროს ეზოში მამლები თავს უკან გადასწევდნენ, მზეს ახედავდნენ და ომახიანად დაიცივლებდნენ. ამ ქვეშაგებში მართლა მიცვალებულის სუდარასავით არ იყო გახვეული? ეს ტიკტიკა საათიც, დედისა და გარდაცვლილი ცოლის ფოტოსურათებს შორის ენას რომ არ აჩერებდა, განა ძველი მტრის ხმას არა ჰგავდა? დრო იმდენად გულმონყაღე მაინც აღმოჩნდა, რომ მზეს ნება დართო, მის საწოლზეც მოეფინა სხივები, მაგრამ როგორც კი შელამდებოდა, მნათობს უმოწყალოდ აძევებდა ოთახიდან. ამ დროს უფრო მეტად ენატრებოდა მენამული შუქი და სითბოთი გაჯერებული ჰაერი.

მიცვალებულს რიანონი უვლიდა და პირჩამოტეხილი ფინჯანიც მასვე მიჰქონდა უსიცოცხლო ტუჩებთან. ის, რაც ნეკნებქვეშ უფეთქავდა, არ შეიძლებოდა გული ყოფილიყო. გარდაცვლილებს გული არ უცემთ. მაშინ, როცა მიცვალებული მზად იყო ლენტით გაზომვისა და ბალზამირებისათვის, რიანონმა ქალაღდის საჭრელი დანით მკერდი გადაუხსნა, გული ამოაგლიჯა და საათში მოათავსა. მესამედ ჩაესმა, რიანონის სიტყვები, რძე დალიე, გესიამოვნებაო. როცა ენაზე რძის სიმჟავემ დაუარა და რიანონმა შუბლზე ხელი გადაუსვა, გააცნობიერა, რომ არ მომკვდარიყო. ცოცხალი იყო. მრავალი მილის მანძილზე თვეები წლებში ჩაედინებოდა და წრეზე ატრიალებდა უღიმღამო დღეებს.

დღეს კალაჰანი ჩამოუჯდებოდა და

ლაპარაკს გაუბამდა. ძილში ჩაესმოდა, როგორ ებრძოდნენ ერთმანეთს კალაჰანისა და რიანონის ხმები და გრძნობდა თითოეული სიტყვის სისხლნარევე გემოს. ხელები მაინც დაეღალა. თავისი ჩამომხმარი, ზაფრანისფერი სხეულისა და ნეკნებამოჩრილი ფერდების შემხედვარეს სევდა მოეძალა. ადრე ეს ხელები სხვის ხელებსაც ჩასჭიდებია, ამ ხელებს ბურთი ჰაერში მაღლა უტყორცნიათ. ახლა კი სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდათ. ამ ხელებით თმას ინუნავდა, ხან მუცელზე მსუბუქად შემოილაგებდა, ხანაც რიანონის გულმკერდის უფსკრულში ჩაეკარებოდა. მაგრამ ახლა ველარაფერს უხერხებდა. ხელები უკვე საათის ისრებივით უსიცოცხლონი იყვნენ და მათსავით მექანიკურად მოძრაობდნენ.

მივხურო ფანჯარა, სანამ მზე კარგად არ დააცხუნებს? – ჰკითხა რიანონმა.

არ მცია.

ეტყოდა, რომ მკვდარი ვერც სიცოცხეს გრძნობს და ვერც სითბოს, ვერც მზე და ვერც ქარი ქვეშაგებში მაინც ვერ შეაღწევდა. ისიც სანდომიანად გაუცინებდა, შუბლზე აკოცებდა და დაამშვიდებდა: – პიტერ, რას ჩამოგიშვია ცხვირი? ერთ დღეში უკვე ფეხზე დადგები. ერთ დღესაც ყმანვილის მოჩვენებასავით იხეტიალებდა ჯარვისის გორებზე და გაიგონებდა, როგორ ახსენებდა ხალხი მის სახელს: – აქ პიტერის მოჩვენება დადის, პოეტისა, რომელიც ჯერ კიდევ დასაფლავებამდე რამდენიმე წლით ადრე ცოცხალთა რიგებში აღარ ეწერაო.

რიანონმა საბანი კოხტად ამოუკეცა მხრებში, დილის კოცნით დააჯილდოვა და პირჩამოტეხილი ფინჯანი ოთახიდან გაიტანა.

ვილაცამ მზის ქვეშ ფუნჯით საღებავი მიუსვ-მოუსვა და დისკოს გარშემო მრავალი წრე გამოსახა. სიკვდილი ცელიანი კაცის სახით დაძრწოდა, მაგრამ ზაფხულის იმ დღეს არც ერთ სულიერს არ ეწერა, მისი მსხვერპლი გამხდარიყო.

სნეული სტუმარს უცდიდა. პიტერი კალაჰანს ელოდა. მისი ოთახი უსასრუ-

ლო სამყაროში მოქცეული პატარა სამყარო იყო. სამყარო თავად პიტერშიც გაუჩერებლად წრეზე ტრიალებდა, მასშიც ამოდიოდა მზე და ჩადიოდა მთვარე. კალაჰანი დასავლეთის ქარივით იყო, რიანონი კი, ტაიტის ქარის მსგავსად, მის მოტანილ სუსხს სულის ერთი შეხედვით ფანტავდა.

ქვასავით ხელი გაქვავებულ თავზე მიიღო. ასე შორეულად არასდროს მოსჩვენებია რიანონის ხმა, რომელიც კიდევ ერთხელ სთავაზობდა მყავე რძეს. ვინ იყო რიანონი, თუ არა სატრფო, რომელიც მგზნებარედ ებაახებოდა ზენრების კუბოში ჩასვენებულ მიჯნურს? ღამით სხეულში შესძრომოდნენ, გაეძარცვათ და აღარაფერი დაეტოვებინათ, გარდა ყალბი გულისა. ის, რაც ნეკნების ჯავშნის ქვეშ უცემდა, მას არ ეკუთვნოდა. ის, რომ ტერფში გამალეობით ფეთქავდა ვენა, თითქოს სრულეობითაც არ ეხებოდა მას. მკლავებს მოძრაობის უნარი დაჰკარგოდათ, ისიც კი აღარ შეეძლოთ, რომ გოგონას ტანზე შემოხვეოდნენ, რათა ქარისა და ყაჩაღებისგან დაეცვათ იგი. ამქვეყნად საკუთარ სახელზე შორეულად არაფერი ეჩვენებოდა, პოეზია უბრალოდ ჭიგოზე აკრული სიტყვების ასხმად ქცეულიყო. ტუჩების მოძრაობით ბგერების გუნდას ფორმა შეასხა და სიტყვა წარმოთქვა.

გარდაცვლილები ხვალინდელი დღის გათენებას აღარ ელიან. უკვე ვეღარც წარმოედგინა, რომ მორიგ ღამეს გადააგორებდა, გაიღვიძებდა და სიცოცხლე ყვავილივით ამოხეთქავდა კუბოს ნაპრალებიდან.

ოთახი უსასრულო სივრცეში ჩაძირულიყო. ზემოდან ჩარჩოში ჩასმული ქალების პორტრეტები დაჰყურებდნენ, რომლებიც ერთი შეხედვით ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდნენ. მუქ ოქროსფერ ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათიდან დედა იმზირებოდა მოყვითალო ოვალური სახითა და შეთხელებული თმით. მის გვერდით გარდაცვლილი ცოლის, მერის ფოტოსურათი ეკიდა. რამდენს არ ეცადა კალაჰანი, რამდენჯერ ქროლით დასტყდომია თავს, მაგ-

რამ მერის პორტრეტის გარშემო კედლებს ძვრა ვერ უყო. მერიზე ჩაფიქრდა, მოაგონდა, როგორ შესცივინებდა ღიმილიანი თვალებით და ეძახდა – პიტერ, ძვირფასო, პიტერ.

გაახსენდა, რომ შვიდი წელი ხდებოდა, რაც არ გაელიმა. იმ ღამეს ისე ძლიერ აუკანკალდა გული, რომ ძირს ჩაიკეცა. თვალწარმტაცი მზის ჩასვლის ყურებამ დაუბრუნა მხნეობა. ბორცვებსა და სახურავს მიღმა ბადრი მთვარე ამოდიოდა და ჩადიოდა, გაზაფხულს კი ზაფხული მოსდევდა. საერთოდ როგორ ცხოვრობდა კალაჰანის გარეშე, რომელიც სამყაროს კუთხეებში გაბმულ აბლაბუდებს ომახიანი შეძახილებით ფანტავდა, როგორ ცხოვრობდა რიანონის გარეშე, რომელიც სითბოსა და სიყვარულს უშურველად იმეტებდა მისთვის? თუმცა მკვდრებს ისედაც რად უნდათ მეგობრები. თავახდილ კუბოს მზერა მოავლო. იქიდან პირაღმა გამოტილი კაცი უმზერდა, რომელიც ცვილისგან ჩამოსხმულს უფრო ჰგავდა. მიცვალებულის თვალებიდან მონეტები აიღო და საკუთარ სახეს დააცქერდა.

გამრავლდით, აღმართეთ მუყაოს კედლები, – იძახდა იგი, – სანამ მოვსულვარ და თქვენი ვაი-ვაგლახით შეკონინებული ქოხები სულის ერთი შეხედვით ნაცარტუტად არ მიქცევია. როცა მის ცხოვრებაში მერი გამოჩნდა, თითოეული დღე მისი გაღმერთებით თენდებოდა და ღამდებოდა. მისმა მუცლადმყოფმა შვილმა მოკლა მერი. გრძნობდა, რომ სხეული უდუღდა და ერთ დროს ჰაერივით მსუბუქი ადამიანები ახლა მის სხეულში ისე მიაღაჯებდნენ, თითქოს ფეხებზე რკინის ნალები დაეჭედებინათ.

ტირილი მორთო, – რიანონ, რიანონ, ვილაც დამაცხრა და გვერდები დამიზილა. სულ წვეთ-წვეთად მდის სისხლი. რიანონ, – მოთქმით გაიძახოდა იგი.

რიანონი ზემოთ ამოქანდა. თავითი დაუჯდა და კაბის სახელოთი დაუნყო ლოყებზე ჩამოგორებული ცრემლების გამშრალეობა.

სანამ დილა ბოლომდე არ მომნიფ-

და და შთამბეჭდავ შუადღედ არ გარდაიქმნა, ლოგინზე გაუნძრევლად იწვა. რიანონი იქვე გადი-გამოდიოდა. დაიხარა თუ არა მის სასთუმალთან, ხარბად დაყნოსა ქალის კაბა, რომელსაც სამყურისა და რძის სურნელი ასდიოდა. უჩვეულო გაოცებით აყოლებდა თვალს, როგორ დინჯად ფუსფუსებდა ოთახში, როგორ დაიფერთხა მტვრიანი ხელები მერის პორტრეტის გადანმენდის შემდეგ. გაიფიქრა, ალბათ გარდაცვლილებიც ასეთი გაკვირვებით ადევნებენ თვალს ცოცხალთა სხარტ მოძრაობას და ხედავენ, როგორ უდულთ სისხლი ძარღვებში. ბუხრიდან ფანჯრისკენ გადაინაცვლებდა და ლილინ-ლილინით ალაგებდა ოთახს, ხანაც თითქოს მშრომელი ფუტკარივით ბზუოდა. თუკი რამეს იტყოდა, გაიცინებდა, ან ლითონის შანდალზე მიაჩვენებდა ფრჩხილებს და ზარივით აანკრიალებდა, თუნდაც მაშინ, როცა უეცრად ჩიტების ჭიკჭიკისგან ოთახში ყურთასმენა აღარ იყო, პიტერს ცრემლი ერეოდა. სიამოვნებას ჰგვირდა საწოლზე გადაფარებული თეთრეულის უმოძრაო ტალღების ყურება, ამ დროს თავს სამხრეთული ზღვის რომელიღაც კუნძულად წარმოიდგენდა. უხვი და საოცარი მცენარეებით დაფარულ კუნძულზე ხეებს თესლიდან აღმოცენებული ხილი ბარაქიანად გამოესხა. პანია ნაყოფი, ვაშლისოდენაც რომ არ იქნებოდა, წყნარი სიოს ერთ დაბერვაზე ძირს ცვიოდა და ზაფხულში ლოქორების ნავსაყუდლად იქცეოდა.

სამხრეთის უკიდევანო ზღვაში მივარდნილ კუნძულზე ფიქრისას წყალი გაახსენდა და მოსწყურდა. რიანონის კაბის შარიშური წყლის ჩუხჩუხად ჩაესმა. თავისთან მოიხმო, კაბის გულისპირზე შეეხო და წყალი ხელებით შეიგრძნო. წყალიო, – შესძახა და ბავშვობა გაიხსენა, მოუთხრო, როგორ წამოწვებოდა ხოლმე ქვებზე და თითებით როგორ იმეორებდა გრილი წყლის ზედაპირზე მოლიცლიცე ფორმებს. რიანონმა წყლით სავსე ჭიქა მიუტანა და ზედ თვალებთან გაუსწორა, რათა ოთახისთვის წყლის გამჭვირვალე კედ-

ლიდან ემზირა. წყლისთვის პირი არ დაუკარებია და რიანონმაც ჭიქა გვერდზე გადადგა. წარმოიდგინა, როგორი სიგრილე იქნებოდა ზღვის სიღრმეში. სწორედ ახლა, ზაფხულის ერთ ნაშუადღევს, მოეძალა სურვილი, წყალში მთლიანად ჩაძირულიყო. იქნებ ოკეანეში ამოზრდილი კუნძულის მაგივრად, ამჯერად ფსკერზე მწვანედ მობიბინე ალაგად ქცეულიყო და თავბრუდამხვევ მღვიმეებში ჩაკარგულიყო. გაიხსენა ისეთი სიტყვები, რომლებიც სიგრილის განცდას აღუძრავდა. უცებ გონებაში ლექსიც შემოენერა ზეთისხილის ხეზე, რომელიც ტბის ფსკერზე იზრდებოდა. თუმცა ეს ხე სიტყვებით დახუნძლულიყო და ტბაც რომელიღაც სიტყვას ერითმებოდა.

დამიჯექი და რამე წამიკითხე, რიანონ.

მოდო, ჯერ გეჭამა. – უთხრა მან და საჭმელი მოუტანა.

არ ეგონა, თუ რიანონი სამზარეულოში ჩავიდოდა და საკუთარი ხელით მოუმზადებდა სადილს. ასე უბრალოდ წავიდა და საკვებით ხელდამშვენებული დაბრუნდა ძველი ალთქმის ქალწულივით. მისი სახელი არაფერს ნიშნავდა, მაგრამ სასიამოვნოდ ჟღერდა. უცნაური სახელი კი ერქვა, ბიბლიაში რომ ამოიკითხავ, ისეთი. სწორედ ასეთმა ქალმა განბანა სხეული გარდამოხსნის შემდეგ ათი ცივი და მარჯვე თითით, რომლებითაც ათგზის კურთხევასავით ეალერსებოდა იარებს. თითქოს უხმობდა, მაცხე ნელსურნელოვანი ბალახი მკლავქვემ, შენი ნერწყვი მეც კეთილსურნელებით ამავსებსო.

აბა, რა წაგიკითხო? – ჰკითხა, როცა ბოლოს და ბოლოს მოიცალა და თავთან ჩამოუჯდა.

თავი გააქნია, მნიშვნელობა არ ჰქონდა რას ნაუკითხავდა, ოღონდაც მისი ლაპარაკი მოესმინა, და მისი ხმის მელოდიურობის გარდა, სხვა არაფერზე ეფიქრა.

აჰ! ნეტარებით წამომანვინა, ნეტარებით დამადებინა თავი,



ნეტარებით დამაძინა საღათას ძი-  
ლით, ნეტარებით გამაგონა ხმა  
მისი, რომელიც საღამოს ჟამს დაბ-  
რძანდება ბაღში.

იმ ადგილამდე წაუკითხა, სადაც ჭი-  
აყელა შროშნის ფოთოლზე აცოცდება.  
სიკვდილი ისევ დაეუფლა მის კიდუ-  
რებს და თვალები დახუჭა.

ვერც ტკივილს გაუბოძა და ვერც  
სიკვდილის აჩრდილებს, რომლებიც  
ჩვეულ საქმეს დამძიმებული ქუთუთო-  
ების წყვილად მიეცა კი არ ღალატობდნენ.

გინდა, ამბორით გაგაღვიძო? –  
ჰკითხა კალაჰანმა, რომელსაც ცივი ხე-  
ლი პიტერის ხელზე დაესვენებინა.

და ემთხვევინენ კეთროვნები. – თქვა  
პიტერმა და ფიქრმა წაიღო, ნეტა, ეს  
რას უნდა ნიშნავდესო.

რიანონმა შენიშნა, რომ იგი აღარ  
უსმენდა და ფეხაკრეფით გაიპარა  
ოთახიდან.

მასთან მარტოდ დარჩენილი კალა-  
ჰანი საწოლისკენ გადაიხარა და ფაფუ-  
კი თითის წვერები პიტერს თვალებზე  
ჩამოუსვა. უკვე დაღამდა, – უთხრა, –  
ამალამ საით გავწიოთ?

პიტერმა ისევ გაახილა თვალები და  
მაშინვე შეამჩნია გაშლილი თითები და  
ყაყაჩოს თავებივით მოელვარე სან-  
თლები. შიშმა და წყალობამ ერთდრო-  
ულად მოიცვა ოთახი.

სანთლების ჩაქრობა ახლა არაფრით  
არ შეიძლებაო, გაიფიქრა. სულ უნდა  
იყოს ნათელი, ნათელი, ნათელი. პატ-  
რუქი და ცვილი არასდროს უნდა გამო-  
ილიოს. მთელი დღე და ღამე ჩემს სას-  
თუმალთან სამ სანთელს სამი გოგონა-  
სავით სულ აღმური უნდა ასდიოდეს.  
ამ სამმა გოგონამ უნდა დამიფაროსო.

ცეცხლის პირველი ალი შეირხა და  
მალე დაიშრიტა. მეორე და მესამე  
ალის თავზე კალაჰანმა ნაცრისფერი  
ტუჩები მოპრუნა. ოთახში სიბნელემ  
დაისადგურა. ამალამ საით გავწიოთ? –  
თქვა მან და პასუხსაც არ დალოდებია,  
ისე მოისროლა საწოლიდან ქვეშაგები  
და აიტაცა პიტერი ხელში. კალაჰანის  
სველი მოსასხამი პიტერს სასიამოვნოდ  
მიელამუნა სახეზე.

ოჰ, კალაჰან, კალაჰან. – აღმოხდა  
პიტერს, რომელსაც პირი შავ ქსოვილ-  
ზე აეკრა. გრძნობდა კალაჰანის სხეუ-  
ლის მოძრაობას, კუნთების დაჭიმვასა  
თუ მოდუნებას, მხრების მოყვანილო-  
ბასა და ფეხების ბაკაბუკს მოტორტმა-  
ნე მიწაზე. შლამიან და კირქვიან მიწას  
ადენილი ბდღვირი ჩამალულ სახეში  
სცემდა. როცა ხის ტოტებმა ზურგი  
დაუკანრა, მხოლოდ მაშინღა გააცნო-  
ბიერა, რომ შიშველი იყო. ხმამალღა  
რომ არ ეყვირა, ტუჩები ძლიერად მო-  
უჭირა სველი ხორცის ნაკეცს. კალაჰა-  
ნიც ჩვილივით დედიშობილა იყო.

ვართ კი შიშვლები? ყველას გვაქვს  
ჩვენი ძვლები, ჩვენი ორგანოები, ჩვე-  
ნი კანი და ჩვენი ხორცი. თმაზე სის-  
ხლის ლენტი გაბნევიან. ნუ შეშინდები.  
ბარძაყების გარშემო ვენების ქსოვილი  
გმოსავს. სამყარომ მთელი სისწრაფით  
ჩაუქროლა გვერდით, ქარმა ბრძოლის  
ნამთები მთვარის ქვეშ მიმოფანტა და  
ჩანყნარდა. პიტერს ჩიტების გალობა  
მოესმა, მაგრამ მათი სიმღერა იმ ჩიტე-  
ბისას არა ჰგავდა, რომლებიც საძინებ-  
ლის ფანჯრის რაფაზე ყელმოღერებით  
ჟღერტულდნენ ხოლმე. ჩიტები დაბ-  
რმავებულებიყვნენ.

ნუთუ ბრმები არიან? – თქვა კალა-  
ჰანმა. მათ თვალებში მთელი სამყაროა.  
მათ რაკრაკში თეთრიცაა და შავიც. ნუ  
შეშინდები. მათი კვერცხების ნაჭუჭე-  
ბის მიღმა ელვარე თვალები იმალება.

ანაზღად შეჩერდა და ხელში ატატე-  
ბული, ბუმბულივით მსუბუქი პიტერი  
ფრთხილად ჩამოსვა მიწის ზურმუხტის-  
ფერ ბურთზე. ქვემოთ მიწდორი იშლე-  
ბოდა, რომელსაც დაუძლურებული ხეე-  
ბი და ბალახი ზურგზე მოეგდო და გზას  
გასდგომოდა იმ შორეული ადგილისა-  
კენ, სადაც წყვილიადიდან ჭიპლარით  
ჩამოშვებული მთვარე მოჩანდა. ტყის  
კორომებიდან თოფების გამაყრუებელი  
ბათქაბუთქი გაისმოდა და ხობები წვი-  
მასავით ცვიოდნენ ძირს. მალე ღამის  
მდუმარება ჩამოწვა და ძირს ჩამოცვე-  
ნილი ტოტებიც, რომელთაც კალაჰანის  
ფეხქვეშ ჩახმახივით გაუდიოდათ ტკა-  
ცატკუცი, სულგანაბული მიყუჩდნენ.

პიტერს გულში ტკივილმა დაუარა და ფერდზე ხელი მიიღო, მაგრამ ხორცი, რომელიც მანამდე ემოსა, ვეღარ იგრძნო. თითის წვერებით მჩქეფარე სისხლს გრძნობდა, მაგრამ ძარღვები სადღაც გამქრალიყო. მკვდარი იყო. ახლა ნამდვილად იცოდა, რომ მკვდარი იყო. მისი აჩრდილი, რომელიც სისხლის აჩრდილს შეუმჩნევლად შეზრდოდა, მინის ბურთზე შემომდგარიყო და დაბნეული შესცქეროდა უკეთურ ღამეს.

ეს რა ველია? – იკითხა პიტერის ხმამ.

ჯარვისის ველი. – უბასუხა კალაჰანმა. კალაჰანიც მკვდარი იყო. რომელი ძვალი და რომელი თმის ღერი გაუძღვებდა ყინვას, რომელიც უფრო და უფრო იკრებდა ძალას.

ეს ჯარვისის ველი არაა.

ეს მოტიტვლებული ველია.

მთვარემ თანდათან სხივები ააბრდღვიალა, სათითაოდ მოჰფინა შუქი ჯარვისის ხეების ქერქს, ფესვებსა და ტოტებს, ტყეში მოფუსფუსე მკბენართ, ქვების კონტურებსა და ქვეშ ჩამძვრალ შავ ჭიანჭველებს, მდინარის კენჭებს, ჩაბნელებულ ბალახსა და ღეროებს შორის მოფუთფუთე მოუსვენარ საფლავის ჭიებს. გორაკების ფერდობებზე ვირთხები და სინდიოფალები სოროებიდან ამოძვრნენ, რომელთა ბენვი მთვარეს სულ თეთრად აექათქათებინა. მრავლდებოდნენ, ჯახირობდნენ და თავ-პირის გლეჯით ქვემოთ მიექანებოდნენ, რათა საქონელს კბილებით ყელში ჩაჰფრენოდნენ. როგორც კი სისხლისგან დაცლილი ცხოველები უღონოდ დაეყრებოდნენ ძირს და სინდიოფალებიც საბოლოოდ მოკურცხლავდნენ იქიდან, მინდორში ბუზები ნეხვის გროვიდან ამოფრინდებოდნენ, საავდრო ღრუბელივით ჩამოწვებოდნენ და ღეშს გვერდებზე დაეფინებოდნენ. მთვარეს სახეში სცემდა მოტიტვლებული ველიდან ცაში აჭრილი სიკვდილის სუნი და ვეებერთელა ნესტოები ებერებოდა. შემდეგ ცხვრები ეცემოდნენ მოწყვეტით და ახლა მათ ესეოდნენ ბუზები. დაკბენილი ვირთხები და სინდიო-

ფალებიც, რომელთაც ღამის ერთმანეთი დაეჭამათ ხორცისათვის, პანტაჰუნტით ცვიოდნენ ძირს – კარგი საკბილო ეშოვათ ცხვრის მატყლში ჩაბუდებულ რწყილებს. პიტერისთვის დრო თითქმის არც გასულა, სანამ სიმეტრიულ ძვლებამდე გამოხრული ლეშები მინით არ დაფარა ქარმა, რომელიც გამაყრუებლად, გამმაგებით ქროდა და მუცელგატიკნულ ბუზებს ბალახზე ყრიდა. ახლა ჭიები და მესაფლავე ხოჭოები არღვევდნენ ძვლის ქსოვილს, მაღიანად და მთელი გულმოდგინებით შეექცეოდნენ ცხოველთა ნაშთებს. თვალის ბუდეებიდან უკვე ბალახი იზრდებოდა, გახრწნილი ცურის ადგილას ყვავილები ამოდიოდა, რომელთა ფოთლებს ჯერ კიდევ დასთამაშებდა სიკვდილის ფერები. დაღვრილი სისხლი მინაზე მიედინებოდა, გზად ბალახის ღეროებს ასაზრდოებდა, ქარის მოტანილ თესლებს აღვივებდა და ბოლოს ნაკადულს ერთვოდა. კენჭებით გამოტენილი ლეშები, დატოტვილი ძარღვების ქსელი, რომელიც ოცამდე მინდორში მდორედ მიიკლაკნებოდა, მყისვე ალისფერი სისხლით იჟლინებოდა.

პიტერის აჩრდილმა სიხარულისგან შეჰკივლა. მოტიტვლებულ ველზე სიცოცხლე ჩქეფდა, თავად პიტერის სიშიშვლეში იყო სიცოცხლე. იხილა მოჩუხჩუხე წყლით სავსე ღელები, გახრწნილი ლეშიდან აღმოცენებული ყვავილები, ნახა, როგორ კვებავდა და უათკეცებდა ძალას ღეროებსა და ფესვებს სისხლის თითოეული წვეთი.

ნაკადულებმა უეცრად შეწყვიტეს დინება. მტვრად ქცეული ნაშთები მდინარის ზედაპირს მოეფინა და შესართავი ჩახერგა. მტვერი შავი ყინულივით გადაჰკვროდა წყალს. ყოვლისმხედველი და ციმციმა სინათლე ახლა მთვარის სხივებში ჩაყინულიყო.

ესეც ცხოვრება მთელი თავისი სიშიშვლით. – ყურთან დამცინავად ჩაუსისინა კალაჰანმა და პიტერი მიხვდა, რომ იგი აჩრდილისებრ თითს უმოძრაო ნაკადულებისკენ იშვერდა. საუბრისას პიტერის გულის პერანგს, რო-

მელიც ერთ დროს მის ხორცშესხმულ გულს ეკრა გარს, შიშისგან ბაგაბუგი გაჰქონდა. სწორედ ამ დროს იყო, რომ კენჭებიდან სიცოცხლემ იფეთქა, როგორც დედის მუცლიდან იშვება ხოლმე პატარა ბიჭში განსხეულებული ათასობით სიცოცხლე. მდინარეები დაიძრნენ, მთვარის თვალწარმტაცმა სხივებმა ველი გააჩირალდნეს, ჩრდილები წააგრძელეს და თხუნელები და მაჩვები, რომლებიც მთელი ზამთარი სოროებში შეყუჟულიყვნენ, შუალამის მარადისობაში გამოიყვანეს.

გორაზე მალე ირიჟრაჟებს. – თქვა კალაჰანმა და უჩინარი პიტერი ხელში აიტატა. განთიადი მართლაც მოიპარებოდა შორს, ჯარვისის უკაცრიელ ველს მიღმა, რომლის სიშიშვლე ჯერ კიდევ ილანდებოდა ჩამავალი მთვარის შუქზე.

კალაჰანი გორაკების თხემებზე, კორუმებში და აღტყინებული ველ-მინდვრების თავზე მიქროდა და მასთან ერთად მიქროდნენ ხეებიც, პიტერი კი ამ დროს სიხარულის ყიჟინას სცემდა.

კალაჰანის სიცილი ჭექა-ქუხილის გრგვინვასავით ჩაესმოდა, ამ ხმას ქარი თავის მორევში ითრევდა და უკან ექოდ აბრუნებდა. გრგვინავდა ქარი და ბორგავდა მიწისქვეშეთი. ხან ფესვებში გაძვრებოდნენ, ხანაც ველური ხეების კენწეროებს გადაუფრენდნენ. ის და მისი უცნობი თანამგზავრი შეუსვენებლად მინავარდობდნენ, რათა მამლის ყივილამდე მიესწროთ. ციდან ჩამოღვრილ სინათლის ზღუდეებს მარჯვედ და ჟი-

ვილ-ხივილით უქცევდნენ გვერდს.

ყური უგდე მამლის ყივილს. – წამოიყვირა პიტერმა და საბნის პირი ნიკაპთან ამოიკეცა.

ვილაცამ აღმოსავლეთის ცაზე ფუნჯით წითელი წკირი გამოსახა. წრიული ლანდი, რომელიც მთვარის დისკოს შარავანდედივით ადგა, ღრუბელს შეერია. ტუჩებზე, რომელთაც რალაც სასწაულის ძალით ისევ კანი და ხორცი შეესხათ, ენა მოისვა. პირში უცნაურ გემოს გრძნობდა, თითქოს წუხელ, სამასი ღამის წინ, ყაყაჩოსათვის მოესრისა თავი, დასწაფებოდა და ღრმა ძილით დასძინებოდა. კალაჰანი მის გონებაში ძველ, სიზმარულ მოგონებადღა დარჩენილიყო. თითქოს განთიადიდან დაღამებამდე სიკვდილს ებაასებოდა, თვალწინ წარმოუდგა, როგორ მიიტყუა ფარვანა სანთლის შუქმა, ყურში ხარხარიც ჩაესმა, რომელიც თავისას არა ჰგავდა. მამალმა ისევ დაიყვილა, ჩიტმა კი ისეთი ხმით დაუსტვინა, გეგონება, პირბასრი ცელი ხორბლის თავთავებს მუსრავსო.

რიანონმა, რომელსაც ნატიფი და მოშიშვლებული ყელი მოეღერებინა, ოთახში შემოაბიჯა.

რიანონ, – მიმართა, – ხელი მომეცი, რიანონ.

რიანონს მისი ხმა არ გაუგონია, სასთუმალთან ჩამოუდგა და ღრმა მწუხარებით აღსავსე თვალები მიაპყრო.

ხელი მომეცი. – უთხრა მან. და შემდეგ: – რატომ მაფარებ სახეზე ზენარს?

ინგლისურიდან თარგმნა  
ანა ამირხანაშვილმა

